619
1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

ოქტომბერი № 10 1986



7 ოქტომბერი საბჭოთა კონსტიტუციის დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი სერგო

საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, დიდი ლენინის ერთგული მოწაფისა და უახლოესი თანამებრძოლის — გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავს.

1903 წელს სრულიად ახალგაზრდა სერგო რსდმპ-ის რიგებში შევიდა. 1905 წლის რევოლუციის დროს ძმობის, ერთობისა და თავისუფლებისაკენ მოუწოდებდა თბილისის საწარმოების მუშებს...

სერგომ მეფის რუსეთის საპატიმროების ნესტიან და ნახევრადბნელ ჯურღმულებში შეისწავლა მარქსისა და ენგელსის შრომები. 1910 წელს პარიზში იგი პირადად ეცნობა ვლადიმერ ილიას ძე ლენინს, ისმენს მის ლექციებს ლონჟიუმოს პარტიულ სკოლაში და მალე იგზავნება რუსეთში პარტიული მუშაობის გასაშლელად.

ორჯონიკიძემ შემოიარა რუსეთის მთელი რიგი ქალაქები, იყო კავკასიაშიც და 1911 წლის ოქტომბერს დაბრუნდა პარიზში, რათა ლენინისათვის ჩაებარებინა ჩატარებული მუშაობის ანგარიში.

1912 წელს რსდმპ სრულიად რუსეთის VI კონფერენციის შემდეგ, სერგო ორჯონიკიძე, უკვე როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კვლავ იგზავნება რუსეთში პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, პარტიული ორგანიზაციების დასარაზმად, მაგრამ მას მალე აპატიმრებენ. პეტერბურგის საოლქო სასამართლომ ცარიზმის საშიშ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს სამი წლის კატორღა და შემდეგ ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯა.

ბორკილგაყრილმა პატიმარმა სამი წელი გაატარა შლისელბურგის ციხის დილეგში. წამებამ და განსაცდელმა ვერ გატეხა დიდი რევოლუციონერის ბობოქარი სული — იგი იქაც მომავალი ბრძოლებისათვის ემზადებოდა, ბევრს მუშაობდა თავის თავზე, კითხულობდა ფილოსოფიურ წიგნებს, მეცადინეობდა პოლიტეკონომიაში, ბუნებისმეტყველებაში, მედიცინაში, სამხედრო ხელოვნების ისტორიაში, საფუძვლიანად შეისწავლა სამხედრო ისტორიკოსების, ძველი მხედართმთავრებისა და სამხედრო სტრატეგების შრომები.

1915 წლის შემოდგომაზე ბორკილგაყრილი სერგო პოლიტპატიმართა ერთ ჯგუფთან ერთად ციმბირის გზას გაუყენეს და მხოლოდ 1916 წლის გაზაფხულზე მიაღწია ქ. იაკუტსკს, სადაც მუდმივი გადასახლება ჰქონდა მისჯილი.

ორჯონიკიძემ გ. პეტროვსკისთან, ე. იაროსლავსკისთან და გადასახლებულ სხვა ბოლშევიკებთან ერთად მჩქეფარე პარტიული მუშაობა გაშალა მასებში. შემდგომში ემელიან იაროსლავსკი იგონებდა: „სერგო ორჯონიკიძემ ჩვენ, იაკუტსკში გადასახლებულთ, გაგვაცნო შინაპარტიული ცხოვრების ამბები. მან თან ჩამოიტანა არა მარტო დიდი რევოლუციური გამოცდილება, მან გადასახლებაში მოიტანა ცხოვრების სიხალისის დაუშრეტელი წყარო“.

სერგო ორჯონიკიძე იაკუტიის ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ადგილობრივ რევოლუციონერთა მასწავლებელი გახდა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ სერგო სხვა გადასახლებულ ბოლშევიკებთან ერთად ბრუნდება პეტროგრადში. ლენინის წინადადებით იგი რსდმპ პეტროგრადის კომიტეტის შემადგენლობაში შეჰყავთ.

ივლისის დემონსტრაციის ჩახშობის შემდეგ, როცა მენშევიკებმა და ესერებმა ბურჟუაზიასთან ერთად მთელი ძალით შემოუტიეს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს და ესერულ-მენშევიკურმა ცენტრალურმა აღმასრულებელი კომიტეტი მოითხოვდა ვ. ი. ლენინის გასამართლებას, სერგო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 10 (598), ოქტომბერი, 1986

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ბიბლიოთეკა

## ნომერში:

ტრისტან ჩინჩილაკაშვილი — ჩვენი სერგო
ოთარ შალამბერიძე — წიწამურის ბალადა
აპოლონ ცანავა — ილია ჭავჭავაძე და ქართული ფოლკლორი
გიორგი ჯავახიშვილი — თელავის თეატრის სცენაზე
გიორგი გულია — მარადიული მოძრაობა (მოთხრობა)
გურამ გოგოლაძე — ესტონელი ხუროთმოძღვარი
ჯუმბერ თითმერია — დიალოგი ანა კალანდაძესთან
გიორგი ჭინჭარაული — ორბელიანთა გვარის ისტორიისათვის
სერგი დურმიშიძე — დაუმთავრებელი მატჩი
გაბრიელ გარსია მარკესი — ესტებანის სოფელი (მოთხრობა)
სულიკო ძინძიბაძე — კოლექტიური მეგალეობა — დამატებითი სიუხვის წყარო
უშანგი რიჟინაშვილი — მოგვერდი (მოთხრობა)
ოთარ დემეტრაშვილი — ფარნავაზისეული
კონსტანტინე პაუსტოვსკი — ედგარ პო
დავით ნავროზაშვილი — ლექსები
გივი ზაზიკაშვილი — ლექსები
საგულისხმო, სახალისო

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1986 წ.

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ორჯონიკიძე ი. ბ. სტალინთან და სხვა ბოლშევიკებთან ერთად ლენინის სასამართლოში გამოცხადების წინააღმდეგ გამოვიდა. პარტიის VI ყრილობაზეც, სადაც სხვა საკითხებთან ლენინის სასამართლოში გამოცხადების საკითხიც იდგა, სერგო ორჯონიკიძემ კატეგორიულად მოითხოვა, რომ პარტიის ბელადი არ გამოცხადებულიყო კონტრრევოლუციური მთავრობის სასამართლოში. ყრილობამ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

სერგო, როგორც რსდმპ პეტროგრადის კომიტეტისა და პეტროგრადის საბჭოს აღმასკომის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებაში. მან წარმატებით შეასრულა პარტიის ცენტრალური კომიტეტის და პირადად ვლადიმერ ილიას ძე ლენინის საპასუხისმგებლო დავალება — გამოცხადდა დროებითი მთავრობის დასაყრდენის, ფრონტიდან გამოწვეული შენაერთის ერთ-ერთ ბატალიონში, ავიდა ჯავშნიან მანქანაზე და თავისი მგზნებარე ბოლშევიკური გამოსვლით ჯარისკაცები რევოლუციის მხარეზე გადაიყვანა.

იარაღის ძალით საბჭოთა ხელისუფლების დამხობის ერთ-ერთი პირველი ცდა იყო რუსეთის ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ყოფილი მეთაურის კერენსკისა და გენერალ კრასნოვის მიერ მოწყობილი ამბოხება. მეამბოხეებს 5 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი ჰყავდათ.

1917 წლის 27 ოქტომბერს მათ გატჩინო აიღეს, 28 ოქტომბერს ისინი ცარსკოე სელოში შეიჭრნენ. რევოლუციური პეტროგრადი აშკარა საფრთხის წინაშე დადგა.

პარტიამ ყველა ღონე იხმარა დედაქალაქის დასაცავად. გენერალ კორნილოვის ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად ფრონტზე გაგზავნა საუკეთესო ძალები, მათ შორის სერგო ორჯონიკიძე, რომელსაც ვ. ი. ლენინი „უაღრესად ერთგულ და უაღრესად საქმიან რევოლუციონერს“ უწოდებდა.

მეამბოხეთა ცდა, გაჭრილიყვნენ პეტროგრადისაკენ, მათი სრული კრახით დასრულდა. 1917 წლის 1 ნოემბერს წითელი არმიის მოწინავე რაზმები გატჩინოში შევიდნენ, გენერალ კრასნოვის შტაბი დაატყვევეს, მეზღვაურის ფორმაში გადაცმული კერენსკი კი სამარცხვინოდ გაიპარა...

1917 წლის დეკემბერში სერგო ორჯონიკიძე ინიშნება უკრაინის დროებით საგანგებო კომისრად, ხოლო 1918 წლის გაზაფხულზე — რსფსრ სახკომსაბჭოს დროებით საგანგებო კომისრად სამხრეთ რუსეთში. 1918 წლის მაისში ის ცარიცინის გმირული დაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი ხდება, მერე კი იბრძვის დონის კაზაკთა შეიარაღებული აჯანყების „ბარახოვშინის“ წინააღმდეგ, რომელიც გენერალ დენიკინთან დაკავშირებულმა ქ. ვლადიკავკავში მყოფმა ინგლისურმა მისიამ მოაწყო. თეთრ კაზაკთა 10 ათასიანი არმია განადგურდა, მისი მეთაური ლ. ბიჩერახოვი კი თავისი რაზმის ნარჩენებით ბაქოში გაიქცა.

1918 წლის დეკემბრიდან 1919 წლის ივნისამდე სერგო ორჯონიკიძე, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, იბრძვის გენერალ დენიკინის ჯარების წინააღმდეგ. 1919 წლის ივლისში, ი. ბ. სტალინის წინადადებით, რომელიც იმხანად დასავლეთის ფრონტზე იმყოფებოდა, სერგო ორჯონიკიძე ინიშნება მე-16 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად. აქ მან ბევრი ილონა არმიის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად, რამაც კეთილსასურველი შედეგი მოგვცა თეთრპოლონელებისაგან ქ. მინსკის თორმეტდღიანი გმირული დაცვის დროს.

1919 წლის ოქტომბერში სერგო ორჯონიკიძე მე-14 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად გადაიყვანეს. არმია აქტიურად მონაწილეობდა დენიკინელთა და მახნოს ბანდების წინააღმდეგ ბრძოლებში. ორიოლ-კურსკის შეტევითი ოპერაციის დროს მე-14 არმია იმყოფებოდა შეტევის ძირითად ხაზზე და ბრძოლებით გაათავისუფლა ქალაქები კომი, ფატეჟი, კურსკი, შემდეგ კი ხარკოვის მიმართულებით მოქმედებდა.

1920 წლის იანვარში სერგო ორჯონიკიძე ინიშნება კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად, იმავე წლის მარტში კი — ჩრდილოეთ კავკასიის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ. ამ პერიოდში ის ს. მ. კიროვთან ერთად დიდ მუშაობას ეწევა თეთრგვარდიელებისაგან ჩრდილო კავკასიელი ხალხების გასათავისუფლებლად.

ცნობილია სერგო ორჯონიკიძის დამსახურება მე-11 არმიის შენაერთებისა და ნაწილების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებასა და ამ არმიაში დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამ არმიამ შემდგომში დიდი დახმარება გაუწია ამიერკავკასიის ხალხებს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეში.

მტკიცე ლენინელი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციას.

1926 წლის სექტემბერში სერგო ორჯონიკიძე აირჩიეს საკ. კპ (ბ) ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად, საიდანაც სულ მალე, 1926 წლის ნოემბერში საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ, მუშგლეხინის სახალხო კომისრად და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დააწინაურეს.

იმხანად ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშურ-გლეხური ინსპექცია (მუშგლეხინი) ერთიან, გაერთიანებულ პარტიულ-სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენდა, მისი მთავარი დანიშნულება ის იყო, რომ კონტროლი გაეწია სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის, ებრძოლა ბოროტმოქმედების, ბიუროკრატიზმისა და ქაღალდომანიის წინააღმდეგ, გაეწმინდა პარტია უღირსი და შემთხვევითი ადამიანებისაგან და სხვ. ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის მუშაობის შესახებ საკ. კპ (ბ) XV ყრილობაზე გამოსვლისას სერგო ორჯონიკიძე აღნიშნავდა: „მთელი ჩვენი მუშაობის ცენტრალური პუნქტი უნდა იყოს ულმობელი, სისტემატური ბრძოლა ბიუროკრატიულ დამახინჯებებთან ჩვენი საბჭოთა აპარატის ყველა რგოლში... სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორ ეპყრობიან კაცს სახელმწიფო დაწესებულებებში, ფაბრიკებში, ქარხნებში, კოოპერაციაში, მილიციაში, სასამართლოში და ა. შ. ბიუროკრატიზმთან ბრძოლა უნდა წარმოებდეს მუშათა და გლეხთა ფართო მასების მეშვეობით“.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელიქს ძერჟინსკი და სერგო ორჯონიკიძე.

1930 წლის 10 ნოემბერს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა სერგო ორჯონიკიძე.

1933 წლის 13 თებერვალს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოსკოვის ჩარხსაშენებელ ქარხანას სერგო ორჯონიკიძის სახელი მიაკუთვნა. ქარხნის კოლექტივს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წერდა: „თქვენი ქარხნისათვის ორჯონიკიძის სახელის მიკუთვნება გავალებთ, დაეუფლოთ სერგოს სტილს, იმუშაოთ როგორც სერგომ, სერგოსავით განუხრელად შეასრულოთ პარტიის მიერ დასმული ამოცანები“.

1930 წლის დეკემბერში სერგო ორჯონიკიძე აირჩიეს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად, ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და იგი საბჭოთა მძიმე ინდუსტრიის ხელმძღვანელი გახდა — დაინიშნა სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრად. საბჭოთა ინდუსტრიის საჭესთან რომ დგებოდა, ჩვენი თანამემამულე სავსებით ჩამოყალიბებული მაღალი რანგის სამეურნეო ხელმძღვანელი იყო. სსრ კავშირის მშენებლობის ყოფილი პირველი სახალხო კომისარი სიმონ გინზბურგი იგონებს: „სერგოს ახლო ნაცნობი ადამიანები იტყოდნენ ხოლმე, ის პირველი მეტალურგიაო, მეორენი მას მთავარ მანქანათმშენებლად თვლიდნენ, მესამენი ქვეყნის მთავარ ქიმიკოსს უწოდებდნენ, მეოთხენი — მთავარ სამთო სპეციალისტს, მეხუთენი — ნავთობის საქმის ყველაზე დიდ მცოდნეს, მეექვსენი იტყოდნენ ავიასაქმის დიდოსტატიაო და არც ერთი მათგანი არ ცდებოდა, ყველანი მართალნი იყვნენ. რაც შემეხება მე, ჩემთვის სერგო ორჯონიკიძე პირველ რიგში დიდი მასშტაბის მშენებელი იყო“.

სერგოს მშენებლები ხედავდნენ იქ, სადაც ყველაზე დიდი სიძნელე იყო. ის განსაკუთრებით ხშირად იმყოფებოდა მეტალურგიული ქარხნების მშენებლობებზე. იმ დღეებში სახალხო კომისარი ასე სახავდა ამოცანას:

„1932 წელს ჩვენ უნდა გავაკეთოთ უდიდესი ნახტომი შავი მეტალურგიის დარგში და როდესაც ამას გავაკეთებთ, ჩვენ წამოვწევთ დანარჩენ დარგებსაც“.

სერგო ორჯონიკიძე პირადად იცნობდა მსხვილი მშენებლობების ხელმძღვანელებს, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს და მოწინავე მუშებს, ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მათ ზრდას, ეხმარებოდა შეცდომების გამოსწორებაში, ასწავლიდა და ახალისებდა. სახალხო

კომისარი განსაკუთრებით გულისხმიერი და ყურადღებიანი იყო რაციონალიზატორებისა და წარმოების ნოვატორთა მიმართ. ხალხი სერგო ორჯონიკიძეს „სტახანოველთა სახალხო კომისარს“ უწოდებდა და ალბათ ბევრმა არც იცის, რომ ორჯონიკიძე იყო პირველი, ვინც ღრმად ჩასწვდა ალექსანდრე სტახანოვის ნოვატორული წამოწყების არსს და ის საერთო-სახალხო კუთვნილებად აქცია.

სერგო ორჯონიკიძემ ალექსი სტახანოვის მოქმედებაში ნათლად განჭვრიტა სტახანოვური მოძრაობის უდიდესი შესაძლებლობანი და პერსპექტივები. მან ალექსი სტახანოვი სახალხო გმირის რანგში აამაღლა, ხოლო მისი შრომითი წარჩინება მილიონების კუთვნილება გახადა. სტახანოვს სულ მალე თავისი მიმდევრები გაუჩნდნენ მრეწველობის სხვადასხვა დარგში.

1935 წლის 12 სექტემბერს, ალექსი სტახანოვის მიერ რეკორდის დამყარებიდან ერთი თვის შემდეგ, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი სერგო ორჯონიკიძე გაზეთ „პრავდაში“ წერდა:

„დონბასის გმირების, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ეს შესანიშნავი მოძრაობა, იმის ბრწყინვალე დადასტურებაა, თუ რა უდიდესი შესაძლებლობანი გვაქვს ჩვენ და როგორ ჩამორჩნენ ცხოვრებას ის ვაიხელმძღვანელები, რომლებიც მხოლოდ ობიექტური მიზეზების ძებნაში არიან, რათა გაამართლონ თავიანთი ცუდი მუშაობა, ცუდი ხელმძღვანელობა. ამხ. ამხ. სტახანოვის, დიუკანოვის, ტერიოხინის და სხვების მიერ ნაჩვენები გზა ქვანახშირის დონბასის გამარჯვების გზაა“.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც სტახანოვურ მოძრაობასთან დაკავშირებით მძიმე მრეწველობის ამოცანებს მიეძღვნა, სერგო ორჯონიკიძემ წამოაყენა ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერების ახალი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლის გაშლილი პროგრამა. მან მთელი თავისი ძალ-ღონე, უშრეტი ენერგია და ორგანიზატორული ნიჭი ამ პროგრამის განხორციელებას შეალია.

სერგო ორჯონიკიძე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა ჩვენს პარტიაში და საბჭოთა მშრომელებში. მედგარი ბოლშევიკის სახელი მისსავე სიცოცხლეში მიეკუთვნა ასობით ფაბრიკა-ქარხანას, შახტსა და კომბინატს, სასწავლო დაწესებულებებსა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, მრავალი ქალაქის ქუჩებს, მოედნებსა და პროსპექტებს, გემსა და მწვერვალს.

ორჯონიკიძის სახელი ერთნაირად ძვირფასია საბჭოეთის ქვეყნის ყველა ხალხისათვის. შემთხვევითი არ არის თუნდაც ის ფაქტი, რომ სერგო ორჯონიკიძის დაბადების მე-100 წლისთავი ჩვენს ქვეყანაში პირველებმა ჩვენმა იაკუტელმა მეგობრებმა აღნიშნეს. ამ წერილის ავტორი, როგორც საქართველოს დელეგაციის წევრი, მონაწილეობდა ზეიმში, 1986 წლის ივნისში რომ გამართეს იაკუტიის ასსრ ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა.

**ტრისტან ჩინჩილაკაშვილი**



# ალექსანდრე ჭავჭავაძე

„ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები დაუბერებელი და მარადიულია თავისი ტანჯვითა და სიყვარულით. ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართული რომანტიკული პოეზიის პირველი ტრუბადურია და ასეთი დარჩება მუდამ, ვინაიდან, ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს, მან „სიყვარულიც იცოდა და ტანჯვაც“.

**იოსებ გრიშაშვილი**

200 წლის წინ დაიბადა გამოჩენილი რომანტიკოსი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი. თბილისში, თელავსა და წინანდალში გაიმართა საიუბილეო საღამოები.



ეროვნული ბიბლიოთეკა




# ჭავჭავაძის ბალადა

ოთარ შალამბერიძე

ეტლი მიდის,
მიიროწევა მტვრიან გზაზე.
თვალს აწყნარებს
ენძელა და ნემსიწვერა.
მაღალ შუბლზე,
ოღონდ არა ჭავჭავაძეს, —
საქართველოს აწერია ბედისწერა!..

ეტლი მიდის,
ჯერ შორს არის საგურამო,
მერე უფრო შორს იქნება...
ჰაი, გიდი!
ეტლი მიდის
სამუდამოდ, სამუდამოდ,
ღმერთმა უწყის, საით მიდის.

ეტლი მიდის,
ჭაჭანება არ ჩანს კაცის,
არ ზოზინობს
ჭაჭვის ხელა თეთრი ბინდიც.
ეტლი მიდის,
ოღონდ არა ჭავჭავაძის, —
წუთისოფლის ეტლი მიდის...

მადლობა ღმერთს! —
უკვე ქალაქს განაშორა,
არც მქირდავი სიტყვა ესმის,
აღარც — ჭორი;
მაგრამ, ნუთუ,
ის ყვავილი ყაყაჩოა?
წიწამურთან
როდის გაჩნდნენ ყაყაჩონი?!.

ეჩვენება:
ფოთლებს ღამე აქვთ სარჩულად,
ვერ არისო
რაღაც რიგზე მოყვანილი...
და მეეტლეც
შავ კოფოზე გაფარჩხულა
სიკვდილისგან
მივიწყებულ ყორანივით...

შავი ეტლი
შავი ბედის ანჯამაზე
მიჭრიალებს,
თითქოს ჯავრი დასწოლია,
შავი ფიქრიც
არ ეშვება ჭავჭავაძეს,
რომ ცხოვრება
ჰო და არას სასწორია!...

დღე არ ცხრება,
და არ ცხრება მზის ალმური,
ხნარცვებიდან
თითქოს გულს ჩხვლეტს ნარ-ეკალი.
ახლოვდება,
მაგრამ არა წიწამური, —
რაღაც უფრო
სასტიკი და გარეგანი!..

მაინც მედგრობს!
თუმცა გული უთვისობით
დაიღალა...
ნასიბიც ხომ ელტვის მედგარს?!
შედგა ეტლი,
ოღონდ არა წუთისოფლის, —
ჭავჭავაძის ეტლი შედგა!..

შედგა ეტლი,
გზა ჩრდილებმა გადარაზეს!
ავი სუნთქვა
ეჭვით მოიგრილიანა...
— რას ჩადიხართ! —
მაგრამ არა ჭავჭავაძემ, —
საუკუნემ დაიძახა:
— ილია ვარ!..

მიწამ რა ქნას,
ცად შეთქმულა თუკი ძერაც,
სიმწრისაგან
დაწურული იწვის მზე როს?!.
წიწამურთან
შეწყვეტილი გულის ძგერა
რა მთამ უნდა დაიძგეროს?!

ჰოი, ცაო,
რაც აქამდე ისხივ-ძირე,
რაც შენს ღრუბლებს
წყევლასავით მოსწყდა ზღველა,
აიწონის
აქ დაღვრილი სისხლი მცირე,
აქ დაღვრილი...
მთელი ქართლის მოსარწყველად!..

ცოდვის ლულქვეშ
უპატრონოდ იდგა ეტლი,
ღვთისგანაც და
კაცისგანაც მივარდნილი.
საქართველო
თითქოს იყო სიზმარეთი
და რცხვენოდა
იმ ერთადერთ სინამდვილის!..

# ილია ჭავჭავაძე და ქართული ფოლკლორი

აპოლონ ცანავა

საქართველოში ფოლკლორული ძეგლების შეკრება-შესწავლა მტკიცედაა დაკავშირებული სამოციანელების გამორჩეული ბელადის ილია ჭავჭავაძის სახელთან. მრავალი ახალი ეროვნული საქმის წამომწყები, ამ საქმის მესაძირკვლედაც გვევლინება.

მწერალმა, თავისი სისხლხორცეული დამოკიდებულება ისტორიის ნამდვილი შემოქმედი მშრომელი ხალხისადმი „მგზავრის წერილებშივე“ წარმოაჩინა ლელთ ღუნიას სახით, რომელთანაც მწერლის საუბარი და ლელთ ღუნიას ცნობილი სიტყვები: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“ — მთელი თაობის ერთ-ერთი სამოქმედო პროგრამა გახდა. ამასთან, მწერალმა ლელთ ღუნია მოხევურ კილოზე აალაპარაკა და ამ კილოს შეუნარჩუნა ის სიზუსტე, რაც ოცი წლის შემდეგ თვით ილიას თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით შედგენილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრების პროგრამის ერთ-ერთ მოთხოვნად იქნა მიჩნეული (იხ. „პროგრამა ხალხის სიტყვიერების შედგენისათვის“, 1882 წ., შედგენილი პ. უმიკაშვილისა და ი. გოგებაშვილის მიერ).

დიდი ილიას ფოლკლორისტულ მოღვაწეობაზე საუბარი უნდა დავიწყოთ მისი ახლო ნათესავის კოხტა აფხაზის შემდეგი მოგონებით: „მამულისადმი უანგარო სიყვარული პატარობიდანვე შეჰყვა ილიას, მეტისმეტად უყვარდა ბაასი გლეხკაცებთან, მეტადრე მოხუცებულებთან. ჰკრეფდა და აგროვებდა ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს, უყვარდა მესტვირეები და სიამოვნებით უგდებდა ყურს“.

განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა შემკრებლობითი მოღვაწეობისათვის დუშეთის მაზრაში მომრიგებელ-მოსამართლედ ყოფნის პერიოდი. ამ წლებში (1870-1871) ჩაიწერა მწერალმა ხალხური ლექსები: „ამირანი“, „ბეჟანიანი“, „გაგვიძელ, ბერო მინდიავ“, „დუქეთს იყრების ლაშქარი“, „ზურაბის მოკვლა“, „ავარდა ბატონიშვილი“, „ქალაქში ფშავლის შვილები“, „ვერ გაიგეთა, ქართველნო“ და სხვა. ილია ჭავჭავაძის შეკრებილი ხალხური ლექსები (რ. ერისთავის ჩანაწერებთან ერთად), ცალკე წიგნადაც გამოიცა 1873 წელს სათაურით: „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები, შეკრებილი რაფ. ერისთავისა და ილ. ჭავჭავაძის მიერ, წიგნი პირველი“.

დიდი ილია თავის ჩაწერილ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს სისტემატურად აწვდიდა ხალხური შემოქმედების თავდადებულ კოლექციონერს პეტრე უმიკაშვილს. ამ კოლექციაში დაცულია ილიასეული ჩანაწერის 52 ნიმუში (1937 წელს, პ. უმიკაშვილის შეგროვებულ სხვა უნიკალურ ნიმუშებთან ერთად, იგი ფილიპე გოგიჩაიშვილმა გამოაქვეყნა ცნობილ კრებულში — „პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება“).

ილია ჭავჭავაძე არა მარტო კრებდა ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებს, არამედ მიზანდასახულად იყენებდა თავის უკვდავ ქმნილებებში. ამაზე დაწვრილებით საუბარი შორს წაგვიყვანდა. სანიმუშოდ გავიხსენოთ „კაცია-ადამიანი?!“-ის ეპიგრაფი — „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“, რომელსაც ილიასეული განმარტებაც ახლავს: „გონიერი ანდაზაა“. შემდეგ კი ძალზე ორიგინალურადაა განმარტებული ანდაზის რაობა, მისი უკვდავება. „სად ხარ ეხლა ამ გონიერი სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაც ხარ... ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ... შენ ხალხის გენიას გეძახიან... შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ“ (იხ. რჩეული, წიგნი II, გვ. 32). გენიალურ „ქართვლის დედას“ ეპიგრაფად საგმირო ხალხური სტროფი უძღვის: „გაგვიძელ, ბერო მინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო, გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო“. ქვემოთ ფრჩხილებში ამ ეპიგრაფს, რომელიც თვითონ ილია ჭავჭავაძის მიერაა ჩაწერილი ხევში, სტეფანწმინდაში, 1871 წელს, ასეთი მინაწერი ახლავს: „ხალხური სიმღერა“.

პოემა „კაკო ყაჩაღში“ ზაქრო, ილიას ენით, ასეთ ამბავს უყვება კაკოს... „და ისევ ზღაპარს გლეხურს მორიგად თითოსა მაინც ყველა ვიტყოდით... არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა, ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული, ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა, ის იყო ჩემი გული და სული“.

ილია ზეპირსიტყვიერების არა მარტო შემკრები და გამომყენებელი გახლდათ, არამედ თავის დროის ფოლკლორისტული კვლევა-ძიების ფუძემდებელიც. კვლევა-ძიების ილიასეული მეთოდი მაშინდელი მსოფლიო ფოლკლორისტიკისა და მითოლოგიის დონეზე იდგა. ეს ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ქართული ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფიის საკითხები სწორედ ილიასეული დასკვნების გათვალისწინებით წარიმართა. მაგრამ, სამწუხაროდ, იყო პერიოდები, როცა ილიას ეს წინასწარხედვა უყურადღებოდ რჩებოდა. არააქტუალურ თემებად იყო მიჩნეული უძველესი და უმდიდრესი ქართული მითოლოგიური პანთეონის შესწავლა, საწესჩვეულებო თუ სხვა გარდასული ჟანრების სტრუქტურის საკითხების დადგენა...

ქართული ფოლკლორის, მითოლოგიის თეორიული საკითხების გარკვევის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ილიას ორ ნაშრომს: „აი ისტორიას“ (1883) და „ხიზნების საქმეს“ (1880-86). ამ გამოკვლევების მიხედვით ირკვევა, რომ ილია საფუძვლიანად იცნობდა თავის დროის მეცნიერულ მონაპოვრებს პირველყოფილი კულტურის, აზროვნების ისტორიის, ეთნოგრაფიის, შედარებითი მითოლოგიის თუ რელიგიის ისტორიის კარდინალურ საკითხებზე. ილიას კვლევა-ძიების მეთოდი შედარებითი მეთოდია, მაგრამ შედარებისას ის ყოველთვის ისტორიულობის პრინციპს ითვალისწინებს. ილიას აზრით, მეცნიერი კვალში უნდა ჩაუდგეს რომელიმე საინტერესო საგნის, მოვლენის კვლევა-ძიებას და „ან სათავიდან ბოლომდე ჩამოყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდან სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისთვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი გამოუჩენია“ (თხზ. II, 1941, გვ. 324).

ასეთი ჩაკირკიტებით იკვლევს ილია ჭავჭავაძე ქართველების წეს-ჩვეულებებსა და რწმენებს, ენობრივ და ფოლკლორულ მოვლენებს, მითოლოგიურ პანთეონს და ა. შ. იგი მსოფლიოში გავრცელებულ ტიპოლოგიურ წეს-ჩვეულებებს ერთმანეთს უდარებს.

ილია წერს: „ფილოლოგიამ და მითოლოგიამ ამ ბოლო დროს ბევრი საკვირველი ჭეშმარიტება აღმოაჩინა მით, რომ სხვადასხვა ხალხთა ისტორიები შეადარა და ამ შედარებით გამოაკვლია ბევრი საგანი, რომელთაც ჟამთა სიბნელეში არც თავი უჩანდათ, არც ბოლო“. ასეთი მსგავსების ახსნისას ილია არ იზიარებს ბენფეის ცნობილ სესხების თეორიას და მთავარ მნიშვნელობას თითოეული ხალხის ადგილობრივ პირობებს, ეროვნულ ვითარებას ანიჭებს: „ყველაზე უწინარეს კაცმა გონება უნდა მიაქციოს ადგილობრივს ვითარებას, რადგანაც ყოველ საგანს ამ შემთხვევაში თავის ადგილზევე აქვს თავისი ძირი და თავისი გზა მსვლელობისა და განვითარებისა“ (თხზ., ტ. VIII, გვ. 133). მიუხედავად ამისა, „ძალიან შეცდება ის, ვინც მარტო ამას დასჯერდება და მარტო აქიდან გამოიყვანს თავის დასკვნას. ბევრი, ძალიან ბევრიც, იმისთანა ნაშთია საზოგადოებრივის თუ ეკონომიურის წყობისა, რომელიც თუმცა არსებობს, მაგრამ მსვლელობის კვალი კი წაშლილი აქვს ჟამთა მდინარებისაგან და ამის გამო მისი ვერც თავი გაიგება, ვერც ბოლო, თუ მარტო ადგილობრივს ვითარებას შეაჩერდა კაცი. ამ შემთხვევაში, აუცილებლად საჭიროა იგივე საგანი გამოიძიოს სხვა ქვეყანაში, სხვა ქვეყნის ისტორიაც მოიშველიოს“ (იქვე). ამგვარად, დიდი ილია გენეტიკური და ტიპოლოგიური კვლევის ასპექტებს აერთიანებს და საგნის თუ მოვლენის კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს.

ილია ჭავჭავაძე, უძველესი წარმოდგენების ახსნის საქმეში, როგორც ეს აღნიშნულია ქართულ ფოლკლორისტიკაში, ანთროპოლოგიური სკოლის პრინციპებზე იდგა (მ. ჩიქოვანი, „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“, 1975, გვ. 227). აი, რას წერდა ილია: „ადამიანის გონებას ყველგან ერთისა და იმავე გზით უვლია თავის წარმატების გზაზე, ერთნაირს შიშსა და საფრთხეს ერთნაირი წამალი მოჰყოლია და ერთნაირ მიზეზს ერთნაირად გაუტაცნია გონება“ (თხზ. II, გვ. 228). ილია თვლის, რომ მსოფლიოში გავრცელებული აკრძალვის (ტაბუს) ტრადიცია სხვადასხვა ქვეყანაში დამოუკიდებლადაა წარმოშობილი. „ეგ ჩვეულება ერთნაირი რწმენისაგან არის წარმომდგარი. უწინ სჯეროდათ, რომ ადამიანის კუთვნილი ფასმე, სარტყელს, სამოსელს, ნაკვეთს, ფრჩხილს, თმას და სხვა ამისთანას, განუწყვეტელი კავშირი და დამოკიდებულება აქვს პატრონთან მაშინაც, როცა პატრონი ერთგან არის და მისი კუთვნილი მეორეგან... რასაც ადამიანის კუთვნილს შეამთხვევთ, ის პატრონსაც შეემთხვევა“ (თხზ. ტ. II, გვ. 325).

წინაპართა კულტიც, ტაბუს მსგავსად, ყველგან არსებობდა. ილიას მიაჩნდა, რომ ლურსმულ წარწერაში მოხსენიებული „ქალდი“ „ქართლოსად“ გადაკეთდა. იგი „ქართულმა მითოლოგიამ დაგვისახელა ქართველთა პირველყოფილ წინაპრად“-ო. ილია განაგრძობს: „შედარებითმა მითოლოგიამ აღმოაჩინა, რომ ეს მითად გადაქცევა მართლისა თუ მოგონილის წინაპრისა, მთელს ქვეყნიერობაზედ შემჩნეულია. ტეილორი, ლებოკი, სპენსერი და სხვანი ბევრს მაგალითს გვიჩვენებენ ამისა... დღესაც მონგოლები ჩინგის-ყაენს ღმერთად ჰხდიან“ (თხზ. ტ. II, გვ. 376).

ილია ჭავჭავაძე მსოფლიოში ცნობილი დარგობრივი ღვთაების წარმოშობას პირველყოფილ აზროვნებასთან აკავშირებს. მას დასაშვებად მიაჩნია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული ღვთაებები (არმაზი, გაცი, გაიმი და სხვ.) ბუნების ძალებს განასახიერებენ. „ძალნი სოფლის მყრობელობისა, მზისა და ნათელის მომფენელობისა, წვიმის მომყვანელობისა, ნაყოფთა აღმომცენებლობისა და სხვა ამისთანა მოვლენისა გაღმერთებულნი იყვნენ ყველა ერისაგან. მთელს დედამიწის ზურგზედ ადამიანის გონებას ყველგან ამ გზით უვლია და ყველა მოვლენასა თუ საგანში ცალკე მიუწვდომელი ძალა უგულვებია და ცალკე ღმერთი შეუქმნია ამ ძალის... მიზეზად და საბაბად. ამიტომაც ვხედავთ საოცარს მსგავსებას რჯულისას სხვადასხვა ერში, რომელნიც თავისდღეში ისტორიის გზაზედ ერთმანეთს არ შეჰხვედრიან. მსგავსება — კი ისე საოცარია, თითქო ერთმანეთისაგან მიუღიათ, ერთმანეთისათვის მიუბაძავთო... გვანება, **მსგავსება რჯულისა, ანუ ღმერთებისა, ყოველთვის არ ნიშნავს ერთის ერისაგან მეორის მიერ მიღებას. აქ შესაძლოა ერთმა ერმა თავის-თავად ისეთივე რჯული შექმნას, როგორც სხვა ერმა, მსგავს ბუნებასა და გარემოებაში მყოფმა**“ (თხზ. ტ. II, გვ. 378, ხაზგასმა ჩვენია). ამ შემთხვევაში აშკარად იგრძნობა, რომ ილია ჭავჭავაძე თვითჩასახვის ანუ ანთროპოლოგიური თეორიის თვალსაზრისზე დგას.

ტეილორის, ლებოკის, სპენსერის, ვებერისა და სხვათა შრომების საფუძველზე ილია ჭავჭავაძემ პირველად გააცნო ქართულ საზოგადოებას ველურების ყოფაცხოვრებისა და რწმენის უძველესი ფაქ-

ტები. ფიჯიელები, ბილახელები, არაუკანელები, ჭამის დაწყებისას ნაწილს ხორაგისას ცალკე გადაისვრიან, სასმელს ისე არ უთავაზებენ სხვას, თავი რომ არ გადაუქციონ, საჭმლის ნაწილს მიცვალებულების სულებისათვის ინახავენ და ა. შ. მსგავს ჩვეულებას ილია ქართველთა რწმენაშიც ადასტურებს და აღნიშნავს, რომ ეს ტიპოლოგიური მსგავსება საერთო რწმენის შედეგიაო. იგი წერს: „შედარებითმა მითოლოგიამ გამოარკვია, რომ ყოველს ერს დედამიწის ზურგზედ თითქმის ერთნაირი გზა გამოუვლია... (რასაც) ერთგვარი ჩვეულება მოჰყოლია“ (თხზ. ტ. II, გვ. 383).

ილია ჭავჭავაძე ვერ იტანდა ცალმხრივ გატაცებას. მისი აზრით, ხალხის საუნჯე არა მარტო პოეტური შემოქმედებით უნდა შეფასდეს, არამედ სხვა ნაწარმოებებითაც. „ეს საუნჯე, — წერს დიდი ილია, — უხვად დათესილი და დარჩენილია ისეთ ნაწარმოებებში, რომლებიც სრულებით არ ეკუთვნიან პოეზიის სფეროს“ (თხზ. II, გვ. 502). სადაც ხალხური ყოფის შესწავლა ნამდვილ გზაზეა დაყენებული, „იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლევლად არაფერსა სტოვებენ. სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირი შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი“ (იქვე, გვ. 503). დიდი ილიას ეს სიტყვები, როგორც ითქვა, დღევანდელობასაც ესადაგება და ააშკარავებს იმ შეცდომებს, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს მეცნიერებაში 40-50-იან წლებში, როცა საჭესჩვეულებო მაგიურ, მითოლოგიურ თუ ზოგიერთი სხვა ჟანრის შესწავლაზე ტაბუ იყო დადებული. თვით ტაბუს ტრადიციის შესწავლა კი ცხრაგზის იყო ტაბუირებული.

ყოველივე აღნიშნული ნათლად ადასტურებს ხალხური შემოქმედების კარდინალური საკითხებისადმი დიდი ილიას საოცრად ამაღლებულ და ღრმა მეცნიერულ დამოკიდებულებას.

ჩვენი წერილის დასასრულს უნდა გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილი — „ქართული ხალხური მუსიკა“, რომელიც აცვიფრებს მკითხველს ხალხური მუსიკის ილიასეული შეფასებით. იგი არაა ჩვეულებრივი საგაზეთო წერილი. აქ უაღრესად კომპეტენტური პიროვნება გველაპარაკება და საოცრად მწყობრ მეცნიერულ დასკვნებს გვთავაზობს. ასე, მაგალითად, მუსიკალური ხმისა და პოეტური სიტყვის ჰარმონიულობის თაობაზე დიდი ილია წერს: „ხმა და სიტყვა ცალ-ცალკე ბევრს შემთხვევაში უღონონი არიან ადამიანის გულის სიღრმიდან ამოზიდონ იგი სხვილი და წვრილი მარგალიტები, რომელთაც სავსეა ადამიანის გული და რომელნიც აიშლებიან ყოველთვის, როცა ან სევდამწუხარებაა, ან სიხარული შესძრავს ხოლმე ღვთაებურს სიმებს ადამიანის სულიერებისა“ (თხზ. ტ. II, გვ. 130). ილია დამაჯერებლად, შეუვალი ფაქტებით ადასტურებს ქართული სიმღერების თვითნაჩენობასა და თვითმყოფობას (ქართული სიმღერა, „თვით-ნაჩენი, თვითმყოფი სიმღერაა“-ო). „მუსიკის მცოდნე კაცთა თვალში,—განაგრძობს ილია,—ქართული სიმღერები „სრულს, ახალს ამბავს უნდა წარმოადგენდეს მუსიკის ისტორიისა და თეორიისათვის“ (თხზ. ტ. II, გვ. 133). ყოველ ერს ხმა-თავისებური კილო გააჩნია. ამის გამო, „გულის-თქმაც, გულის გამომეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველს ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის“ (იქვე, გვ. 131). საოცრად პრეციოზულია დიდი ილიას შემდეგი დასკვნა: „სამწუხარო და სასიხარულო სიმღერას შუა კიდევ მრავალგვარი სიმღერა და გალობანია. ამ მხრივ ადამიანის გული იგივე ზღვაა, რომელიც კოვზით არ დაილევა თავისდღეში. მინამ გული ძგერს, გულივე ათასნაირს სიმთ ააჟღერებს ხოლმე ათასნაირის მიზეზითა, და რადგანაც მიზეზი გულისთქმისა ულეველი და დაუსრულებელია, თვით სიმღერას, რომელიც მარტო გულის-თქმაა და სხვა არა-რა, ბოლო და დასასრული არ ექნება თავისდღეში, ვიდრე ეს დედამიწის ზურგი ატარებს და იშვნევს ადამიანსა“ (იქვე, გვ. 131).

დღეს თვით დიდ ილიაზე შეგვიძლია გავიმეოროთ ის სიტყვები, რაც მან ქართული ხალხური სიმღერების უკვდავებაზე თქვა: ილიასადმი ქართველი ხალხის სიყვარულს „ბოლო და დასასრული არ ექნება თავისდღეში, ვიდრე დედამიწის ზურგი ატარებს და იშვნევს ადამიანს“.

გიორგი ჯავახიშვილი

# თელავის თეატრის სცენაზე

ასი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც თელავის თეატრის სცენაზე დაიქუხა ილია ჭავჭავაძის მხატვრულმა სიტყვამ. თელაველმა სცენისმოყვარეებმა პირველად 1888 წელს დადგეს დრამატული პოემა „დედა და შვილი“. დედის როლს ბარბარე ავალიშვილი ასრულებდა, შვილისას — ვიქტორ გამყრელიძე (აწყურელი). ცალკეული სურათების წარმოდგენის წინ ისმოდა ხალხური სიმღერები, რომელსაც მღეროდნენ თელაველი მომღერლები ზაქარია ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით, იმავე პიესის ხელახალი დადგმა 1890 წელს განხორციელდა. ხოლო 19 წლის შემდეგ, 1909 წელს, კიდევ დაიდგა „დედა და შვილი“, მაკო საფაროვა-აბაშიძისა და დავით გამყრელიძის შესრულებით. ლაშქრულ სიმღერას მღეროდნენ ნ. სულხანიშვილის გუნდის წევრები, საეკლესიო გალობას კი ასრულებდა ი. მონადირიშვილის გუნდი.

ილია ჭავჭავაძის სიკვდილის შემდეგ თელავში სათავე დაედო სახალხო დღესასწაულის „ილიაობის“ ჩატარებას. ამ დროს ზეიმზე ილიას ნაწარმოებების მიხედვით იდგმებოდა სხვადასხვა სცენები, რომლებსაც განასახიერებდნენ თელაველი მსახიობები, წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლისა და გიმნაზიის მოსწავლეები. „სახალხო გაზეთის“ ცნობით, 1912 წელს „ილიაობისათვის“ მოუმზადებიათ პოეტის „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“, მაგრამ მთავრობას მისი წარმოდგენის უფლება არ მიუცია („სახალხო გაზეთი“, 1912, № 670).

1916 წელს დრამატურგმა ნიკო შიუკაშვილმა მოამზადა „კაცია ადამიანი?!“ მისი დადგმა გადაწყვეტილი იყო ღია ცის ქვეშ ნადიკვარზე, მაგრამ ეს იდეა ვერ განხორციელდა. ამასობაში ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილში გაჩნდნენ ორი ბუმბერაზი მამულიშვილის ილიასა და აკაკის ღვაწლის შემდარებელ-დამპირისპირებელნი. ამ მოკამათეების საუბარში ჩაბმულან კიტა აბაშიძე, ივანე გომართელი, გიორგი ქუჩიშვილი, ნიკო შიუკაშვილი და სხვები. ნიკო შიუკაშვილმა მაშინ დაწერა პიესა, რომლის დედაარსი იყო: ილია, აკაკი და საქართველო ურთმანეთოდ წარმოუდგენელია. ეს პიესა თელავში მხოლოდ საოჯახო სცენაზე დაიდგა ნადიკვრის უბანში, ვახვახიშვილების, აბაშიძეების და შიუკაშვილების ოჯახების თეატრალური ძალებით.

პოეტის დაბადების 100 წლის საიუბილეოდ თელავის სახელმწიფო თეატრმა თავის რეპერტუარში შეიტანა „კაცია ადამიანი?!“, რომელიც განხორციელდა 1936-37 წლის სეზონში (რეჟისორი გალაქტიონ რობაქიძე, მხატვარი რ. მირზაშვილი, მუსიკა რ. გოგნიაშვილისა).

1947 წელს თელავში „ილიაობაზე“ მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა საქართველოს სახალხო არტისტი თამარ ჭავჭავაძე და მან თელავის თეატრის მსახიობ გიორგი მამუჩიშვილთან ერთად წარმოადგინა სცენები პიესიდან „დედა და შვილი“.

50-იანი წლებიდან თელავის თეატრის სცენაზე ხშირად იდგმებოდა ილიას ნაწარმოებები.

1956 წელს თელავში „ილიაობის“ ჩატარების მესვეურობა ითავა თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის დრამატულმა წრემ. მუშათა კლუბში ილია ჭავჭავაძის თანამედროვემ ივანე პაატაშვილმა საინტერესო მოგონებები გააცნო მოზეიმეთ. შემდეგ სცენა დაეთმო დრამატულ წრეს, რომელმაც წარმოადგინა სცენები „გლახის ნაამბობიდან“ და „ბატონი და ყმა“. დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს ქ. ჩხეიძემ და დ. შპილევოვმა.

1957 წელს ჩვენმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავი. გადაწყდა, თელავის თეატრში დადგმულიყო პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემაზე დაწერილი გ. ნახუცრიშვილის პიესა „წიწამური“. რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მიხეილ მეძმარიაშვილმა, მხატვარმა დ. ბალარჯიშვილმა და მუსიკის ავტორმა შ. კიკვიძემ დიდძალი დამატებითი მასალა შეკრიბეს პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. რეჟისორი და მსახიობები შეხვდნენ ილიას თელაველ და ყვარლელ თანამედროვეებს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ივანე პაატაშვილთან, გრიგოლ კოლელიშვილთან, ნიკო ხატისკაცთან, ნიკო როსტომაშვილთან და ლევან გოგოჭურთან საუბრები. ილიას როლის შემსრულებელი, საქართველოს დამსახურებული მსახიობი გიორგი მამუჩიშვილი გადმოგვცემს: „ბედმა გამიღიმა და ილიას როლი შემომთავაზეს. დაიწყო რეპეტიციები და აი, საოცრება. ერთ-ერთი რეპეტიციის დროს თეატრის დირექტორის კაბინეტში გამომიძახეს. ამ დროს უკვე რეპეტიციას გავდიოდი ილიას გრიმსა და კოსტუმში. ასე გამოწყობილი შევედი დირექტორთან. ოთახში შესვლისთანავე ვიღაც მოხუცი სკამიდან წამოდგა და შეჰყვირა: საოცარია, ილიაა, ილიაა; ის ცხონებული... იგი მოწიწებით მემთხვია შუბლზე და აცრემლდა. აღმოჩნდა, რომ რეჟისორს ილიასთან დუშეთის სასამართლოში მომუშავე ერთ-ერთი მუშაკი ჩამოეყვანა, რათა ერთხელ კიდევ შეემოწმებინა რამდენად იყო ილიასა და ჩემს შორის გარეგნული მსგავსება. ამის შემდეგ უფრო მეტი გამბედაობა მომეცა და დიდი მონდომებითაც განვაგრძე მუშაობა როლზე“.

პიესაში როლები დიდი შთაგონებით შეასრულეს მსახიობებმა მარიამ ლალაშვილმა (ოლღა გურამიშვილი), ოლია შუბითიძემ (ილიას და), გრ.



ცნობილი საბჭოთა მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი დიმიტრის ძე გულია ამ დღეებში თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

ჟურნალ „დროშის“ რედაქციის კოლექტივი გულწრფელად ულოცავს გიორგი გულიას ამ დიდ აღიარებას და აქვეყნებს ერთ-ერთ მოთხრობას წიგნიდან — „იყო და არა იყო რა, იყო აფხაზი ბიჭი“, რომელიც „მოლოდაია გვარდიამ“ გამოსცა.

ეს მოთხრობა ავტორმა თავის თბილისელ მეგობარს, საქართველოს სსრ დამსახურებულ ჟურნალისტს **ვახტანგ ესვანჯიას** მიუძღვნა.

# მარადიული მოძრაობა

**გიორგი გულია**

ღმერთო, მომაგონე! ეს როდის ამეკვიატა აზრი მარადიულ მოძრაობაზე. ერთი კი შემიძლია ვთქვა დანამდვილებით: ის ჩემთვის ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსებს არ აღმოუჩენიათ. თვითონ მივაკვლიე და, როგორ გგონიათ, სად? ერთ აფხაზურ სოფელში, რომლის სახელია ტამში. იქ ცხოვრობენ ბიძია ნიკუა და ბიცოლა კატია. ამ საქმეში დამეხმარნენ ბიძაშვილები მარია (შინაურულად რომ ზოიას ეძახიან, და იცკასაც), ოლღა, ძმა დიგუა და ვალოდია.

არა, ეს არ გახლდათ ეგრეთწოდებული სამეცნიერო ექსპედიცია, ამ სიტყვის ფართო გაგებით. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, უბრალო, ცხოვრებისეულმა ცნობისმოყვარეობამ უეცრად საკვირველება აღმომაჩენინა. აქ მართებული იქნებოდა გახსენება ნიუტონის ცნობილი ვაშლისა, რამაც მსოფლიო მიზიდულობის კანონი აღმოგვიჩინა.

მაგრამ, სჯობს გზიდან არ გადავუხვიოთ.

ივნისის ერთ მშვენიერ დღეს მამამ მე და დედაჩემი სოხუმიდან კატია ბიცოლასთან გაგვაგზავნა სტუმრად. ბევრი ვიარეთ თუ ცოტა დამტვერილ შარაზე დილიჟანით, ბოლოს და ბოლოს ყველა საღ-სალამათი ჩავედით ტამში, სადაც ბიძია ნიკუა ალანი დაგვიხვდა. სოფელი ტამში, იმდროინდელი ანგარიშითა და ჩვენი წარმოდგენით, თითქმის მთელი ორმოცი კილომეტრით იყო დაშორებული ქალაქიდან.

ალანების სახლი მწვანეში იყო ჩაფლული. ეზოს გარშემო ერტყა სქელი მაყვლნარი, რომლის გავლა არათუ ადამიანს, ალბათ ხვლიკსაც კი გაუჭირდებოდა. მაყვლის ბუჩქებს ფუნდუკის კოლომი უკრა, სამოთხის ბაღს რომ მოგვაგონებდით და რაზედაც ხშირად გვიყვებოდა ბებია ფატინე. საკმაოდ ვრცელ ეზოს დაბალი, ტყრუშული ღობე ჰქონდა შემოვლებული. მინდორში კი კონდარი ბიბინებდა. ეზოში დასეირნობდნენ ციცრები, მარაოსებურად შლიდნენ კუდს ინდაურები, ხოლო წვერცანცარა თხებმა სიხარულით გაგვაოგნეს. არაფერი რომ არა ვთქვათ კამეჩებზე, დიდხანს რომ გვათვალიერებდნენ ფართო და ჭკვიანი თვალებით.

დიგუამ დამატარა ჭალიკონი და მანახა ცხენის ძუისგან მოქსოვილი მახე:

— ჩიტების საჭერია, — თქვა მან.

დიგუა ჩვენზე ცოტათი უფროსი იყო და კიდევაც გვაოცებდა საბუნებისმეტყველო მეცნიერების ცოდნითა და გაგებით. მაგალითად, მან ჩაგვაგონა, რომ ციცრის ხორცი ქათამზე გემრიელია, რომ ორივეზე გემრიელი ბატკანია. ხოლო ბებერი თხის ხორცს ისეთი უჟმური და მყრალი სუნი დაჰკრავს, არც უნდა მიეკაროს ადამიანი. მან საბოლოოდ გამოაცხადა თავისი თავი ფაუნის საუკეთესო მცოდნედ და პირი დაგვაღებინა, ისეთი რამე მოგვითხრო:

— ერთმა ჩვენმა მეზობელმა, კუჩირი რომ ერქვა, ხოხობი დაიჭირა. წასწყვიტა თავი და ცოლს უთხრა, შემიწვი და შემი-

---

კევლიშვილმა (აკაკი), ჯ. ბოხუამ (იაკობ გოგებაშვილი) და სხვ.

შემორჩენილია ქართული პრესის უხუცესი თანამშრომლის ივანე პაატაშვილის (მისი ფსევდონიმებია „დავიწყებული“, „თელაველი“, „დემეტრაშვილი“ და სხვა) შთაბეჭდილებები „წიწამურის“ დადგმაზე (ეს 15-გვერდიანი ხელნაწერი რეცენზია დაცულია თელავის სახელმწიფო თეატრის არქივში და მდიდარ მასალას იძლევა).

აღნიშნულ დადგმაში ივ. პაატაშვილს განსაკუთრებით მოსწონს ილიას როლის შემსრულებელი, საქართველოს დამსახურებული მსახიობი გიორგი მამუჩიშვილი.

თითქმის მთელმა საქართველომ ნახა ეს მშვენიერი სპექტაკლი. მაყურებელი განსაკუთრებით მოხიბლული იყო მსახიობთა მეტყველების მაღალი კულტურით. ილიასეული ლექსის ანდამატი სდევდა მსახიობსაც და მაყურებელსაც.

...ამ პერიოდის თელავის თეატრალურ ცხოვრებაზე კარგად მეტყველებს საქართველოს სახალხო არტისტის შალვა ღამბაშიძის შთაბეჭდილება, რომელიც დაცულია თეატრის არქივში: „თელავის თეატრის კოლექტივმა განსაკუთრებული კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, როგორც მხატვრული, აგრეთვე დისციპლინის მხრივ. ერთი კარგი ღირსება შევნიშნე ამ კოლექტივს. ეს არის, რომ ყველა მსახიობი წარმოთქმულ ფრაზას დიდი განცდითა და დამაჯერებლობით ამბობს. ეს უსათუოდ ღირსებაა ყველა თეატრისათვის. მადლობა თელავის თეატრის ხელმძღვანელს მიხ. მეძმარიაშვილს მუყაითი და ენერგიული მუშაობისათვის. მადლობა თეატრის მთელ კოლექტივს. შალვა ღამბაშიძე. 7. XII“.

გადაწყდა, რომ ყვარელში ილიას საიუბილეო საღამოზე თელავის თეატრს წარმოედგინა „წიწამური“. სოფელ შაქრიაანიდან დაწყებული ყვარელამდე მოზეიმე ხალხი გამოშლილიყო. უწყვეტ ნაკადად მოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან სტუმრები. ეტლში ისხდნენ ილია და ოლღა (საქართველოს დამსახურებული არტისტები გ. მამუჩიშვილი და მ. ლალაშვილი) მოუყვებოდნენ ყვარლის გზას და მოწიწებით ესალმებოდნენ დიდი ილიას შთამომავლებს.

ბედმა არგუნათ მარიამ ლალაშვილსა და გიორგი მამუჩიშვილს ილიას და ოლღას გარდა, ეთამაშათ ლუარსაბისა და დარეჯანის როლიც. სეზონიდან სეზონში გადადიოდა „კაცია ადამიანი?!“ და არ აკლდებოდა მაყურებელი. მათ მიიღეს მონაწილეობა სახალხო ზეიმებში ყვარელში „ილიაობაზე“ და პირველ „გრემქალაქობაზე“ .

1958-1959 წლის სეზონში თელავის თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“, რომელიც პიესად გადააკეთა თელაველმა ცნობილმა მასწავლებელმა და თეატრალმა შალვა გოცირიძემ (1908-1986 წწ.). დადგმა განახორციელა რეჟისორმა ნოდარ დეისაძემ, მხატვრობა ეკუთვნოდა



ესკიზი „ოთარაანთ ქვრივიდან“. მხატვარი ი. პეტრიატი.

დ. ბალარჯიშვილს, მუსიკა მიხეილ ჩირინაშვილს.

დაუვიწყარი იყო ნოდარ დეისაძის დათო, დავით მდივნიშვილის ბეჟანი, მარიამ ლალაშვილის მაგდანა, ვახტანგ ჩელთისპირელის მიკიტანი, აკაკი ბატიაშვილის ბერიკა, ბიძინა ჯავახიას დარისპანი დავიდიჩი, ლევან მალიანის სოსიკა, გიორგი მამუჩიშვილის პეტრე, ჯ. ბოხუას ივან პეტროვიჩი და სხვ.

განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა გიორგი მამუჩიშვილის პეტრემ. აი რას წერდნენ მაშინ: „იგი ნამდვილად ილიასეული ქართველი მადლიანი, გამრჯე ალალმართალი გლეხია. მსახიობი როლის შინაგანი ბუნების გადმოცემისას უაღრესად გულწრფელია და ყოველგვარი დამატებებისაგან თავისუფალი, ამიტომ სჯერა მაყურებელს გ. მამუჩიშვილის ფსიქოლოგიური განცდებისა“ („კოლმეურნის ხმა“, 1959 წ. № 11).

სპექტაკლმა „სარჩობელაზე“ მაშინ თითქმის მთელი საქართველო მოიარა და მოხიბლა მაყურებელი. დაიწერა საინტერესო რეცენზიები. ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ: „შ. გოცირიძის პიესის „სარჩობელაზე“ დადგმით თეატრმა სასარგებლო საქმე გააკეთა განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, რომლ ე ბ ი ც სწავლობენ ჩვენი ქვეყნის წარსულს და ილია ჭავჭავაძის მდიდარ კლასიკურ მემკვიდრეობას“ („კოლმეურნის ხმა“, 1959 წ. 25 იანვარი).

თელავის თეატრის სცენაზე ყველაზე დიდი ხნის სიცოცხლე მოუწია ილიას „კაცია ადამიანს“. იგი დაიდგა 1964-65 წლების სეზონშიც (რეჟისორი გურამ მაცხონაშვილი).

1968-69 წლების სეზონში რეჟისორმა გიორგი აბრამიშვილმა კი დადგა „გლახის ნაამბობი“ (მხატვრობა ეკუთვნოდა დ. ბალარჯიშვილს, მუსიკა ი. ბობოხიძეს), პეპიას დაუვიწყარი სახე შექმნა საქართველოს სახალხო არტისტმა ვახტანგ ჩელთისპირელმა, ხოლო გაბრიელის როლი ბრწყინვალედ შეასრულა რამაზ ბუჭყურაშვილმა.

ასეთი გზა აქვს გავლილი თელავის თეატრის სცენაზე ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს.

ბრაწეო. ის იყო, ცოლს უნდა ჩამოერთმია ნანადირევი, რომ ხოხობმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და სადღაც ტყეში გაუჩინარდა. გასაკვირალი ისაა, რომ ხოხობი უთავო იყო.

„საკვირველებაც ასეთი უნდა“, გავიფიქრე, მისი ამბავი რომ მოვისმინე.

იცკამ და ოლიამ მანახეს, როგორ წველიდა ძროხებს ბიძია ნიკუა, როგორ ამზადებდა კატია ბიცოლა ელარჯს, უგემრიელეს საჭმელს, ღომითა და ახალამოყვანილი ყველით რომ აკეთებდა. ღომი იყო თეთრი და ნათელი, ყველი კი ყვითელი და ერბოიანი, ელარჯი იწელებოდა, როგორც რეზინი, მთებში მიმავალი მონადირეები, როგორც ჩანს, საფუძვლიანად ამბობდნენ, — ერთი ამოგება ელარჯი მსუყეა, როგორც მთელი ბატკანი, და მსუბუქია, როგორც ჰაერი. ეს ერთი ულუფა ჰყოფნიდათ კაცებს მთელი დღის მანძილზე. მერე დებმა მე და ჩემი ძმა ბოსელში წაგვიყვანეს, სადაც გამხმარ ჩალის ღეროებს ახრამუნებდნენ ძროხები და კამეჩები. ხოლო პირზე რძემომდგარი ზაქები გამორჩევით შეგვიყვარდა.

ერთი სიტყვით, სამოთხეში ვცხოვრობდით, ნამდვილ აფხაზურ სამოთხეში. ღამღამობით სადღაც ძალიან მახლობელი ჩირგვებიდან და ჯაგებიდან ტურების კნავილი ისმოდა. მელიები აწრიალებდნენ ქათმებს. ეგ იყო, დათვები არა ჩანდნენ.

ერთხელ ბიძია ნიკუამ კამეჩები შეაბა ურემში, ზედაც ერთი ტომარა სიმინდი ჩამოდო და ხმამაღლა იკითხა:

— აბა, ვის უნდა წამოსვლა წისქვილში?

ბიჭები ამ დროს წითელდეზებიანი, მოჩხუბარი ინდაურების ცქერით ვიყავით გართული.

— რომელ წისქვილში? — ვიკითხე გახარებულმა.

— წყლის წისქვილში, — მიპასუხა ბიძია ნიკუამ.

რვა წლის ბალღი რომ არ ვყოფილიყავი, ცხადია, მეცოდინებოდა, რომ ტამში მხოლოდ და მხოლოდ წყლის წისქვილი იყო გამართული.

— წავედით! — თქვა დიგუამ.

— წავედით! — კვერი დაუკრა ვალოდიამ.

და ურემზე მოვკალათდით.

ჩემს ახოვან ბიძია ნიკუას ჩოხა აცვია, წელზე მოოქროული ხანჯალი ჰკიდია. ბიძია ნიკუამ გასაპნა ურმის ღერძი და კამეჩებს წინ დაუდგა, მერე წადგა ბიჯი და კამეჩებიც მშვიდად დაიძრნენ.

— ფრთხილად იყავით, — მოგვაძახა დედამ აივნიდან.

ურმით მგზავრობა ნეტარებაა. შენ თითქოსდა მოოქროულ ჩარდახზე ზიხარ და ყველაფერს ხედავ. კამეჩები სპილოებივით დინჯად მიაბოტებენ. გასაპნული ურმის ღერძი მიჭრიალებს და უნაზეს მელოდიას გამოსცემს, თითქოს მაფშალია გალობდეს ან შაშვი ჭახჭახებდეს.

მივყვებით ვიწრო შუკას და გზისპირა ჩირგვების ტოტებს ვეხახუნებით. ვალოდია გზა-გზა მაყვლის მოწყვეტასაც ახერხებს. დიგუას ეღიმება, ვერ გაუგია, ასე რა გვიხარია. იმის თვალში დედას ბიჭები ვართ და სულაც არ ვგავართ გლეხის შვილებს, რაგინდ რა საქმისათვის რომ აქვს შეჩვეული დაკორძილი ხელები.

შორს, ცის ტატნობზე, ქორი დაფრინავდა. მისი ხრიკები ჩვენთვის ნაცნობი იყო. ქორები, და ხანდახან მთის არწივებიც კი ეცემოდნენ ჩვენს ეზო-კარს სოხუმში, და მარჯვედ იტაცებდნენ წიწილებს. იქნებ აქაურ ქორს წიწილებად მივაჩნდით იმ წუთას მე და ვალოდია.

ურმით მოგზაურობას (ოთხი კილომეტრი საათში) თავისი მომხიბვლელობა აქვს: ყოველი მცენარე, ყოველი ჭიანჭველა შენ თვალწინაა. არაფერი გამოგეპარება. ურემს დილიჟანსს ვერ შეადარებ. დილიჟანსი საათში ათ კილომეტრს მაინც გაივლის. დილიჟანსის კოფოზე თუ ხარ წამოსკუპებული, ქარი ისე გიბერავს, შეიძლება ქუდიც მოგტაცოს. ურმით მგზავრობისას კი ეგებ კიდევაც ჩაგეძინოს. მე არაერთხელ მინახავს გემრიელად ჩათვლემილი მეურმეები, კამეჩები კი მიდიან და მიერეკებიან თავისთვის, იქნევენ კუდებს...

ვიწრო შუკა თემშარაზე გავიდა, ხოლო თემშარამ მალე წისქვილში მიგვიყვანა. ოღონდაც ეგ იყო, რომ გზად მდინარე დგამშზე ბონდის ხიდის გავლაც მოგვიხდა.

ადრეც მენახა ასეთი წისქვილი, მაგრამ უკვე დამვიწყებოდა. პატარა ბიჭუკელას თავში მუდამჟამს უფრო სადიდო ფიქრები ტრიალებენ და სადაა ადგილი წისქვილისათვის. ამიტომაც იყო, ალბათ, რომ ტამშის წისქვილი არაჩვეულებრივი მომეჩვენა.

ეს იყო რაღაც უხიაგი შენობა: კარმორღვეული და უფანჯრებო. ფიცარსა და ფიცარს შუა, ჭუჭრუტანაში, ორი თითი თავისუფლად გაეტეოდა. სახურავი კი მაგარი ჰქონდა, სამფა ყავრით გადახურული. გასაგებიცაა. მთავარია, არ გაჟონოს წვიმის წვეთმა და ახალჩამოსული სიმინდის ფქვილი არ დაასველოს, ქარმა კი იტრიალოს რამდენიც უნდა!

ფართო და განიერი წისქვილი იყო. აბა, რა იქნებოდა! აქ ხომ ორი წყვილი დოლაბი ბრუნავდა. ამიტომაც ვერ ნახავდით რიგსა და ხალხმრავლობას.

წისქვილს იმ დროს მივადექით, ერთმა გლეხკაცმა ტომარა სიმინდი რომ ჩამოიღო ზურგიდან. ცოტა შევიცადეთ.

ბიძია ნიკუამ გააბოლა, კამეჩები გამოხსნა და გლეხებს გამოელაპარაკა.

ბალღები იქით გავეშურეთ, სადაც წყალი ხმაურობდა და ხავსმოდებული წისქვილის ბორბლებს აბრუნებდა.

წისქვილის ბორბლებმა კარგა ხანს მიიქციეს ჩვენი ყურადღება.

ისინი შეუსვენებლივ ბრუნავდნენ და წყალს აშხეფებდნენ. ისეთი ხმაური იდგა, როგორსაც ნამდვილი მანქანები გამოსცემენ. მე და ვალოდიამ ფერდობით დაბლა, ბორბლებთან ჩასვლა მოვინდომეთ, მაგრამ დიგუამ არ გვირჩია, ბიძია ნიკუამ კი საბოლოოდ აგვიკრძალა ამაზე ფიქრი.

— ამ ფრთიან ბორბლებს კაცის მოკვლაც შეუძლიათ, — თქვა მან.

მოხიბლულნი ვიდექით და თვალს ვერ ვაშორებდით ლიმონათივით შუშხუნა წყლის ჭავლს. საოცრებაა, აბა, რა არის: ხის დაბრეცილ ღარზე ჩამორბის წყალი, ენარცხება ბორბლის ფრთებს, ბორბალი ბრუნავს და ამოძრავებს დოლაბის ქვებს.

მაგრამ რამდენ ხანს უნდა იტრიალონ ამ ბორბლებმა ღერძის გარშემო? შეიძლება თუ არა ამათი გაჩერება? სოფელში გაზრდილმა დიგუამ არა მარტო ამ წისქვილისა და ცხენის ძუისაგან მოქსოვილი მახის ასაგის-გასაგისი იცის, ცხადია...

მან თქვა:

— წყალს დიდი ძალა აქვს. წყალს შეუძლია ვეება მორები წაიღოს. მისი გაჩერება არ იქნება. ან კი ვის ძალუძს მოთოკოს დგამში? არავის. თვითონ ღმერთსაც კი!

მე უნებურად მაღლა ავიხედე. ღმერთი, უეჭველია, რომ ცაში სუფევს, ღრუბლებზე მაღლა. ნუთუ ღმერთსაც არ ემორჩილება ეს მდინარე? შეუძლებელია...

ღარში ხმელი ფოთოლი ჩავაგდე, ფოთოლი დატრიალდა, დაბლა ჩაეშვა და გაქრა მირიად შხეფებში. ამას რომ ხედავდა, ვალოდია ჩემზე ნაკლებად როდი იყო გაოცებული. ჩვენი შემყურე დიგუა კი მოწყალედ იღიმებოდა, თუმცაღა ცდებოდა, რასაკვირველია.

მაგრამ მთავარი მაინც წინ იყო.

მე მაღლა-მაღლა ავყევი ღარს და ათიოდე ნაბიჯზე ხის საგუბარი აღმოვაჩინე.

დიგუამ ამიხსნა, რომ ამ ღარში წყალი დგამშიდან მოედინებოდა, ასიოდე ნაბიჯით მაღლა წყალსატევი იყო გამართული, რაც ამარაგებდა წისქვილს. ეს ხომ ისედაც ცხადი იყო და რა ახსნა სჭირდებოდა. მაგრამ თვითონ წყალი? როგორ მოძრაობს თვითონ წყალი და როგორ არ იწრიტება, თუკი პატარა საგუბარი გამუდმებით ღიაა. სად ვეძიოთ საიდუმლო?

მე ჩამოვჯექი საგუბართან. ჩავყავი თითი წყალში და ჩავფიქრდი. ჩემს მოპირდაპირედ ჩამოჯდა ვალოდია და ისიც წაიღო ფიქრმა. თუმცა ნამდვილად კი არ ვიცი, ისიც იმაზე ფიქრობდა თუ არა, რაზედაც მე. ყოველ შემთხვევაში, დიდი საიდუმლო იმას არ გააჩნდა. დიგუას კი ეღიმებოდა. უხაროდა, ეს უბრალო, ღარში ჩამოსული წყალი ასე რომ გვართობდა. რაც არ უნდა იყოს, დიგუა იყო ჩვენი მასპინძელი, მასპინძელი კი აფხაზური წეს-ადათით სტუმართმოყვარეა და კეთილი.

მე შემიძლია აქ გავკადნიერდე და მოვიგონო რაღაც ჭკვიანური. შემიძლია, მაგალითად, ვთქვა, ის, რომ არისტოტელემ, პლატონმა და სოკრატემ ჩემზე არცთუ შესამჩნევი გავლენა იქონიეს, რომ ერთსა და იმავე მდინარეში ორგზის შესვლა არ შეიძლება, რომ ყოველი მიედინება, ყოველი იცვლება და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ... თუნდაც იქიდან დავიწყოთ, რომ ზემორეხსენებულ ფილოსოფოსთაგან არცერთი არ იყო ჩემი ნაცნობი, რომ ჩემს ასაკში დიალექტიკა წიგნის მეშვეობით არ შეისწავლება და თუკი გნებავთ, ავიღოთ აგერ ამ წისქვილის მაგალითი...

ერთი სიტყვით, დიდხანს ვაკვირდებოდი წყლის მოძრაობას, და კარგად დავინახე, რომ წყალი მოედინებოდა და წამითაც არ წყდებოდა.

მე რაღაც მქონდა გაგონილი პერპენტუუმ მობილეს გამო. მეტიც: მე და ვალოდიას გვინდოდა, ასეთი დგუში გამოგვეგონა. თანაც ჩვენი თეორიული საფუძველი უნაკლო იყო. თუმცა პრაქტიკამ სულ სხვა რამე დაგვანახა: ჩვენი მანქანა, ბორბლებზე რომ გირები ეკიდა, არც წინ იძროდა და არც უკან. მაგრამ წყლის მარადიულ მოძრაობას არაფერი ჰქონდა საერთო მარადიულ დგუშთან. წყალი ძალზე უბრალოდ ჩამოდიოდა, ირხეოდა და წინ მიედინებოდა...

ამგვარი დასკვნა მაშინ გამოვიტანე, როცა ჩვენი წილი სიმინდი ბოლომდე ჩამოიფქვა. მანამდე კი მხოლოდ ვაკვირდებოდი და ვალოდიას ვუზიარებდი ჩემს მოსაზრებას.

— შენ როგორ გგონია, — შევეკითხე, — საით მიედინება წყალი?

ვალოდიამ დაუყოვნებლივ მიპასუხა:

— წისქვილისაკენ.

და მართალიც იყო.

— საიდან მოედინება?

— მდინარიდან.

და აქაც მართალი იყო.

— დიგუა, — ვკითხე მე,—საიდან მოედინება დგამში?

— სოფელ კვიტოულიდან, — ამიხსნა მან.

—კვიტოულში საიდან ჩამოდის?

— ალბათ მთებიდან.

მე და ვალოდიამ ავიღეთ თავი და დავინახეთ ლურჯი მთების კამარა. ლურჯ მთებს — ლილისფერი მთები საზღვრავდნენ, ლილისფერს—მწვანე, და მწვანეს—თეთრი მთები. დავასკვენით, რომ დიგუა მართალი იყო.

მაგრამ მე მაინც მაწვალებდა რაღაც გამოუთქმელი აზრი და ბოლო-ბოლო მაინც ვთქვი.

— როგორც ჩანს, მდინარე დგამში არასოდეს არ დაიწრიტება.

ეს დიგუამ არ იცოდა. არ იცოდა ვალოდიამაც.

— თუკი წყალი მოძრაობს, — სიტყვა გავაგრძელე, რათა საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი საკუთარ თავში, — ეს იმის ნიშანია, რომ წყალს საიდანღაც ვიღაცა ღვრის.

— რა თქმა უნდა, — თქვა დიგუამ.

— ესე იგი, წყალი ოდესმე დაიწრიტება.

— არა! — თქვა დიგუამ.

რაკიღა დიგუა ტამშის მკვიდრი იყო, მან იცოდა ყველაფერი, რაც წყალს ეხებოდა. ამაში დარწმუნებული ვიყავი. და რაკი ასეა, როგორც ვამბობ, წყალი ღარში არასოდეს არ დაიწრიტება. აქედან კი ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: მისი მოძრაობა მარადიულია. რისი დამტკიცებაც გვინდოდა!

ეს რომ აღმოვაჩინე, დავისვენე. ხელი ჩავყავი წყალში, ხელისგული მივუშვირე დინებას და ვიგრძენი, რა ღონივრად მცემდა წყლის ნაკადი. არც ძველი ელინელები დამხმარებიან ასეთი დასკვნის გამოტანაში და არც მათი მიმდევრები.

ცხადია, წისქვილის წყლის მარადიულმა მოძრაობამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. და ვინ იცის, კიდევ რამდენი ხანი ვერ მოვწყდებოდი ფილოსოფიას, ბიძია ნიკუა რომ არა.

— მოდი აქ! — დამიძახა მან, — ჩვენი სიმინდი უნდა ჩავყაროთ.

წისქვილში მივირბინე.

დოლაბები, ბიძია ნიკუას სიმინდს რომ ფქვავდნენ, გაშმაგებით ტრიალებდნენ, სიმინდი კაკალ-კაკალ ჩამოდიოდა ხვიმირიდან და წვრილად დაფქული უკვე ტომარაში ცვიოდა.

მე ხელი შევუშვირე, — სიმინდის ფქვილი თბილი იყო.

დოლაბები მხიარულად ბრუნავდნენ, გეგონებოდა, რომ ამ ყაიდის სამუშაო მათთვის არა მარტო აუცილებელი იყო, არამედ — სასიამოვნოც. არ შეეძლოთ იმათ ცხოვრება ამ ყაიდის გარეშე, ამ წყლის გარეშე, ამ სიმინდის გარეშე, ამ ხმაურისა და ბარბაცის გარეშე, რასაც გამოსცემდა ეს ძველი და დაბრეცილი ნაგებობა...

იმის ყურება, თუ როგორ ცვიოდა ტომარაში ფქვილი, მეტად მიმზიდველი იყო, მაგრამ რა შედარებაა წყლის მოძრაობასთან, — იქ, გარეთ, ხის ღარში სუფევს მარადიული მოძრაობა. აქ კი?..

(თარგმანი რუსულიდან)



თბილისის საპატიო მოქალაქეები (მარცხნიდან): სიმონ ხეჩინაშვილი, გიორგი გულია, ოდისეი დიმიტრიადი, ვახტანგ ბერიძე, მიხეილ თუმანიშვილი, ვერა ქემაშვილი, ნინა პანკოვა.

## თბილისობა—86









# ჩვენი საამაყო ქალები





საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მაყვალა ქასრაშვილი.



საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები მაყვალა ქასრაშვილი და ზურაბ სოტკილავა.

ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მაია ჩიბურდანიძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



საერთაშორისო დიდოსტატი ელენე ახმილოვსკაია.

# ესტონელი ხუროთმოძღვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინათ მივლინებით ვიყავი ესტონეთში. მინდოდა გავცნობოდი იქაური ხუროთმოძღვრების ბოლოდროინდელ მიღწევებს, რაზედაც საკმაოდ ბევრს წერენ და ლაპარაკობენ. განსაკუთრებით მაინტერესებდა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში აგებული ნაგებობანი, რომლებიც კულტურულ-მასობრივი ღონისძიებებისათვისაა გამიზნული.

ყოველდღიურად იზრდება ჩვენი ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური დონე, ფართოვდება ადამიანების კულტურის სფერო. მის სულიერ და ფიზიკურ მოთხოვნილებებს, ჯანმრთელობის განმტკიცებას, გართობას, განათლებას, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას, მუსიკის, ცეკვის, წრეობრივი მუშაობის განვითარებას ახლა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამის ნათელი მაგალითი ვიხილე ესტონეთში.



სოფელი რაპლა. საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციის კანტორის ვესტიბიული.

ამ ბოლო დროს არქიტექტურაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი შენობების მრავალფუნქციურობას, როცა ერთი და იგივე **სათავსო** სხვადასხვა დანიშნულებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ. ასეთი ნაგებობები მეტად მოსახერხებელი და ეკონომიურია. მას ფართოდ იყენებენ ყველა ასაკის ადამიანები.



სოფელი რაპლა. სპორტული დარბაზის ინტერიერი.

ბევრი რამ მსმენოდა და წამეკითხა ესტონურ არქიტექტურაზე, მაგრამ ნანახმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

ესტონეთის არქიტექტორთა კავშირში გამაცნეს თომას რეინი, რომლის ნაყოფიერ მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული ესტონეთის დღევანდელი არქიტექტურის ყველა მნიშვნელოვანი წარმატება.

თომას რეინი ახალგაზრდა ესტონელი არქიტექტორების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, არქიტექტორებისა, რომელთა ნაფიქრალ-ნამოღვაწარი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ხორციელდება და მაღალი ესთეტიკურ-არქიტექტურული გემოვნებით შემკული ხალხის კულტურის, ხელოვნების, ფიზიკური წრთობისა და ლიტერატურის განვითარების საქმეს ემსახურება. მათი საქმიანობა თანდათან ფართოვდება და ახალი ფორმებითა და მეთოდებით მდიდრდება.

თომას რეინის, როგორც თანამედროვე არქიტექტორთა შორის ერთ-ერთი მოწინავე შემოქმედის მოღვაწეობას, ჯერ კიდევ მოსკოვში, საკავშირო არქიტექტორთა კავშირში გავეცანი, სადაც მოეწყო მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

ხუროთმოძღვრის ნამუშევრები დიდძალ ხალხს იზიდავდა, გამოფენამ იმდენად მომხიბლა, რამდენჯერმე გულდასმით დავათვალიერე. აქვე დავრწმუნდი, როგორი სიყვარულით აფასებდნენ თომას რეინს მოსკოველები; ბევრ მის ნამუშევარს თანამედროვე ხუროთმოძღვრების განვითარების ნიმუშად მიიჩნევენ.

და აი, ტალინში მას პირადად გავეცანი. ის, რაც მოსკოვში გამოფენილ პლანშეტებზე ვიხილე, ახლა ესტონეთის მიწაწყალზე აგებული, განხორციელებული, მთელი თავისი სიდიადით წარმომიდგა.

ვერ დავფარე აღფრთოვანება და თომას რეინს ჩემი შთაბეჭდილება გავუზიარე. იგი მეტად მოკრძალებული, მორცხვი კაცი გამოდგა.

სოფელ რაპლაში ვართ. ამ სოფლის ლამაზ პეიზაჟში კოხტად არის ჩადგმული საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის თეთრად მოქათქათე ნაგებობა. აქვეა უნივერსალური სპორტული დარბაზი და სხვა მრავალი სათავსო, რომელთაც კულტმასობრივი ღონისძიებებისთვის იყენებენ. შენობა რვაკუთხოვანია. მის ცენტრში სპორტული დარბაზია. მას ამავე დროს საკონცერტოდ და სხვა თეატრალურ დადგმებისთვისაც იყენებენ. ხოლო ოთახებში, დერეფნებსა და ვესტიბიულებში გამოფენებს აწყობენ. ვესტიბიული, კაფე-სასადილო და დარბაზის ინტერიერები მაღალი გემოვნებით, სასიამოვნო ფერებითაა გაფორმებული. აქ მაღალმხატვრულადაა გამოყენებული ესტონური ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ფორმები.

როცა ეს შენობა იგებოდა, თომას რეინი მშენებლებსა და მხატვარ-დეკორატორებს წუთითაც არ მოშორებია. აქ ფიზიკურადაც მუშაობდა თურმე, თავისი ხელით ღებავდა დარბაზს, აწყობდა და არჩევდა ავეჯს, რომლის პროექტიც მასვე ეკუთვნის. ერთი სიტყვით, კაცი მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას ამ ნაგებობის სრულყოფაში აქსოვდა.

მართლაც, ყველაფერი რაღაც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორ ორიგინალურადაა მოფიქრებული და გადაწყვეტილი ამ ნაგებობის ყველა კუთხე-კუნჭული, კონსტრუქცია, ფერები, სავარძლები და ჭაღებიც კი!

ასეთივე მაღალი გემოვნებითაა აგებული სპორტულ-თეატრალური დარბაზი სოფელ ანტსლაში. მისი პროექტიც თომას რეინს ეკუთვნის.

განუზომელი ფანტაზია აქვს ამ კაცს. არც ერთ მის მიერ დაპროექტებულ ნაგებობაში უბრალო დეტალიც კი არ მეორდება.

იგი მოუსვენარია, მუდამ საქმიანი, მოძრავი, მუდმივ ძიებაში მყოფი. ახლა როგორი შემფასებელია! ბევრი რამ თავის ნამუშევრებიდანაც კი აღარ მოსწონს, სულ სხვა თვალით უყურებს განვლილს, გუშინდელ ნამოქმედარს და სინანულს გამოთქვამს. ამით ეძებს, ეძებს ახალს, საინტერესოს, მიმზიდველს...

უიმისოდ პროექტის განხორციელებას არ იწყებენ მშენებლები. ისინი თომას რეინისაგან ყოველდღიურ კონსულტაციას იღებენ...

— მე სხვანაირად არ შემიძლია, — მითხრა თომასმა, — მარტო დაპროექტება რას მიქვია, თუ საკუთარი ხელი არ გაურიე ცემენტსა და ქვიშაში, თუ საღებავების სუნი არ იყნოსე, რამაც საბოლოოდ უნდა დაამშვენოს შენი ჩანაფიქრი, ამიტომ მე ყველგან ვარ, სადაც კი ჩემი პროექტით რაიმეს აგებენ... შენი პროექტი შვილივით უნდა გიყვარდეს და მოსავდე მას ისეთივე სიყვარულით, როგორც საკუთარ შვილს მოეკიდებოდი...

ასეთია ესტონელი ხუროთმოძღვარი თომას რეინი, რომელსაც წინ დიდი და საინტერესო შემოქმედებითი გზა აქვს.

**გურამ გოგოლაძე,**
არქიტექტორი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი
**ალბერტ თავხელიძე**







ეროვნული ბიბლიოთეკა





## მიხეილ იაშვილი

მსახიობი ქალის პორტრეტი.

ყვავილები.

ლარნაკი თეთრ სუფრაზე.

ჩემი ბავშვები.

ილუსტრაცია პ. იაშვილის მოთხრობისა
„ფერადი ბუშტები“.



ეროვნული ბიბლიოთეკა







ვანის საბჭოთა მეურნეობაში.

მოწინავე მუშა თამარ ფაიქიძე.

სიმინდის აღებისას. (მარცხნიდან): მეურნეობის მუშა ვახტანგ გაბუნია, მთავარი აგრონომი სოლომონ ხავთასი, მთავარი ინჟინერი თემურ დვალიშვილი, მუშა ოლეგ ბოლქვაძე.

ლიმონარიუმში.

კომბაინი სიმინდის ყანაში.

ფოტო გონდო დვალიშვილისა.

# დიალოგი ანა კალანდაძესთან

ჯუმბერ თითმერია

საერთოდ, ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი. მე ეს ძალიან მიჭირს. მეტად ინტიმური საკითხია. როგორ ვმუშაობ... ვერავინ ხედავს, როდის და როგორ ვმუშაობ, ვერც შინაურები და ვერც მეგობრები. მესამე თვალისაგან უსათუოდ დამალული უნდა ვიყო. ძალიან დიდხანს შემიძლია ვიფიქრო ერთ რაიმეზე, ძალიან დიდხანს, შემდეგ გადამაქვს ქაღალდზე. ეს, ცოტა არ იყოს, მიადვილებს შეგუებას გარემოსთან. უფრო ღამე ვმუშაობ. ღამეებს კი არ ვტეხ, უძილოდ კი არ ვარ — ერთმა კრიტიკოსმა აღნიშნა, ძალიან ბევრს მუშაობს და იმორჩილებს სიტყვასო. ეს არ არის მართალი. დიდხანს არაფერზე ვმუშაობ. დიდხანს ვფიქრობ, ვიმეორებ, შემიძლია გულითა და გონებით ვატარო აზრი, წერას კი დიდი დრო არ უნდა... არც არავის ვაკითხებ... იშვიათად... ფანქრით ვწერ... ალბათ, შევეჩვიე. განწყობილება არ მეკარგება ხოლმე, ამიტომ არ ვჩქარობ მის გადატანას ქაღალდზე. ხშირად წლობით ვატარებ განწყობილებას, — სიხარულსა თუ ტკივილს, — არ მეკარგება...

* * *

არა მგონია, ლექსს არ შეეძლოს რომელიმე რთული, ღრმა ადამიანური განცდის გამოხატვა. ლექსის ფორმა შემოქმედს არ ზღუდავს. ჭეშმარიტი პოეტური ნაწარმოები, თუნდაც ერთი პოეტური სტრიქონი, სრულად გამოხატავს სათქმელს. ამ სათქმელის სხვაგვარად თქმა, თუ არა ლექსით, არ შეიძლებოდა...

პოეტური თარგმანისთვის კაცი უნდა დაიბადოს... მაჩაბელი უნდა დაიბადოს... თუმცა, პროზის თარგმნაც დიდი მოწოდებაა. ვფიქრობ, რომ ლიტერატურის კრიტიკოსადაც უნდა დაიბადო... აუცილებლად... კრიტიკული წერილიც ისე უნდა იკითხებოდეს, როგორც კარგი ლექსი ან მოთხრობა. კრიტიკოსებად უნდა იბადებოდნენ, მაგრამ...

* * *

კმაყოფილი ვარ თუ არა ჩემი ლექსების თარგმანებით... არ შეიძლება აბსოლუტურად კმაყოფილი იყო. მაგრამ, ბარაქალა ბელა ახმადულინას! მისი თარგმანები ორიგინალის სიახლოვით კი არ მომწონს, არამედ სულით... ქართული არ იცის... მიკვირს, ჩემი პოეტური განწყობილებებიდან ასე დაშორებულმა, როგორ გამიგო.

მთარგმნელობა ჩემი საქმე არ არის...

თარგმანსაც ისეთივე პასუხისმგებლობა და პოეტური ენერგია სჭირდება, როგორც საკუთარ ლექსს. ვერლენი მომწონს, ვკითხულობ რუსულ თარგმანებში და არც არასოდეს დამბადებია თარგმნის სურვილი... მაგრამ თარგმნა დიდი ეროვნული საქმეა. ძალიან ვსაყვედურობ ჩემს თავს, რომ ამ მხრივაც პასიური ვარ...

* * *

კრიტიკულ წერილში მხიბლავს სიმართლე და პოეტური ალღო. რამდენად გაუგო კრიტიკოსმა პოეტს — ესაა მთავარი. ბედნიერებაა, თუ კი მათ — პოეტსა და კრიტიკოსს — ესმით ერთმანეთისა. მიხარია ეს ჰარმონია, რა კარგია ასეთ კაცთან საუბარი-მეთქი, ვფიქრობ.

ადამიანი რომ გაგიგებს, ამაზე სასიამოვნო ქვეყანაზე რა უნდა იყოს. თუ სამართლიანად მსაყვედურობენ, სიამოვნებას განვიცდი თუ უკმაყოფილო ვრჩები, არ გამოვხატავ. კაცი თავის ნაფიქრსა და წარმოსახულს შენ რომ მოგაწერს, ე. ი. ცრუობს, — მაშფოთებს. სიცრუე სხვის მიმართაც მაშფოთებს. ჩვენში ბევრი კარგი წერილი დაწერილა...

ჩემს კრიტიკოსთაგან ბევრი სიმართლე მსმენია. მომწონს შალვა აფხაიძის წერილი, თუმცა მასში ზოგი რამ სადავოა. რამაზ პატარიძის წერილი თავისთავადაა ამაღლებული, მომწონს. მე ვკითხულობ ისე, თითქოს სხვა ვარ, მაგრამ მომწონს.

აი, თამაზ ჩხენკელსაც ისე გაუგია, ისე უგრძვნია, როგორც მე. მომწონს ნოდარ ჩხეიძის წერილი, საერთოდ მისი წერილები. დიდი სიამოვნებით ვიხსენებ პროფესორ გრიგოლ კიკნაძის წერილს...

* * *

ჩემი საყვარელი მწერალი იყო, არის და იქნება ნიკოლოზ ბარათაშვილი. არ მეგულება ქართველი, ბარათაშვილი რომ არ უყვარდეს. განსაკუთრებით მიყვარს.

ძალიან მიყვარს ვან-გოგი... ფიროსმანი... ძალიან მომწონს რერიხი, მისი თემატიკაცა და ფერებიც. უფრო პეიზაჟისტები მიზიდავენ... კორო, ლევიტანი. ფრესკების სანახავად ხშირად შევდივარ მუზეუმში და დიდხანს ვუმზერ. რა დამავიწყებს ყინწვისს, ვარძიას, დავით გარეჯს... ფრესკული მხატვრობის კირით შეთითხნვა წარმოუდგენელი ბარბაროსობაა, ალავერდი ხომ სულ გადათითხნილია...

ერთხელ, ნეკრესში ვიყავი... საოცარი ფრესკა ვნახე. მგონი, ღვ[illegible] დაბადების სცენა. ქალს ხელში ეჭირა დოქი და ის ნახატი დოქი ძალიან მგავდა [illegible]ლესიისთვის შეწირულ[illegible] [illegible] მდგარ დოქს. შეწირული დოქი იყო თავდაპირველი თუ ფრესკისეული, ვერ გავიგებდი...

გოგოლმა თქვა: რა გვეშველებოდა, მუსიკამ რომ მიგვატოვოსო. მართლაც. ძალიან მიყვარს ბახი, მისი საორღანო ნაწარმოებები. კათოლიკეთა ეკლესიაში ხშირად ვუსმენდი ორგანს. ძალიან ხშირად ვისმენ მოცარტის რექვიემს, ბეთჰოვენის მთვარის სონატას, აპასიონატას, პასტორალურს, შუბერტი მიყვარს, ეს არის, რომ პანაშვიდებზე უკრავენ, განურჩევლად... პერგოლეზი, მეჩვიდმეტე საუკუნის კომპოზიტორი, მისი არაჩვეულებრივი, რექვიემის მსგავსი, „მგლოვიარე დედა იდგა..." ძალიან მიყვარს სუფრული სიმღერები, კახეთში რომ საოცარი სუფრული სიმღერები მოვისმინე, ვტიროდი. პროფესიონალებს არ გამოვრიცხავ, მაგრამ ხალხური საგუნდო სიმღერების არაპროფესიონალთაგან მოსმენა მირჩევნია.

* * *

ყველაზე მეტად ბარათაშვილის ცხოვრება და მისი ბედი მაღელვებს. მისი ბედი, მე მგონია, ყველას აღელვებს.

* * *

ჩვენი ბავშვობის ყველაზე ტკბილმოსაგონარი წიგნია „ბუნების კარი". ვფიქრობ, ბავშვისათვის დღესაც არ არსებობს უკეთესი საკითხავი წიგნი. ნამდვილი საბავშვო ენციკლოპედიაა.

ეგზიუპერის „პატარა უფლისწული" არ მომბეზრდება, გაუთავებლად შემიძლია ვიკითხო. ხომ ბევრი სხვაც დაწერა ეგზიუპერიმ, იგი ჩემთვის მაინც „უფლისწულის" ავტორია.

„ბუნების კარმა" დატოვა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება...

ჩემს ლექსთაგან პირვანდელი ლექსები უფრო მიყვარს.

სხვა ჟანრში მუშაობა არასოდეს მიფიქრია.

* * *

სამსახური არ მიზიდავს. შემიძლია ჩემს თავთან ყოფნა. ჩვენთან — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში — ძალიან საინტერესო სამუშაოა. ახლა იწყება მუშაობა ქართულ ისტორიულ ლექსიკონზე. მაგალითად, გამოვწერეთ ოშკის ბიბლია IX ს. ეს იყო ჩემი უბედნიერესი დღეები, ღმერთო, ნეტავ არ გათავდებოდეს ეს მასალები-მეთქი.

* * *

საერთოდ, ტრადიცია ბევრს იძლევა. ჩვენი პოეტური წარსული ცნობილია. ყველაფერი — ტრადიცია და გარემოც ბევრ რამეს იძლევა, ყველაფერი მოქმედებს, თუ

* ჩემთვის აქ მთავარი იყო თვით ანა კალანდაძე წარმომეჩინა მისი ფიქრებით, აზრებით, განწყობილებით. ჩემგან მისთვის დასმული კითხვების აქ მოტანა საჭიროდ არ ვცანი — ვფიქრობ, ისინი პასუხებიდანაც ჩანს. დიალოგი 1972 წელს გაიმართა. ჯ. თითმერია.

# ორბელიანთა გვარის ისტორიისათვის

ბევრი სახელოვანი გვარის წარმოშობის ისტორიულობის საკითხი დგას პრობლემატურად. მათ შორის არის ორბელიანთა ისტორიაც. ამ გვარის წარმომადგენლებმა უდიდესი როლი ითამაშეს საზოგადოების განვითარების თითქმის ყველა სფეროში: ეკონომიკაში, პოლიტიკაში, კულტურულ ცხოვრებაში.

ორბელიანთა გვარის გენეოლოგიის დადგენას ეძღვნება ვახუშტი ბატონიშვილის, თედო ჟორდანიას, სიმონ ჯანაშიას, ალექსანდრე ბარამიძის, ელგუჯა მაღრაძისა და სხვათა შრომები. ყველა ისინი დაწერილია ძირითადად ლიტერატურაში არსებულ გადმოცემათა საფუძველზე.

სიმონ ჯანაშია, რომელიც ძირითადად ემყარება ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიულ აღწერას და თედო ჟორდანიას ქრონიკებს, ავითარებს აზრს, თითქოს ორბელიანები ბარათაშვილთა ჩამომავლები იყვნენ.

პროფესორ ელგუჯა მაღრაძის ხწორი შენიშვნით, ძნელი დასაჯერებელია, რომ ორბელიანები ბარათაშვილთა ჩამომავლები ყოფილიყვნენ. თუნდაც იმიტომ, რომ ორბელიანთა გვარი ბარათაშვილთა გვარზე ადრე არსებობდა (თ. ჟორდანია — ქრონიკები, თბ., 1892, გვ. 252) და მისი მოსპობა XII საუკუნეში შექმნილი სოციალ-პოლიტიკური ვითარების გამო აბსოლუტურად შეუძლებელი იქნებოდა. ელგუჯა მაღრაძე განაგრძობს:

„...პოეტის გარდაცვალების გამო კავშირით მოცული „ვინმე მესხი", „დროებაში" წერს, რომ გრიგოლ ორბელიანის წინაპრები საქართველოში 2500 წლის წინათ სკვითებთან ერთად შემოსულანო... მათი მეფის შთამომავალი ჯამბაკური, თავისი სახლობით დაახლოებია ქართველთა მეფეს, ამ უკანასკნელს სადგომად ჯამბაკურისათვის ორბეთი მიუცია, აქედანვე მიილეს სახელწოდება ორბელიანნი. ამ დროიდანვე დაიწყო მათი აღზევება ქართველ მეფეთა კარზე: აქედან მოყოლებული განუწყვეტლივ ყოფილან ორბელიანნი დიდ წარჩინებულ მოხელეებად, ეზოს მოძღვრებად, სარდლებად, და ყველაფერში დიდი ნიჭი გამოუჩენიათ. აქედანვე გარდასულან ორბელიანთა ერთი შტო სომხითს". (ე. მაღრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1975, გვ. 18).

გარდა ამისა, ორბელიანთა წარმომავლობის შესახებ არსებობს აგრეთვე მეტად საყურადღებო და დამაჯერებელი მასალები. მაგალითად, სერგი მაკალათია წერს: პირველად ამლაში (სოფელია ხევსურეთში, არხოტის თემი, გ. ჭ.) უცხოვრია ჭოლიკაურსა და ორბელს, რომლებიც ძმათაშვილები ყოფილან. მაგრამ ხალხური თქმულებით, ბაგრატიონ მეფეს ისინი მოუნათლავს. ვისაც ქრისტიანობა არ მიუღია, აყრილან და თათრებში გადასულან. ამაზეა ნათქვამი:

„ადგეს, წავიდეს ორბელი,
იმერეთს წყალსა გახდესა,
იმას კი ვერავინ იტყვის:
— არ იყვნეს, იმით წახდესა".

ამ ორბელთ ნასოფლარი „ორბელთა ორწყალთანა" აქ დღესაც არის" (ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984 წ. გვ. 74). ნასოფლარი „ორბეულთა" არის აგრეთვე პირაქეთა ხევსურეთში. ე. წ. „გორშელმის" ტერიტორიაზე.

ორბელიანთა წარმომავლობის ამ უკანასკნელ შეხედულებას თუ მივუსადაგებთ დანარჩენ გადმოცემებს, ისინი არ ეწინააღმდეგებიან მის სისწორეს, პირიქით, უფრო აძლიერებენ ამ აზრს.

ორბელიანების წინაპრები რომ ორბელები იყვნენ, ეს ალბათ აქსიომატურად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან ავტობიოგრაფიული მოწმობის თანახმად თვით სულხან-საბა ორბელიანიც უფროსი შვილი იყო „საქართველოს ბრჯედ მთავრისა და მოსამართლეთ უხუცესი პატრონის ორბელ ვახტანგისა" (ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1959, გვ. 14). ხოლო თუ ორბელთა სოფელზე და გვარზე ვიმსჯელებთ, „ფუძის" მიხედვით მას საფუძვლად უდევს ფრინველის სახელი „ორბი", რომელიც მთის ფრინველად ითვლება. იგი „საქართველოში ბინადრობს მაღალმთიან ადგილებში — კავკასიონის მთავარ ქედსა და მცირე კავკასიონზე" (ა. ჯანაშვილი, ხერხემლიანთა ზოოლოგია, თბ., 1956, გვ. 426). აქედან კი შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ორბელიანთა წარმოშობა უპირატესად მთის რეგიონთანაა დაკავშირებული.

ხევსურეთიდან ბარში გადმოსახლებულები სოფლის სახელებს ინარჩუნებდნენ. მაგალითად, გუდაანიდან გადმოსახლებულებმა თიანეთის რაიონში დააარსეს სოფელი გუდანელები, ლულიდან — ლულები, ახდუდან — ახდუელები და ა. შ. გამორიცხული არ არის, რომ თვით სოფელი „ორბეთი" ან კიდევ „ორბელთა" სოფელ ორბელთიდან ან ორბეულთიდან ჩამოსახლებულებს დაეარსებინოს, რადგანაც მაღლობ ადგილებზე, კერძოდ კი დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონის ტერიტორიაზე, მთიელთა ჩამოსახლება ისტორიულად კანონზომიერ ხასიათს ატარებდა. ამასვე ადასტურებს აღნიშნული რაიონის მოსახლეობის სტრუქტურა დღევანდელ პირობებშიც.

გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს ის ვერსიაც, რომ ორბელები ჩრდილოეთიდან მოვიდნენ, ვინაიდან სოფელ „ორბელთა"-ს ტერიტორია გეოგრაფიულად ჩრდილოეთ კავკასიას მიეკუთვნება.

შესაძლოა, ორბელთა პირველად ბარად ჩამოსვლა ადრეული ხანის დროინდელია, ხოლო XII საუკუნეში შექმნილი მდგომარეობის გარკვეული ნაწილი კვლავ დაუბრუნდა მთას, შემდგომ კი, როცა შეიცვალა ვითარება, ისევ ბარად ჩამოვიდნენ.

სხვა არგუმენტაციის მოტანაც შეგვეძლო, მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოთქმულიც საკმარისია საკითხის სწორი გადაწყვეტით დაინტერესებული მკითხველისთვის.

**გიორგი ჭინჭარაული,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

მზადა ხარ... უდიდეს სიამოვნებად მიმაჩნია ძველი ქართული ტექსტების კითხვა. ოღონდ ძველი ქართულით იყოს დაწერილი, უმაღლეს მათემატიკასაც გატაცებით, დღენიადაგ ვიკითხავდი.

ხალხური ლექსი... რომელი ერთი დავასახელო. ბევრია ყველას საყვარელი ლექსი.

და მაინც, „მუმლი მუხასა", „ორმოში ფეტვი ჩავყარე", „საბრალო დედაბრისასა"... ლექსები ერეკლე მეფეზე... ხალხური საგმირო პოეზია უფრო მომწონს. შეიძლება გასაკვირიც იყოს. უშუალოდ ხალხშიც არაერთხელ მომისმენია ლექსები. იქ სულ სხვაგვარად ჟღერს, სხვა ეშხით... ფშავში, თხილიანაში, ერთი მოხუცი ვნახე, გეჯურა. მზეს ეფიცხებოდა, თბებოდა. ჯამი ედგა, ერთ ლუკმას თვითონ შეჭამდა, მეორეს კატას შეაჭმევდა, ერთს თვითონ, მეორეს — კატას... ის ლექსი, გეჯურამ რომ მითხრა, „აყვავებულხარ, ბოსტანთ იაო, ჩემ ეზო-კარი მოგირთვიაო, ჩემს პატარა დას, გაგადობილებ, ისიც შენსავით ლამაზიაო", ამეკვიატა და ისე მიყვარს.... ჰო, ძალიან მიყვარს — „ღვინო კი მათრობელი სჯობს", „შავი შაშვი ჩიოდა"...

ჭეშმარიტი პოეტის კავშირი ხალხურ პოეზიასთან ორგანული და იდუმალია.

ფშავში ყოფნა მომწყურებია. პირველად შუა ივლისში ჩავედი, მთელი თვე დავრჩი. მერე ადრე გაზაფხულზე ვიყავი, არაგვის პირას საოცრება ვნახე — ქვებზეც კი იები იყო, სულ დაფარული იყო იქაურობა. იები იქ, არაგვის პირას, სხვა იყო. ლოდები ეყარა იებში, ხატისხევაც იებით იყო სავსე. ზვავზეც ვიარეთ, თოვლზეც იები იყო, ტყეშიც, წითელი, ძოწისფერი სოკოები იცის, სახელი არ მახსოვს...

გუგულის ბუდე, ცის თვალები... საკვირველია, ფშაველმა ქალებმა არ იციან ყვავილების სახელები. ბევრს დავდივართ საქართველოში — ესეცაა ჩვენი ინსტიტუტის სიკეთე. მთელი კახეთი მოვიარე. იქ დილაც უნდა ნახო, შუადღეც, საღამოც. ადრე გაზაფხულზე, მურყნიანში ისეთია, გეგონება მწვანე ნისლი დგასო. საქართველოში ყველაფრის ნახვა მწყურია, თუნდაც მეათედ. უცხოეთში ყოფნის შემდეგ განსაკუთრებით დამივლის ქართული სოფლებისა და ქალაქების ნახვის სურვილი. უცხოეთი ხომ უცხოეთია, იქ ყოფნასაც ძალიან განვიცდი ხოლმე. სადაცა ვარ, იმ ადგილს ვეკუთვნი, მავსებს. ჩემი სტუდენტობის წლები მძიმე იყო. დავიწყეთ ომით და დავამთავრეთ ომით. სასიხარულოდ ვის ეცალა, ათასი რამე გვენატრებოდა. მომწონს — ახლა ბევრს დადიან საქართველოს მთასა და ბარში.

* * *

ყველა ქვეყნის ნახვა მინდა.

* * *

ყველა ქართული სიტყვა მიყვარს, ზოგიერთის გამოკლებით, რომელთაც არასოდეს არ ვიხმარ; ეს თითზე ჩამოსათვლელი სიტყვებია.

* * *

ძალიან მიყვარს ამომავალი და ჩამავალი მზის ფერები, ძოწისფერი, ღვინისფერი.

* * *

არ ვხატავ.

* * *

რას ვუსურვებ ჩვენს ახალგაზრდობას? მთავარია პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა ყველაფერია. შრომისმოყვარეობა, მოკრძალება, თავმდაბლობა...

* * *

ახალგაზრდობას თვითონვე აქვს თავისი საუკეთესო სურვილები. რა გამოულევს...

* * *

ჩემი შემოქმედებითი გეგმები...
„ხვალემ იზრუნოს ხვალისა".



# დაუმთავრებელი მატჩი

**სერგი დურმიშიძე**

ავლაბარში, ხოჯევანქის სასაფლაოს მახლობლად, რაბადის შესახვევის ნომერ სამში 1928-30 წლებში ცხოვრობდნენ ძმები გაფრინდაშვილები: უფროსი ტერენტი,* მომდევნო პლატონი (პლატუშა) და ბიკენტი (ჭაჭიკო). მათთან ერთად იყო გიორგი კვაჭაძეც**.

ტერენტი, გიორგი და მე ერთად ვსწავლობდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. პლატონი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო, ბიკენტი კი სამიწათმომწყობო ტექნიკუმის მოსწავლე.

გიორგი და ტერენტი უნივერსიტეტში გავიცანი, თუმცა სამივემ ერთი სკოლა დავამთავრეთ ჭიათურაში. მალე დავმეგობრდით და ერთმანეთთან ხშირად ვიყავით. ჩვენს ამხანაგობაში ყველაზე წყნარი ტერენტი იყო. მას ზედმეტ სახელად ღლაბუას ვეძახდით. ტერენტი, მართლაც, ჩიტივით წყნარი და სიკეთის განმსახიერებელი ახალგაზრდა იყო. ყველანი ხელმოკლედ ვცხოვრობდით. კვაჭაძეს და გაფრინდაშვილებს მხოლოდ დედები ჰყავდათ. ისინი ჭიათურაში მუშაობდნენ და იქიდან შვილებს აწვდიდნენ სიმინდის ფქვილს, ლობიოს, ყველს, მწვანილს, ტყის ხილს და ცოტაოდენ ფულს, ეგრეთწოდებულ სახარჯოს. ჩვენ ზოგჯერ დამატებითი შემოსავალიც გაგვიჩნდებოდა; გიორგი, როგორც ჭიათურის მაღაროს ყოფილი მუშა, დროდადრო 15 მანეთს დახმარებას ღებულობდა, ტერენტის საბუღალტრო კურსები ჰქონდა დამთავრებული და ერთდროულ სამუშაოს იშოვიდა ხოლმე. მე ხანდახან კერძო გაკვეთილები მქონდა მათემატიკასა და ქიმიაში. მაშინ რეპეტიტორის შრომა თითოეულ საგანში 5 მანეთად ფასობდა თვეში. ზოგჯერ ჩვენ ერთად ვმეცადინეობდით და ამის გამო მეც მიხდებოდა ხოლმე მათთან ყოფნა. განსაკუთრებით ვემზადებოდით კვირა დღის შესახვედრად. ვაკეთებდით ნიგვზიან ლობიოს, ვაცხობდით მჭადებს და თუ ფული გვქონდა, ერთ ბოთლ № 5 წითელ ღვინოსაც მოვიმარაგებდით ხოლმე. გაფრინდაშვილებთან ცხოვრობდა აგრეთვე მათი ჭიათურელი სკოლის მეგობარი კოწო მარდალეიშვილი. კოლექტივის წევრები ერთმანეთთან შეხმატკბილებულნი იყვნენ და მათთან ყოფნა ყოველთვის სასიამოვნო იყო.

ძირითადად ორი გასართობი გვქონდა: გაუთავებელი მსჯელობა რომელიმე იმ დროის აქტუალურ საკითხზე და ჭადრაკის თამაში. მაშინ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო: არის თუ არა საქართველოს ეკონომიკური ხსნა სოფლის მეურნეობაში, რა გზით უნდა განვითარდეს საქართველოს სოფლის მეურნეობა? ამ პრობლემის გარჩევაში ჩვენ, უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტები ვიყავით მთავარი მოპაექრენი. ჭადრაკის სულის ჩამდგმელი პლატონი იყო. ძმებს გაფრინდაშვილებს შეეძლოთ დღე და ღამე შეუსვენებლად ეთამაშათ ჭადრაკი. ეს გართობა იმითაც იყო შესანიშნავი, რომ იგი ხმაურიანი არ იყო და სხვებს მეცადინეობაში ხელი არ ეშლებოდათ, ყველაფერი ხომ ერთ ოთახში ხდებოდა. ჭადრაკის თამაში ყოველთვის შეიძლებოდა, ოთახის შუაგულში ამისათვის განკუთვნილი სამფეხა მაგიდა იდგა. მაგიდას მწვანე მაუდი ჰქონდა გადაფარებული და მასზე მუდამ იდო ჭადრაკი. ჩვეულებრივი საშინაო მატჩი ათი პარტიისაგან შედგებოდა. დასვენების დღეებში ჭადრაკის სათამაშოდ სამედიცინო ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის სტუდენტებიც მოდიოდნენ ხოლმე.

ერთ კვირა დღეს პლატონს ბედმა არ გაუმართლა, მარდალეიშვილთან ზედიზედ წააგო და განერვიულდა. პლატონი ჭადრაკს ყველაზე უკეთ იყო დაუფლებული, მაგრამ იმ დღეს არც ერთი პარტია არ წარიმართა ისე, როგორც სურდა. დაქანცულმა და გაბრაზებულმა მეცხრე პარტიის წაგების შემდეგ ფეხი ჰკრა ჭადრაკის მაგიდას და წააქცია. ასეთი რამ სხვა დროს არ მომხდარა. ჭადრაკის ფიგურებთან ერთად, იატაკზე სამი ცალი არალეგალური ჟურნალი აღმოჩნდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ადგილიდან არავინ იძროდა, თითქოს ყველანი უეცრად გავქვავდით. რამდენიმე წუთში გონს მოვეგეთ, ყველამ ვიგრძენით, თუ რას ნიშნავდა ჩვენთვის ეს შემთხვევა და შევშფოთდით.

პლატონმა ხალათი გადაიცვა და ნელი ნაბიჯით კარებისაკენ გაემართა. ყველაზე ადრე გონს გ. კვაჭაძე მოვიდა და სწრაფად ჩადგა კარებში, პლატონი ოთახიდან არ გაუშვა. პლატონი შემობრუნდა და არაადამიანური ხმით გვიყვირა:

— თქვე უნამუსოებო, რა გაქვთ იმ ნაძირალებთან საერთო! მე თქვენ გიჩვენებთ, თუ როგორ უნდა ხალხის ამაგის გადახდა, როდესაც იქ მიგაბრძანებენ, შემდეგ იკითხეთ ჩვენი მტრების ნაბოდვარი!

პლატონმა ახლა ძალით მოინდომა კარების გაღება, მაგრამ ამჯერად მას ძმებიც გადაეღობნენ წინ. არავითარმა ახსნამ და მუდარამ არ გაჭრა. პლატონს მიაჩნდა, რომ არალეგალური ლიტერატურა რომელიმე ჩვენგანის შემოტანილი იყო და ვინც მოიტანა, მან ახლავე უნდა აგოს პასუხი, სასტიკად უნდა დაისაჯოს. მდგომარეობა მეტად სავალალო იყო, ყოველმა ჩვენთაგანმა იცოდა, რომ თვითონ არ იყო დამნაშავე, მაგრამ [illegible]! მდგომარეობა თანდათან გართულდა. იძულებული ვიყავით პლატონი ძალით დაგვეწვინა საწოლზე. ვეხვეწებოდით, მოეცადა, გაგვერკვია ვინ იყო დამნაშავე და დამსჯელი ორგანოებისათვის შემდეგ მიგვემართა. პლატონმა ველარ გაუძლო სულიერ ტანჯვას და უეცრად ატირდა. პლატონი ტიროდა... ატირდა ტერენტიც. პლატონი ახსნა-განმარტებას უფროსი ძმისაგან მოითხოვდა. ტერენტი იხვეწებოდა, დავწყნარებულიყავით, თუ ახლა შეცდომას დავუშვებთ, შემდეგ მისი გამოსწორება შეუძლებელი იქნებაო. დავიღალეთ და ჩავიფერფლეთ... სტუმრებმა გაფრინდაშვილების ბინა მეორე დღეს დავტოვეთ. ამის შემდეგ ჩვენ რაბადის სამ ნომერში აღარ მივსულვართ.

გავიდა წლები, იმ საოცარი ჭადრაკის მატჩის მონაწილენი ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა კუთხიდან ვემსახურებოდით. ტერენტი ზუგდიდში პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობდა, პლატონი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში კადრების განყოფილებას ხელმძღვანელობდა, გიორგი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ასწავლიდა. მე თელავში მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ვმუშაობდი. ჩვენს შორის კვლავ სუფევდა ის მეგობრული ურთიერთობა, რაც ადრე, სტუდენტობის დროს ჩაისახა. ვხვდებოდით კიდეც ერთმანეთს, მაგრამ არც ერთ ჩვენთაგანს საბედისწერო ჭადრაკის მატჩი ერთხელაც არ გაუხსენებია, ყველაფერი კვლავ საიდუმლოებით იყო მოცული.

26 წლის შემდეგ, 1954 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობა ჩამაბარეს. ამ გარემოებამ ჩემი მოქმედების არე გააფართოვა. ყოველ რაიონში მქონდა საქმე. ყველა რაიონის მუშაკებს ჰქონდათ ჩემთან ურთიერთობა, მრავალმა ძველმა ამხანაგმა მომაკითხა ამა თუ იმ საქმესთან დაკავშირებით.

ერთ საღამოს ტერენტი გაფრინდაშვილმა შემოაღო ჩემი სამუშაო ოთახი. ბედმა გაგვიღიმა და იმ დღეს მისაღებ ოთახში სულ რამდენიმე კაცი იცდიდა. შევთანხმდით, ჯერ მათ გავისტუმრებდი და შემდეგ მე და ტერენტი ძველებურად მოვკალათდებოდით. მდივანს ვთხოვე, არავინ შემოეშვა. ტერენტი თვალს არ მაშორებდა, მაკვირდებოდა. მივუხვდი ფიქრების მსვლელობას და მოულოდნელად ვეძგერე, ძველებურად მკლავები გავუკავე და ერთი მაგრად შევაჯანჯღარე, ორიოდე ძველებური მარილიანი შაირიც მივაგებე. წინააღმდეგობა არ გამიწია, გაიცინა, მთხოვა გავჩუმებულიყავი — უხერხულია, არავინ გაიგონოს, როგორც ჩანს, შენი დაჭკვიანება არასოდეს მოხდებაო.

ჩემს წინაშე იდგა ძველებურად მორიდებული, დინჯი, კეთილი, გონიერებით სავსე ღლაბუა. დიდხანს, დიდხანს ვისაუბრეთ, გაგვიკვირდა, რამდენი რამ გადაგვხდენია თავს სტუდენტობის დროს! ტერენტის საქმეც ჰქონდა. ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისათვის სატვირთო ავტომანქანა მთხოვა, თუმცა იმ წელს მათ

———

* ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის მამა.

** ამჟამად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი.

**გაბრიელ გარსია მარკესი**

# ესტებანის სოფელი

ბავშვებმა, რომლებმაც პირველად დაინახეს ნაპირთან ახლო მოტივტივე ბნელი და საიდუმლოებით მოცული საგანი, იგი მტრის გემად მიიჩნიეს, მაგრამ რაკი მასზე ვერც დროშა შენიშნეს და ვერც ანძა, იფიქრეს, ზვიგენი იქნებაო. როცა ნაპირზე გამორიყულ სხეულს წყალმცენარეები, მედუზის ნაფლეთები და ლიფსიტები მოაცილეს, დამხრჩვალი კაცი შერჩათ ხელში.

მთელი სალამო თამაშობდნენ. მიცვალებულს ხან ქვიშაში ჩამარხავდნენ, ხან ისევ ამოთხრიდნენ. ასე ერთობოდნენ მანამდე, ვიდრე ვიღაცამ შემთხვევით თვალი არ მოჰკრა მათ თამაშს და სოფელში განგაში არ ატეხა.

კაცებმა, ცხედარი უახლოეს სახლში რომ მიასვენეს, შენიშნეს: იგი აქამდე მათ მიერ ნანახ ყველა სხვა დამხრჩვალზე მძიმე, თითქმის ცხენის წონა იყო და თქვეს, ალბათ, იმდენ ხანს ტივტივებდა წყალში, ძვლებიც კი წყლით გაეჟღინთაო.

გვამი იატაკზე დაასვენეს. მიცვალებული ყველა იქ მყოფზე მაღალი აღმოჩნდა, ძლივს ეტეოდა სახლში. ალბათ, ზოგი დამხრჩვალი სიკვდილის შემდეგაც იმატებსო, იფიქრეს.

მხოლოდ ფორმით თუ მიხვდებოდა კაცი, რომ ეს ზღვის ტალახითა და თევზებით გაჟღენთილი სხეული ადამიანისა იყო.

სახის გაწმენდამდეც მიხვდნენ, მიცვალებული იქაური რომ არ იყო. უდაბური ყურის ბოლოში შეყუჟულ სოფელში სულ ქვით მოკირწყლული, ხრიოკ ეზოებიანი ოციოდე ფიცრული იდგა. მიწა ისეთი დამშრული იყო, დედებს შიში არ ასვენებდათ, ბალღები ქარმა არ წაგვართვასო. ათასში ერთხელ თუ მოკვდებოდა ვინმე, იმასაც ზღვის სიღრმეში ჩაუშვებდნენ ხოლმე. ზღვა წყნარი და უხვი იყო. სოფლის ყველა მამაკაცი თავისუფლად თავსდებოდა შვიდ ნავში. ამიტომ, როცა დამხრჩვალი იპოვეს, ერთმანეთს სწრაფად შეავლეს თვალი და დარწმუნდნენ, არავინ აკლდათ.

იმ ღამეს ზღვაში არ გასულან. სანამ კაცები აზუსტებდნენ, მეზობელ სოფელში ვინმე ხომ არ დაკარგულაო, ქალები მიცვალებულს აპატიოსნებდნენ.

კურდღლისცოცხათი და თევზების საფხეკი დანებით მოაცილეს ტალახი და თმიდან წყლის ბირკავები ამოუღეს, მხოლოდ შორეულ ოკეანეებსა და ღრმა წყლებში რომ იზრდება. ტანზე ტანსაცმლის ნაკუწებიღა შერჩენოდა, თითქოს დიდი ხანი მარჯნის ლაბირინთებში დაცურავდა. ეტყობოდა, სიკვდილს ამაყად შეხვედროდა. სახეზე არც ზღვაში დამხრჩვალისთვის ჩვეული უსასოო მარტოობის დაღი ესვა, არც მდინარეში დამხრჩვალის უკიდურესი შეჭირვება ეხატა.

როცა თავიდან ფეხებამდე გაასუფთავეს და ნახეს, რა კაცთან ჰქონდათ საქმე, სუნთქვა შეეკრათ. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ყველაზე მაღალი, ყველაზე ძლიერი, ყველაზე ვაჟკაცური და ყველაზე აღნაგი მამაკაცი, ვინც კი ოდესმე უნახავთ, ახლა მათ თვალწინ ესვენა. მთელს სოფელში მისი დამტევი ვერც მაგიდა მოიძებნა სადმე, ვერც საწოლი. ყველაზე მაღალი და ტანადი კაცების სადღესასწაულო ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც პატარა მოუვიდა.

მკვდარიც რომ ღირსეული შესახედავი ყოფილიყო, ქალებმა გადაწყვიტეს, ბიზან-ანძის[1] აფრისგან შარვალი და ჰოლანდიური ტილოს პერანგი შეეკერათ მისთვის.

წრეში დამსხდრები კერავდნენ და ყოველი გვირისტის შემდეგ ცხედრისკენ გაურბოდათ თვალი. ეჩვენებოდათ, რომ ქარი არასოდეს ყოფილა ასეთი აშარი და კარიბის ზღვა ასეთი ბობოქარი. ყოველივე ამას რაღაცით დამხრჩვალს უკავშირებდნენ. ასე ფიქრობდნენ, ამ უზადო კაცს მათ სოფელში რომ ეცხოვრა, მისი სახლის კარი ყველაზე ფართო, ჭერი ყველაზე მაღალი, იატაკი კი ყველაზე გამძლე იქნებოდა. საწოლი შპანჰაუტით[2] ექნებოდა გამაგრებული, მის ცოლზე ბედნიერი ქალი კი მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა. ალბათ, მისი ძალაუფლების პატრონს, საკმარისი იყო, ერთი დაეძახა და თევზები თავისით ამოხტებოდნენ წყლიდან. ბერწ მიწაზე ყვავილებს გაახარებდა, ქვა-ღორღიან ადგილზე წყაროს ამოაჩუხჩუხებდა.

იგი ყველა ქალმა გულში თავის ქმარს შეადარა და ქმრები საწყალ, უბადრუკ არსებებად მოეჩვენათ. ვერც ერთი მათგანი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ვერ მოახერხებდა იმის გაკეთებას, რასაც ეს გოლიათი ერთ ღამეში შეძლებდა.

წარმოსახვის ამ ბურუსიდან ისინი ყველაზე მოხუცი ქალის ხმამ გამოიყვანა, რომელიც სიბერის გამო დამხრჩვალს სიბრალულით უფრო უყურებდა, ვიდრე ვნებით:

— ისეთი სახე აქვს, ნამდვილად ესტებანი ერქმევა!

მართალი იყო. სხვა სახელი არც შეიძლებოდა რქმეოდა. უმრავლესობა ამას თვალის ერთი შევლებითაც მიხვდა, მხოლოდ ყველაზე ჯიუტები, ყველაზე ახალგაზრდები დარჩნენ ამ აზრზე, რომ ახალ ტანსაცმელსა და ლაკის ფეხსაცმელში გამოწყობილს, ყვავილებით შემკულს, სახელი ლაუტარო[3] უფრო მოუხდებოდაო, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. პერანგისთვის ტილო არ ეყოთ. ცუდად გამოჭრილი და უარესად შეკერილი შარვალი ნასხვისარივით ადგა. ფართო მკერდი პერანგიდან ამოხტომას ლამობდა.

ნაშუადღევს ქარის ზუზუნი შეწყდა და ზღვაც ოთხშაბათის სიზმრებში გაირინდა. სიჩუმემ ყოველგვარი ეჭვები გაფანტა — ესტებანი ერქვა.

ქალებმა გააპატიოსნეს ცხედარი. შემოსეს, დავარცხნეს, ფრჩხილები დააჭრეს, წვერი გაპარსეს და როცა ისევ იატაკზე აწვენდნენ, თანაგრძნობის ოხვრა აღმოხდათ. მაშინ მიხვდნენ, მის პატრონს სიცოცხლეში რა ხეირს დააყრიდა ეს უზარმაზარი სხეული, სიკვდი-

1. ბიზან-ანძა — უკანა ანძა.
2. შპანჰაუტი — გემის ჩონჩხი (კარკასი).
3. ლაუტარო — „ლაუტო“ — ლამაზი, შეუდარებელი, მდიდრული.

(გაგრძელება 21-ე გვერდზე)

მანქანა არ ერგებოდათ. იმ ხანად კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო ამტკიცებდა. ყოველი მათგანი ცდილობდა, რომ ამ დროს სამინისტროდან რაიმე დახმარება მიეღო. ამის გამო ყოველთვის ვიცოდი, სამინისტროს რისი გაცემა შეეძლო და რა არ ჰქონდა. ტერენტი ისეთ დროს მოვიდა, როდესაც სამინისტროს რეზერვში არც ერთი მანქანა არ გააჩნდა. რა უნდა მექნა! მას თავის სიცოცხლეში აქამდე, ალბათ, არავისთვის არაფერი უთხოვია და მე როგორ შემეძლო ხელცარიელი გამეშვა. ვთხოვე ჩემს მოადგილეს კადრების დარგში, იოსებ კახიანს, დამხმარებოდა და სისტემაში სადმე ავტომანქანა მოენახა. მართლაც, მისი შუამდგომლობით წინამძღვრიანთ სკოლის დირექტორი დაგვეხმარა და ახლად მიღებული სატვირთო ავტომანქანა დაგვითმო. რამდენიმე საათში ტერენტის ყველა საჭირო საბუთი უკვე ხელთ ჰქონდა.

წასვლის წინ ტერენტიმ შემდეგი ამბავი მიამბო.

— შარშან, სერგი, ჭიათურაში ჩავედი, ჩემი ბავშვობა გავიხსენე და ბევრი ამხანაგი მოვინახულე. იქ ყოფნისას გავიგე, რომ ჩვენი თანაკლასელი სამთო ინჟინერი ზ. ჩ-ძე მძიმე ავადმყოფი იყო და მასაც ვესტუმრე. ჩემი მისვლა გაეხარდა, თვალებზე ცრემლები მოადგა და მოკრძალებით მთხოვა, მეპატიებია დანაშაული, გამომეჩინა სულგრძელობა და ყოველივე დავიწყებისათვის მიმეცა:

—„ჩემო ტერენტი, აკრძალული ჟურნალი, რომელიც შემთხვევით ნახეთ თქვენს ოთახში, მე მეკუთვნოდა, მე მომქონდა ხოლმე და ჭადრაკის მაგიდის გადაჯვარედინებულ ფეხებს შორის ვინახავდი. ხომ გახსოვს, მაგიდას რა დიდი გადასაფარებელი ჰქონდა, თითქმის იატაკამდე წვდებოდა, ამიტომაც წიგნები არ ჩანდა. ასეთი სისულელე რამდენჯერმე ჩავიდინე. როდესაც გავიგე, რომ თქვენ იმ ჟურნალებს წააწყდით, თავზარი დამეცა, მაგრამ ვაჟკაცობა არ მეყო და სიმართლე ვერ გაგიმჟღავნეთ. ვიცი, ეს რა დიდი დანაშაულიც არის, ახლა მე თვითონაც ვგრძნობ, რაც ჩავიდინე, თუ შეგიძლიათ ძმებმა გაფრინდაშვილებმა სიკვდილის წინ მაინც მაპატიეთ“. თავზარი დამეცა, ძველი ჭრილობა გამიახლდა. მისთვის რაღა უნდა მეთქვა, კაცი სულს ღაფავდა!

— სერგი, პლატუშა რომ დროზე არ დაგვეოკებია, ახლა შესაძლებელია აღარცერთი ჩვენთაგანი აღარ ყოფილიყო ცოცხალი.

ის დაუვიწყარი ჭადრაკის მატჩი თითქოს უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ ჩვენს მეგობრულ ურთიერთობაში იმ დღიდან მაინც დაიკარგა რაღაც მეტად მნიშვნელოვანი.

# კოლექტიური მებაღეობა — დამატებითი სიუხვის წყარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს რესპუბლიკაში კოლექტიურ მებაღეობას არცთუ მცირე ისტორია აქვს — დიდი სამამულო ომის მრისხანე წლების შემდეგ ჩაეყარა საფუძველი, ბევრად ადრე, ვიდრე ეს საქმე სხვაგან ფეხს მოიკიდებდა.

დროთა განმავლობაში სულ უფრო ფართოვდებოდა მისი მოქმედების მასშტაბები, თუმცა არც კი გააჩნდა მუშაობის განმსაზღვრელი წერილობითი დოკუმენტები. მხოლოდ ამ ექვსიოდე წლის წინათ, კერძოთ 1979 წელს, მიეცა მის საქმიანობას ორგანიზებული ხასიათი, როცა მშრომელთა სურვილების გათვალისწინებით, კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭო — აგროკოოპი შეიქმნა. ამხანაგობათა მოღვაწეობის გასაფართოვებ ლ ა დ საბჭოსთან ჩამოყალიბდა საპროექტო, სამშენებლო, საშენ მასალათა წარმოების და სხვა ორგანიზაციები; დამტკიცდა მებაღეთა საქმიანობის ტიპობრივი წესდება და გამოიცა მუშაობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის აქტები.

ასე ჩადგა ხალხის სამსახურში სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების კიდევ ერთი ინსტიტუტი.

პრაქტიკამ ნათელყო, რომ კომუნისტური პარტიის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ მძლავრ ბერკეტს სწორედ კოლექტიური მებაღეობა წარმოადგენს.

ათასობით მშრომელი დაადგა მებაღეობის ამხანაგობათა სასიკეთო, მოსახერხებელ გზას; შრომით კოლექტივებში ვერ აუდიოდნენ ახალ წევრთა მიღებას.

მებაღეობის ამხანაგობის, როგორც საზოგადოებ რ ი ვ ი ორგანიზაციის, ძირითადი ამოცანაა, შექმნას კოლექტიური ბაღი იმ მიზნით, რომ დამატებით დააკმაყოფილოს მუშამოსამსახურეთა ოჯახების მოთხოვნილებანი ხილზე, კენკრაზე, ბოსტნეულზე, უზრუნველყოს მათი დასვენება, ჯანმრთელობის განმტკიცება, აგრეთვე შექმნას მოზარდთა შრომითი აღზრდისათვის საჭირო პირობები — აღნიშნულია მებაღეობის ამხანაგობის ტიპობრივ წესდებაში.

როგორ ასრულებენ თავიანთ ძირითად მოვალეობას რესპუბლიკის კოლექტიური მებაღეობის წევრები, რა სამუშაოები შეასრულეს მათ იმისათვის, რომ უწინ გამოუყენებელი, ხრიოკი ადგილები ჩაეყენებინათ ხალხის სამსახურში? რით გაამრავლეს ჩვენი ფლორა და ფაუნა, როგორი წარმატებები აქვთ ქვეყანაში დოვლათ-ბარაქის სიუხვის დაგროვების საქმეში?

ამ მხრივ, მართლაც, ხელშესახებია მათი წარმატებები.

შორს რომ არ წავიდეთ, თუ გნებავთ გავიხსენოთ, მაგალითად რუსთავის შემოგარენში გაჩიანის სანახები: მხოლოდ ნახევრად უდაბნო, მზით გადახრუკული, უსიცოცხლო სივრცე. მაგრამ, აბა ახლა ნახეთ? დღეს გაჩიანის მინდვრებში 400 ათასამდე ძირი ვაზის ნერგი, 40 ათასი ძირი ხეხილის ნარგაობა, 1200 ძირი კაკლის ხეა ჩამდგარი ხალხის სამსახურში. ამას გარდა, კოლექტიური მებაღეობის წევრებმა 1000-ზე მეტი ბოცვერი, 1100 ღორი, ათეულობით ფუტკრის ოჯახი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ფრინველი ამრავლეს და ახარეს...

მეორე მაგალითი. ბევრს ახსოვს, რომ კუმისის ტბის ირგვლივ დაჭაობებული მლაშე ნიადაგები არსებობდა, მაგრამ მებაღეებმა მძლავრი ტექნიკის გამოყენებით გაწმინდეს ტბის ფსკერი, შიგ მტკვრის წყალი გადააგდეს და გააკულტურეს ნიადაგი. ახლა აქ მოქმედებს ქალაქ თბილისის ორგანიზაციათა 21 მებაღეობის ამხანაგობა, რომელშიც 2550 ოჯახია გაერთიანებული.

ასეთივე მეთოდებით გამოსტაცეს მიწა გორის რაიონის ორგანიზაციათა კოლექტიური მებაღეობის წევრებმა სკრის მასივში, ქალაქ თბილისის ორჯონიკიძისა და საბურთალოს რაიონების მებაღეებმა მარნეულის რაიონის სოფელ შულავერის მასივში...

სასიხარულოა, რომ მკვეთრი ზრდის ტენდენცია აქვს კოლექტიური მებაღეობის წევრთა მოწეულ დოვლათ-ბარაქას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 5-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა მათ მიერ მიღებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. მარტო გასულ წელს მოიწიეს 12.060 ტონა ყურძენი, ხილი, ბოსტნეულ-ბაღჩეული, კარტოფილი, ლობიო; ამას გარდა, მიიღეს აგრეთვე 318 ტონა ხორცი, მილიონამდე ცალი კვერცხი, 11.380 კილოგრამი თაფლი, აგრეთვე ბეწვეული და სხვა სახის მეორადი ნედლეული. ზოგიერთი სახის პროდუქციის, მაგალითად, თაფლის წარმოებისა, 11-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

ამჟამად კოლექტიური მებაღეობის წევრების განკარგულებაშია ფუტკრის 1200 ოჯახი, 5345 კურდღელი, 510 სული ნუტრია, 83.500 ფრთა ფრინველი, 1,1 მილიონი ძირი ვაზი, 1050 ათასი ცალი ხეხილის ნარგაობა და ა. შ. მათ მისასვლელი გზების გასწვრივ და საერთო სარგებლობის ფართობებში დარგეს და გაახარეს 28.500-ზე მეტი კაკლის ხე.

ცალკეული მებაღეობის ამხანაგობებიდან საბაღე ნაკვეთების მოვლა-პატრონობას კარგად წარმართავენ და სისტემატურად მაღალ მოსავალს ღებულობენ თბილისის ლენინის, საბურთალოს, 26 კომისრის, ორჯონიკიძის რაიონების, ქალაქების ქუთაისის, რუსთავის, გორის, გარდაბნის, ჭიათურის, მცხეთის, აგრეთვე აფხაზეთში განლაგებული ამხანაგობები.

წლითიწლობით სულ უფრო მტკიცდება მებაღეობის ამხანაგობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამჟამად ისინი ფლობენ 11.932 საბაღე სახლს. მარტო ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში ტიპობრივი პროექტებით აშენდა 5573 საბაღე სახლი. პარტია და მთავრობა დიდად უწყობენ ხელს მებაღეობის წევრებს საბაღე სახლების მშენებლობაში: გამოუყოფენ სესხს, საშენ მასალებს, ხეხილისა და ვაზის ნერგს და სხვ. მაგალითად, მარტო 1985 წელს 1883 კაცს საბაღე სახლების მშენებლობისათვის მიეცა 5650 ათასი მანეთი სახელმწიფო სესხი. ამ მიზნით უკანასკნელ ხუთწლედში კი დაიხარჯა 15,7 მილიონი მანეთი.

მიმდინარე წლის მაისში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ საგანგებოდ იმსჯელა კოლექტიური მებაღეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ და მოიწონა საბაღე ნაკვეთების ყოველწლიურად მატების უზრუნველყოფის თაობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება.

სკკპ პოლიტბიუროს ამ გადაწყვეტილებების განსახორციელებლად კოლექტიური მებაღეობის შემდგომი განვითარებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა ფართო სამოქმედო პროგრამა, რომლის ძალითაც ხალხის სამსახურში ჩადგება სულ ახალი და ახალი რეზერვები.

მებაღეობის ამხანაგობათა უპირველეს საზრუნავად კვლავ რჩება გამოყოფილი მიწების მასქიმალური ათვისება, რაც თავის მხრივ საშუალებას მოგვცემს, კოლექტიურ მებაღეობაში დამატებით ჩავაბათ კიდევ რამდენიმე ათასი ოჯახი. ამასთან ერთად უნდა გაიზარდოს და გამრავალფეროვნდეს წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ასორტიმენტი, მკვეთრად ამაღლდეს მიწის დამუშავების კულტურა.

მოწინავე მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ უახლოეს წლებში სრულიად შესაძლებელია საშუალოდ ერთ ნაკვეთზე, რომლის ფართობი 0,06 ჰექტარს შეადგენს, მოწეულ იქნეს 1 ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქტები. ასე რომ, უახლოეს პერიოდში რესპუბლიკის კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობ ე ბ ი წლიურად საერთოდ მოიწევენ 50 ათას ტონა მოსავალს, ე. ი. მოსავლიანობას გაზრდიან სულ მცირე 3-4-ჯერ მაინც.

ჩვენი რესპუბლიკის მებაღეები წელს კიდევ უფრო უკეთეს მაჩვენებლებს მოიპოვებენ, რითაც ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულების საპატიო საქმეში.

**სულიკო ძინძიბაძე**

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# მოგვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲨᲐᲜᲒᲘ ᲠᲘᲟᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

აბა, რა შანსი უნდა ჰქონდეს ზაქროს ტახი-ლექსოს წინააღმდეგ? არავითარი! მაინც, რომელ შანსზეა ლაპარაკი? სამოცდათოთხმეტი წელი განა ჩვიდმეტი წელია?! არც სამოცია. ამასთან, ლექსო რაც ტახი იყო, იმავე ტახად დარჩა. ღმერთმანი, შეუძლია წელში გადაამტვრიოს და გადაამტვრევს კიდევაც, თუკი რამე სასწაული არ მოხდა; ბებრული ძვლები მყიფე და ფუტუროა, როგორც გამხმარი ჩინჩხვარი, საკმარისია ხელი შეახო, ტკაცანს გაადენენ, მიდი მერე და შეუკარი არტახებით! ისიცაა, ახლა უკან დახევა გვიანაა. არა, ბებრულ სიამაყეში როდია საქმე, უარიც რომ ეთქვა, ამით მის სიამაყეს არაფერი მოაკლდებოდა, ხალხი გაუგებდა და მერე როგორ გაუგებდა, მაგრამ სულ სხვა ამბავი იყო. სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი. ვის ახსოვს ახლა შავი შაშო, ფართო რეზო, სოსო სქელა... მერე, არ იტყვით, რა ფალავნები იყვნენ! ბადალი არა ჰყავდათ, ბადალი, ყველა სიკეთე მომადლებოდათ — მაგარი მუხლიც, ძალაცა და ფალავნის ეშმაკობაც; მარტვისულმა მოგვერდმა მთელი ქვეყანა მოიარა და ბევრი უძლეველი ფალავანი გააკრა ხალიჩაზე. მოგვერდი მოგვერდად დარჩა, მაგრამ აი, ის კი, ვინც ეს მოგვერდი მოიგონა, სულ მთლად დაივიწყეს...

ჰოდა, წავიდა ზაქრო ტახ-ლექსოსთან, არა, სტუმრად კი არა, საჭიდაოდ უნდა გაეწვია. ჰო, არ შეშვენის, უფროსმა უმცროსი მოიკითხოს, მაგრამ რას იზამ, როცა ასეა საჭირო.

გაუკვირდა ლექსოს მისი მისვლა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, გულთბილად გაეკრიჭა, შინ შეიპატიჟა და რბილ სკამზე დასვა; მერე ცოლს გასძახა, სუფრა გავიწყვეო, თვითონ კი სტუმრის პირდაპირ ჩამოჯდა, თან ყური ჰქონდა დაცქვეტილი, ნეტავი რაზე მოვიდაო. ზაქრო არ ჩქარობდა, დრო გაჰყავდა.

მათი გზები მანამდეც ხშირად როდი შეხვედრია ერთმანეთს, მერე და მერე კი სულ უფრო იშვიათად ხვდებოდნენ, დაკრძალვაზე ან ქორწილზე თუ ნახავდნენ ერთმანეთს შემთხვევით, ორიოდე სიტყვით მოიკითხავდნენ, თუმცა შორეული ნათესავები იყვნენ. სახელოვან კაცად იცნობდნენ ზაქროს, არავის დაამადლიდა რჩევა-დარიგებას, გაჭირვებულს დაეხმარებოდა — ბევრს ახსოვდა მისი სიკეთე; დამთავრებით არც სკოლა დაუმთავრებია და არც რომელიმე ინსტიტუტი, მთელი სიცოცხლე უბრალო მჭედლად იმუშავა სოფელში, სამი გრდემლი გაცვითა უროს ცემით, სამპირი კანი გაიძრო ქურასთან. გამრჯე და დაუღვრომელი კაცია ზაქრო, სიბერემ ვერ შეცვალა. დგას და დგას — არც ხავსი ეკიდება, არც იფშხვნება, დაშლისა არაფერი ეტყობა...

ზის ზაქრო ტახი-ლექსოს პირისპირ და წვალობს, არ იცის რითი დაიწყოს. ვაითუ ლექსომ ვერ გაუგოს! ბოლოს, ძალა მოიკრიბა და ამოღერღა, რისთვისაც იყო მოსული. ლექსომ ყურს არ დაუჯერა, ხომ არ მომეყურაო, მაგრამ ზაქრომ კვლავ გაიმეორა თავისი გამოწვევა როგორც წესი და რიგია. აბა, მასზე უკეთესად ვინ იცოდა, როგორ გამოეწვია საჭიდაოდ კაცი. ლექსომ ჯერ თავისთვის დაისხა ღვინო, მერე ზაქროს გაულიცლიცა ჭიქა, მძიმედ ამოიოხრა და სტუმრის სადღეგრძელო დალია. ზაქრომ მადლობა გადაუხადა, ჭიქა ბოლომდე დასცალა და მოლოდინით მიაჩერდა მასპინძელს. ლექსომ არ იცოდა, რა ეპასუხა: ერთი მხრივ, უარს ვერ იტყოდა და მოხუცს შეურაცხყოფას ვერ მიაყენებდა, ხოლო მეორე მხრივ, დამარცხდებოდა თუ გაიმარჯვებდა, მაინც სასაცილოდ აიღებდა ხალხი. ზაქრომ თითქოს მისი ფიქრი გამოიცნო, მკაცრად გახედა წარბების ქვეშ-ქვეშ და უთხრა:

— ტრაბახში არ ჩამომართვა, ლექსო, მაგრამ ჩემი მორევა იოლი არ გეგონოს... ვიცი შენი ჯანი და ხერხიანობა, სწორედ ამისთვის აგირჩიე. ჯანდაგ კაცს, აბა, რა თავში ვიხლი! პირდაპირ მითხარი, თანახმა ხარ თუ არა?

— საგონებელში ჩამაგდე, ძია ზაქრო, ღმერთმანი, ცივი წყალი გადამასხი. რა დროს ჩვენი ჭიდაობაა, ისიც ხალხის დასანახად, ჭიდაობა ახალგაზრდების საქმეა... ვერ ვიზამ, ვერ შევირცხვენ თავს. რას იტყვიან ჩემი შვილიშვილები — გამოჩერჩეტდა, ჭკუაზე აფრაკად არისო!..

— ეჰ, ჩემო ლექსო, ხალხი ჭრელია, ყველას პირს ვერ მოჰბან, ისე მოიქეცი, როგორც სული გთხოვდეს... მაშ, მოიტა ხელი!

— ეეე! შენ ხო კაცი ვერ შეგეშვება, ძია ზაქრო! ისე დაამუნათებ, მე კი არა, ქვა რომ ქვაა, იმას მოუქონავ თავს. მითხარი, სად მოვიდე. ჩოხა კი მაქვს, მაგრამ კარგა მოძველებულია, ოციოდე წელია არ ჩამიცვამს, ჩრჩილმა არ შემიჭამოსმეთქი, დაფნის ფოთოლი დავაწყვე...

— ასე, შე კაი კაცო, ადრე ამოგეღო ხმა!... მარტვისის ძველი კალო ხომ იცი, შემაღლებულზე, სასაფლაოს აქეთ, აი იქ ვეჭიდაოთ ერთმანეთს... მანამდე კი ხალხს დაველაპარაკები, ნახერხს მოვიტან, სკამებს დავადგმევინებ. იქნებ ახალგაზრდობა აგულიანდეს და ისეთი სანახაობა გამართონ, უწინ რომ ვიცოდით... ჰაი, დედასა!

— ეეე! ჭიდაობა ახლა აღარავის ეპიტნავება, ყმაწვილებს სხვა გასართობი გაუჩნდათ, ძალა ერჩით, მაგრამ მგონია, იმაზე კი არ იხარჯება, რაზეც უნდა იხარჯებოდეს...

— ასეა, დღეს ჩვენებურ ჭიდაობაზე აიღებ ხელს, ხვალ დედ-მამას დაივიწყებ, მერე კი... ნახვამდის ლექსო, პურ-მარილისათვის მადლობა მითქვამს, უფრო კი, კეთილი სიტყვისთვის!

დაკოჟრილი ხელები ჩამოართვეს ერთმანეთს, ბებრულად კი არა, მაგრად ჩამოართვეს, რაც მარტვისის კალოზე მომავალი ვაჟკაცური შერკინების საწინდარი იყო.

მთელ არემარეზე გავარდა ჭიდაობის ხმა.

კიკალამ რახრახა ტრაქტორით ნახერხი მოზიდა, იმდენი მოზიდა, ხარი რომ წაიქცეს, არაფერი ეტკინება, ზამბარასავითაა, ჩიტივით აფრინდება მაღლა. კალოს ირგვლივ სკამები დადგეს, მარტო გასასვლელი დატოვეს, ყველაფერი წესისამებრ მორთეს. აი, მხოლოდ ზოგიერთი ყმაწვილი ბიჭი იკრიჭება უთავბოლოდ, ენას ლესავს, დაუზოგავად ენაკვიმატობს, ბერიკაცებსა კბენს...

ასე იყო თუ ისე, დადგა ნანატრი დღე. ღმერთმაც მადლი მოისხა: ამინდიც კარგი დაიჭირა, არც ჯანღი ბურავდა ცას, არც ღრუბლის ფთილა ჩანდა სადმე, მზეც იმდენად არ იკბინებოდა, თუმცა სიკაშკაშე არ აკლდა.

უთვალავმა ხალხმა მოიყარა თავი — ზემოურებიც ჩამოვიდნენ, ისეთებიც მოკოჭლაბუხდნენ, ავადმყოფობის გამო რამდენიმე თვე გარეთ ცხვირი რომ არ გამოუყვიათ. მუდოს გოგიც გამოჩნდა თა-

ვისი ბრუტიანი ძმაკაცებით — ყურები ღამურასავით ჰქონდათ დაცქვეტილი.

ხნიერი და პატივცემული ხალხი კალოს ირგვლივ სკამებზე დასვეს. სხვები შემაღლებულზე მოკალათდნენ. წვრილფეხობა უფროსების ფერხთით მოეწყო, ხეებზე აცოცდა, უკეთ დავინახოთო. ყაჩაღანა ბიჭები გვერდზე მოქუჩდნენ, მზესუმზირას აკნატუნებდნენ, აპურჭყებდნენ და ყველას გასაგონად იცინოდნენ, ერთმანეთს ხელს კრავდნენ, ცალი თვალი მაინც კალოსაკენ ეჭირათ.

ლექსოს და ზაქროს შეაგვიანდათ. არ გამოჩნდნენ და არა. ბოროტმა ენებმა ხმა გაავრცელეს, თვითმარქვია ფალავნებმა პატიოსანი ხალხი გააცუცურაკეს, ხაფანგი დაუგეს, ცეცხლი შეუნთეს, თვითონ კი ბუჩქებში მიიმალნენო; რა გასაკვირია, რა ეჭიდავებათ, როცა ფეხზე ძლივს დგანანო.

უეცრად დაიკვნესა ზურნამ, გაისმა დოლის ხმა, გაიწელა გარმონი, იმწამსვე გაყუჩდა გაფანტული ხალხი, დაშოშმინდა, შარაგზისაკენ მიტრიალდნენ და კისრები წაიგრძელეს, არაფერი გამოგვრჩესო. მტვრიან გზაზე მოაბიჯებდნენ ზაქრო და ტახი-ლექსო, ირგვლივ ბავშვები შემოხვეოდნენ. ზაქრო მხნედ მოცუხცუხებდა, ლექსო აქეთ-იქით ირწეოდა. ახლოს მივიდნენ მაყურებლებთან, მიესალმნენ, ოთხივე მხარეს მიბრუნდ-მობრუნდნენ, მერე ერთი იქით გაემართა, მეორე აქეთ. გაიძრო ზაქრომ გვერდზე შესაკრავი ხალათი, პერანგიც მიაყოლა და გაიშიშვლა გამხდარი დაკუნთული ტანი, მეჩხერი ბალანი გათეთრებოდა მკერდზე, კანი შენაოჭებოდა. ნახმარი, ლურჯი ფერის უსახელოებო ჩოხა ჩაიცვა, წელზე ლურჯი ფერისავე სარტყელი შემოირტყა: გარეთა შარვალი ჩაიძრო, შიგნითა ტილოსი ეცვა, ჩაცუცქდა, ქალამნის თასმები კარგად მოვუჭიროო. ზაქროს ლექსომაც მიბაძა, პიჯაკი გაიხადა, არც ზედა ხალათი დაიტოვა, შემდეგ მაისური აიწია და ძლივს გადაიძრო თავზე. ორმა გლეხმა ძლივს ჩააცვა ჟოლოსფერი ჩოხა, მერე წელზე წითელი სარტყელი შემოარტყეს და ამით მოათავეს მისი შემოსვა. ამნაირი ბრგე ვინმე ზემოდან რომ დაგაწვება, ძვლებს ველარ აკრიფავ. ქართულ ჭიდაობაში ძალ-ღონე ძვირად ფასობს, მაგრამ მაინც ხერხი ჯობია.

შუა კალოზე გავიდნენ ორივენი და ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, შემდეგ დასცილდნენ და კვლავ შეიყარნენ საჭიდაოდ. ცალი ხელი სხვადასხვა ფერის სარტყლებზე ჩაავლეს, მეორე კი ბეჭებზე მოუთათუნეს. ერთი სული ჰქონდათ, სანამ სარმას გამოკრავდნენ და ნახერხმოყრილ მიწაზე დასცემდნენ ერთმანეთს. ტახი-ლექსო მთასავით გადმოადგა ზაქროს თავზე, უნდოდა უზარმაზარ ღიპზე მიეკრა, კვანტი გამოეკრა და კისრულზე გადაეშვა, მაგრამ ზაქრო არ ნებდებოდა, ხელიდან უსხლტებოდა, სხმარტალებდა, ახლოს არ მიდიოდა. ერთ ადგილზე იტკეპნებოდნენ, მძიმედ სუნთქავდნენ, ფშუტუნებდნენ, ზაქროს ოფლი ჩამოსდიოდა, ტახი-ლექსოც ოფლში გაწურულიყო, თითქოს წყალი გადაასხესო. ზაქრომ იმარჯვა, ლექსოს სარმა გამოკრა, სახელგანთქმული მარტვისული სარმა, როგორც წესი და რიგია (საუკეთესო წლებში რომ იცოდა, ისე), ლექსო ნახერხზე მოისროლა. მძიმე და მოუხეშავი იყო ლექსო, მაგრამ მაინც მოახერხა და ფეხზე წამოდგა. აღარ აცალა ზაქრომ, ისევ გამოკრა სარმა და გვერდზე მოისროლა; ხერხი კი აღარ მოსდევდა ძველებურად, ლექსოს მუცელს წამოედო და გვერდულად დაეცა. მერმე ლექსომ იძალა. მაშინ ისე გაიტკაცუნა ზაქროს ნეკნებმა, რომ ყველამ გაიგონა. ორივე ფალავანი დაეცა. ხალხი ზეზე წამოხტა, ხმა ჩაუწყდა ზურნას, უკანასკნელად დაიბუბუნა დოლმა, აღარ გაიწელა გარმონიც. კაცებმა ლექსოს მკლავში ჩასჭიდეს ხელი და ფეხზე დააყენეს; ზაქრო გვერდზე ეგდო მოკრუნჩხული, ტკივილისაგან ტუჩები მოღრეცოდა, სახეზე მიწისფერი ედო. მივარდნენ, მკლავზე მოეჭიდნენ, მაგრამ ხელი გააქნია, არ მომეკაროთო. ამასობაში ყმაწვილმა ბიჭებმაც მოირბინეს, აქამდე რომ განზე იდგნენ, ახლა მოწიწებით მისჩერებოდნენ ზაქროს. ჰოდა, ასე, იწვა მიწაზე ზაქრო, მერე პირდაღმა გადაბრუნდა, წამოიჩოქა, მარჯვენა ხელით მიწაზე დაეყრდნო და გვერდულად წამოიწია. სახსარში მოღუნული მარცხენა მკლავი გახევებულ ქანქარასავით ეკიდა. „მომაწოდე ჩემი ხალათი“ — შეცვლილ ხმაში ხრინწი გაერია ზაქროს და ზონზროხა გოგლამ წამისუმალ გაუწოდა ხალათი. „გამხადე ჩოხა“, — ჩაიჩურჩულა ზაქრომ და ერთბაშად ცხრა ხელი მისწვდა სარტყელს. შემოხსნეს სარტყელი, ფერდი არ ეტკინოსო, ფრთხილად გახადეს ჩოხა. „ახლა კი ხალათი, მაგრად შემომახვიეთ!“. თავზე მდგომებს უნდოდათ ხალათი დაეხიათ, მაგრამ კობა დალაქმა არ დაანება — ჯერ ერთი, დასანანია, სულ ახალთახალია, ჩაუცმელიო. მოდი ეს ხალათი ორად დავკეცოთ და სახელოები შემოვუჭიროთ, ასე აჯობებსო. ასეც მოიქცნენ. კობამ დაჟეჟილ ფერდთან შეუყო ხელი, სიგრძივად გაკეცილი ხალათი ქვემო ნეკნებზე მოადო და ნელა შემოახვია სახელოები. „მაგრა მომიჭირე, უფრო მაგრა“, — ჩიფჩიფებდა ზაქრო, ძლივს აღებდა ჩაშავებულ ტუჩებს. კობამ სახელოები მარჯვენა გვერდზე გადაავლო, მეორეჯერ შემოახვია ტანზე და მტკივან ფერდზე გამოსკვნა. თურმე რა ჩამომხმარი ყოფილა ზაქრო და რა ვაჟკაცობა ჰქონია ამ ძაბუნ სხეულში! ამასობაში ტახი-ლექსო ძელსკამზე ჯდება და თვალს არ აშორებს ზაქროს, მისი ტკივილი სტკივა, იტანჯება, წყევლის თავის სიმარჯვეს, მაგრამ განა რამეში მიუძღვის ბრალი? ყველაფერი შემთხვევით მოხდა, სიბერემაც შეუწყო ხელი, ყოველივე ამას გამარჯვების ჟინიც დაემატა. ზაქრო წელში გაიმართა, ვერ არის კარგად, მაგრამ მაინც მაგრობს. მარჯვენა ხელი ჩაიქნია, ვითომ არაფერი მომსვლიაო, დაამშვიდა ხალხი, დააშოშმინა და წავიდა. გაიწ-გამოიწივნენ მაყურებლები, გზა დაუთმეს. მხოლოდ დოყლაპია გოგლა და კობა-დალაქი მიყვნენ უკან; გოგლას ზაქროს საჭიდაო ჩოხა ეჭირა ხელში, კობას კი — ხალათი. ფალავნის შინამდე მიცილებას აპირებდნენ. უცებ შედგა ზაქრო, გამცილებლების ფეხის ხმაზე შემობრუნდა, შეიცადა, სანამ ახლოს მივიდოდნენ, მერე დოყლაპია გოგლას ჩოხა ჩამოართვა. მოიქნია და ირგვლივ შემოჯარულ ყმაწვილებს გადაუგდო. მოულოდნელობისაგან იმათ პირი დააღეს, მაგრამ მაშინვე გონს მოვიდნენ, ჩოხას წაეპოტინენ და თავ-თავისკენ მოქაჩეს. ზაქროს ჭირის ოფლი ასხამდა, მაგრამ როგორც კი დაინახა, რომ ყმაწვილები ჩოხას ეცნენ, სახე გაუნათლდა, კმაყოფილებით ჩაიღიმა, კობას ხალათი გამოართვა და გზა განაგრძო. აქოთქოთდა ხალხი, ვიღაცამ დამკვრელებს გასძახა. აჭყვიტინდა ზურნა, აგრიალდა დოლი, გაილვიძა გარმონმა. ლექსოს ფერი მოუვიდა, გამოცოცხლდა, ჩოხის სახელოებიდან გამოყო ღონიერი ხელები, გორაკზე შეფენილი ხალხი შეათვალიერა, ზაქროს ჩოხის გამო წაკიდებულ ბიჭებს მიუბრუნდა და თავისი ჟოლოსფერი ჩოხა გადაუგდო. ათეული გამოწვდილი ხელი მიეტანა ჩოხას. ამასობაში ლექსომ მაისური ჩაიცვა, ხალათი შარვალში ჩაიტანა და დამკვრელების გვერდით ძელსკამზე მოკალათდა. ზაქრო კი უკან მოუხედავად მიაბიჯებს შარაგზაზე, მარცხენა ხელი ტანზე ეტყაპუნება, მარჯვენათი ხალათს აწვალებს, მტვერს იბერტყავს. მერე ფერდობს მიეფარა...

ამასობაში ყმაწვილები, სხვაზე მარჯვე რომ გამოდგნენ, ჩოხებში გამოეწყვნენ, სარტყელი შემოირტყეს და შუა კალოზე გვერდულად გავიდნენ. დამცხრალ-დაყუჩებული ხალხი სეირის მოლოდინით გაფიცხდა. „მიდი, მიდი!“ გაჰყვირიან ყმაწვილი ბიჭები. მაშინ ლექსო გამოვიდა ასპარეზზე სამსაჯოდ. ერთს ჩოხა გაუსწორა, მეორეს სარტყელი უფრო მოუჭირა. ერთს ყურში რაღაც უჩურჩულა, მეორეს კისერზე დარტყა ხელი, მერე მათ შორის ჩადგა და ერთმანეთისაკენ უბიძგა. შემდეგ დამკვრელებს დაუქნია ხელი, აბა, მუსიკა გააჩურეთო. ჰოდა, დაიწყო და რა დაიწყო. ბიჭები გან-გან უვლიან ერთმანეთს, ერთიმეორის ხელებში მომწყვდევას ლამობენ, ხალხი ყვირის, მეზურნეს ლოყები ისე დაბერვია, გეგონება აგერ-აგერ გაუსკდებაო, მედოლეს ხელები დააწყდა, მეგარმონემ ლამის შუაზე გახლიჩოს გარმონი. ყველაფერი როგორც წესი და რიგია, ისე მიდის, მაგრამ აი, ჭიდაობა ვერ აეწყო და ვერა; ჩაიჭირეს მოჭიდავეებმა ერთმანეთი, კინაღამ ჩოხები შემოახიეს... ლექსო ხან გვერდზე გადგება, ხანაც ტრიალებს, ხან კიდევ ჩაცუცქდება... ახალგაზრდები კი უსტვენენ, მეგობრებს აქეზებენ, ჩოხებს ელოდებიან, რათა საკუთარი თავი გამოსცადონ...

საჭიდაოს რომ გასცდა, ზაქრომ ნაბიჯი შეანელა, მერე შეჩერდა. სრუტუნებდა, თითოეული ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა ფერდებს უფატრავდა, აუტანელ ტკივილს გრძნობდა. შინამდე ბევრი აღარ დარჩენოდა, მაგრამ სიარული უჭირდა: გაჭირვებით მიფლასუნდა შინ, მოკაკულმა შეიტანა ჭიშკარში დაჟეჟილი ფერდი, გადახურულში შევიდა და ძველ ტახტზე მიეგდო. მალე ცოლი წაადგა თავზე. ჰოდა, მოჰყვა მოთქმასა და ვაებას, რა წყევლა არ მოდიოდა მისი ფართოდ გაღებული, უკბილო პირიდან, მაგრამ წამხდარ საქმეს წყევლით რას უშველი! როგორც იყო ქალი ჩაცხრა, დაფაცურდა, მეზობელი დაიხმარა და ძლივს მოაბრუნა ტახტზე მისვენებული გაფითრებული ბერიკაცი...

თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ.

# ფარნავაზისეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ დემეტრაშვილი

ჩემი მასპინძელი დინჯი კაცია. ზის ფეხი ფეხზე გადადებული და ხმადაბლა მიყვება გარდასულ დღეთა შორეულ ამბავს.

ფიქრი ფიქრს აება. გონებაში ერთმანეთის მიყოლებით თითქოს ნათლად გაცოცხლდა და ახმიანდა მასპინძლის მონათხრობი:

...1711 წლის 27 მარტია.

ბარდნის.

მოსკოვი ხორხოშელა თოვლით გადათეთრებულა.

ქარი მძლავრობს. წამდაუწუმ დაბერავს და დონის მონასტრიდან მამათა და მხევალთა გალობის ხმა მოაქვს.

მიცვალებულს კრძალავენ.

მიმწუხრია. დონის მონასტრის სრეტენსკის ტაძარში სასუფეველს უმკვიდრებენ ბაგრატიონთა ნაშიერს, რუსთა მეფის პეტრე პირველის მეგობარს, არტილერიის პირველ გენერალ-ფელდცეიხმაისტერს, უფლისწულ ალექსანდრე არჩილის ძეს.

მონასტერი ხალხით გავსებულა. გაისმის გოდება.

და მაშინ, როცა სასახლე სამარეში უნდა ჩაესვენებინათ, უპეებჩალამებულმა მეფე არჩილ მეორემ უკანასკნელად დახედა ბრგე, შავულვაშა ახალგაზრდა ვაჟიშვილს, დაემხო და ზეცისკენ ხელებაპყრობილმა სასოებით ამოიგმინა:

— ვახ, სოფელო, რაშიგან ხარ!..

ვაგლახ, რომ ასე იყო.

საქართველოს სვედამწვარი ისტორიის ბედუკუღმართმა ჩარხის ტრიალმა, ვინ მოთვლის, რამდენი გარიყა და სადაურსა სად აღუფხვრა სადით ძირი...

არჩილის ძის ალექსანდრე ბატონიშვილის დაკრძალვით, დონის მონასტერში დასაბამი მიეცა ქართველ დიდგვაროვანთა პანთეონის დაარსებას.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან სრეტენსკის ეკლესიის შემოგარენში ასაფლავებდნენ ისტორიის და კულტურის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს, მეფის საგვარეულო პირებს, რუსეთში წარჩინებულ მაღალი რანგის სამხედრო მოხელეებს.

ისტორიული წყაროები მიგვანიშნებს, რომ დონის მონასტრის ძვალთა სავანეში განისვენებენ მეფე არჩილ მეორე, მისი მეუღლე ქეთევანი, ქალიშვილი დარეჯანი, მამუკა და დავით არჩილის ძეები; აქვე არიან დაკრძალულნი მეფე ვახტანგ მეექვსის ვაჟიშვილები გიორგი და ბაქარი, მათი დედა რუსუდანი, ვახტანგ მეფის შვილიშვილი ვახტანგ გიორგის ძე...

— კიდევ ვინ?

ჩემი მასპინძელი დუმს. ფიქრებში წასული გასცქერის საავდროდ მოქუშულ ზეცას და, ლამის არის, ჩურჩულით მეუბნება:

— ვახუშტი ბაგრატიონი...

გამოხდა ხანი.

დრომ თავისი გაიტანა. დონის მონასტერში ბევრი რამ შეიცვალა, გაიცრიცა, მოისრა, თანდათან აღიგავა პირისაგან მიწისა.

რამდენიმე ხნის წინათ მონასტერში არქეოლოგიური გათხრები ჩაატარეს.

ვარაუდი გამართლდა.

სრეტენსკის შემოგარენში სპეციალისტებმა რამდენიმე დაკარგული საფლავი მოიძიეს.

ეს კია: ეპიტაფიები გაფერმკრთალებულიყო. ზოგიერთი საფლავის ქვა გულმოდგინე დამუშავებას, შეკვრას და წარწერის ხელმეორედ გაკეთებას საჭიროებდა.

— მერე?

მერე თურმე ის იყო: იხმეს ჩემი მასპინძელი — საქართველოს სამხატვრო აკადემიის ქართული შრიფტის ლაბორატორიის სასწავლო ოსტატი დავით ბერძენიშვილი, გაესაუბრნენ და წინაპართა საფლავის ქვებზე ახალი წარწერების გაკეთება დაავალეს.

ადვილად იტყვის ენა!

ზოგმა არც იცის რამდენი ფიქრი, ძიება და თეთრად გათენილი ღამეა საჭირო, რომ მისხალ-მისხალ ჩამოქნილი, მრგვალი და ოვალური, ყელყელა და ვაზივით ჩაწნული ნატიფი ასოები მალამოსავით მიუსადაგო საფლავის ქვას, რომლის ქვეშ ისტორია თვლემს.

ასეა! მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ფარნავაზისეულ ქართულ ანბანს გულმოდგინე რუდუნი და მისათუთება სჭირდება...

ასოები — პატივცემული დავითისათვის ჩვენი დამწერლობის ხორცშესხმული მატიანეა.

კი. თითოეულ მათგანს დაბადების საკუთარი მოწმობა და მრავალსაუკუნოვანი საკუთარი ბიოგრაფია აქვს.

დახედეთ „ჯ"-ს.

წმინდა ნინოს ჯვარია.

— „ჭ"?

— „ჭ" — ჭას მახსენებს.

— „ა"?

— კოცონზე ავარდნილ ალს.

— „ჰ"-ზე რას იტყვით?

—„ჰ" — ჭაერივით ადის და ადის მაღლა...

დავით ბერძენიშვილს დედაენის უძველესი ანბანის ტრფიალი ყმაწვილკაცობიდანვე მოსდევს.

ეს ტრფიალი კიდევ უფრო გაღრმავდა, როცა თბილისის სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის ფაკულტეტი დაამთავრა და ქართული შრიფტის ლაბორატორიაში დაიწყო მუშაობა.

აკადემიის ლაბორატორიაში პატივცემულ დავითს, აქეთ, ფანჯარასთან, ციცქნა და მყუდრო კუთხე აქვს აჩენილი.

ასეა ათი წელი:

შეაღებს კარს. ჩამოუვლის მაგიდასთან თავდახრილ სტუდენტებს.

მერე დაჯდება, აიკაპიწებს მკლავებს და მიდი; უკირკიტებს, ზომავს და იაზრებს, ეძიებს და პოულობს, ყოველ ქართულ ასოსა და ასომთავრულს დაჰფოფინებს...

ჩვენი შრიფტის სხვადასხვა გარნიტურის შექმნა, კონფიგურაცია, ასოს ახლებურად დანახვა, ტევადი და სადა, კომპოზიციურად დახვეწილი ქართული შრიფტის მრავალსახეობათა დამზადება, ეროვნული სისხლხორცეული საქმეა.

ამ საშვილიშვილო საქმის ერთ-ერთი მოჭირნახულეა ნი-








ჰიერი გრაფიკოსი დავით ბერძენიშვილი.

მიბრძანდით და ნახეთ:

თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, ფოსტა-ტელეგრაფის ახალ შენობაში ყველა წარწერა დავით ბერძენიშვილის ხელით არის შესრულებული;

მონუმენტურ სტელას, რომელიც მოსკოვში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავის აღსანიშნავად აღიმართა, დავით ბერძენიშვილის ნატიფი ქართული ასოებიც ამკობს...

— ახლა რაზე მუშაობთ?

— შრიფტზე. დღემდე ოცდარვა სახეობის ქართული შრიფტი დავამზადე. ისინი, ასე ვთქვათ, ჯერაც დამუშავების პროცესშია. მზად მხოლოდ ათი ქართული შრიფტია სახეზე. გაქვთ კიდევ შეკითხვა?

მაქვს.

მასპინძელი წამოდგა. გამიღიმა და ბოლო შეკითხვის პასუხად მომიგო:

— კი. წარწერით, რომელიც დონის მონასტრის ერთ-ერთი საფლავისათვის დავამზადე, კმაყოფილი ვარ...

ვემშვიდობები.

ვიცი, ჩქარობს, სამხატვრო აკადემიაში აგვიანდება და აღარ ვაყოვნებ.

ა ბ გ დ ე ვ ზ
თ ი კ ლ მ ნ ო
პ ჟ რ ს ტ უ ფ
ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ
ჭ ხ ჯ ჰ

ა ბ გ დ ე ვ
ზ თ ი კ ლ
მ ნ ო პ ჟ
რ ს ტ უ ფ
ქ ღ ყ შ ჩ ც
ძ წ ჭ ხ ჯ ჰ
1234567890

# ესტებანის სოფელი

(დასასრული)

ლის შემდეგაც ასე რომ უშლიდა ხელს.

მათ წარმოდგენაში ცოცხალი ესტებანი კარდაკარ დადიოდა. კარის წირთხლზე თავმიბჯენილი უხერხულად იდგა პარმაღზე და არ იცოდა, სად წაეღო თავისი სალუქი და ვარდისფერი ხელები, ვიდრე შეშინებული დიასახლისი ყველაზე გამძლე სკამს ეძებდა და შიშით გათანგული ბუტბუტებდა: აქ დაბრძანდით, ესტებან, დამდეთ პატივი, და ის კედელს მიყრდნობილი: ნუ სწუხდებით, სენიორა, ასეც მშვენივრად ვარ; ეს იმიტომ, რომ სკამი არ შემოტყდომოდა და არ შერცხვენილიყო. ალბათ, არც იცოდა, რომ სწორედ ის, ვინც წუთის წინ ეხვეწებოდა, ნუ წახვალთ, ესტებან, ყავაც ახლავე იქნებაო, ასისინდებოდა: ძლივს არ წავიდა ეს ბრიყვი ახმახი, რა კარგია, წავიდა ლამაზი სულელი! ასე ფიქრობდნენ გათენებამდე მიცვალებულის გვერდით მსხდომი ქალები.

ცოტა ხნის შემდეგ, სახეზე ცხვირსახოცი რომ დააფარეს, შუქმა არ შეაწუხოსო, იგი ჩვეულებრივ მიცვალებულად იქცა. უსუსური და უმწეო ისე დაემსგავსა მათ ქმრებს, რომ ქალებს გულიდან აქამდე შეკავებული მოთქმა აღმოხდათ. პირველად ყველაზე ახალგაზრდა აქვითინდა. დანარჩენები ოხვრიდან ქვითინზე გადავიდნენ და რაც უფრო მეტს მოსთქვამდნენ, უფრო და უფრო უჩუყდებოდათ გული, რადგან დამხრჩვალი თითქოს ისევ ესტებანდებოდა, და როცა მათი კაცები დაბრუნდნენ და ამბავი მოიტანეს, არც მეზობელ სოფელში დამხრჩვალა ვინმეო, ცრემლების მიღმა სიხარული გამოკრთა.

— მადლობა ღმერთს, — ამოიოხრეს, — ჩვენია!

კაცებმა ეს საქციელი ქალების უჭკუობას მიაწერეს. მთელი ღამის უშედეგო ხეტიალით დაქანცულებს სურდათ, რაც შეიძლება მალე, მცხუნვარე და სულისშემხუთველი დღის დადგომამდე მოეცილებინათ თავიდან დაუპატიჟებელი სტუმარი. ფოკ-ანძისა და ბიზანისგან სახელდახელოდ შეკრეს საკაცე. ზედ საიმედოდ დააკრეს სხეული. კლდეებზე მიხლისაგან რომ არაფერი დაშავებოდა და ზღვის მოქცევას უკან რომ არ გამოერიყა, გადაწყვიტეს, რომელიმე სავაჭრო გემის ღუზით ისეთ სიღრმემდე ჩაეშვათ, თევზებიც კი თვალში რომ ვერ იყურებიან, ხოლო მყვინთავები დარდით იხოცებიან. მაგრამ, რაც უფრო ჩქარობდნენ კაცები ამ საქმის დამთავრებას, მით უფრო ითრევდნენ ფეხს ქალები. შეშინებული ქათმებივით ფუთფუთებდნენ, ზოგი ზურგის ქარის გამომწვევ ავგაროზს ეძებდა სკივრში, ზოგი მაჯაზე კომპასს უკეთებდა... და ამდენი გადი აქედან, ქალო ძახილით, ხელს ნუ გვიშლი, გამოიხედე თვალში, კინაღამ ცხედარზე არ წამაქციეს?.. ჯაჯღანით გაბეზრებული კაცები, უკვე ავად ბუზღუნებდნენ: ნეტავ, რა საჭიროა ამდენი ვაი-ვაგლახი, რა ავგაროზიც არ უნდა ჩამოკიდოთ, რა იაზმაც არ უნდა ასხუროთ, სულ ერთია, თევზები გამოხრავენო.

მაგრამ ქალები მაინც მოარბენინებდნენ ათას რამერუმეს, და რაც ცრემლს ვერ ამოერეცხა გულიდან, სიტყვებს ამოჰქონდა. ბოლოს და ბოლოს კაცებსაც აევსოთ მოთმინების ფიალა: სად გაგონილა, უპატრონო, ზღვის გამორიყული დამხრჩვალის, ამ სიბინძურით სავსე კასრის ასეთი გლოვა! ამ სიტყვებით აღშფოთებულმა ერთმა ქალმა ცხედარს სახიდან ცხვირსახოცი ააცალა და კაცებსაც კი სუნთქვა შეეკრათ.

ესტებანი იყო, ეს წამსვე ყველასთვის საცნაური გახდა. ესტებანი მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო მთელ ქვეყანაზე და ისიც აქ ეგდო გამორიყული, მოკლე შარვლითა და ზღვის კენჭივით გლუვი იდაყვებით. დამხრჩვალს სახეზე აშკარად დარცხვენა ეხატა. რა მისი ბრალი იყო, ასეთი დიდი, ასეთი მძიმე და ასეთი ლამაზი რომ გააჩინა ბუნებამ. და რომ სცოდნოდა, რა აურზაური მოჰყვებოდა მის სიკვდილს, სხვა უფრო მიყრუებულ ადგილს არჩევდა დასახრჩობად. „არა, მართლა, მე ოთხშაბათის მკვდარი, როგორც ინებეთ ჩემთვის გეწოდებინათ, თვითონ მოვებმებოდი გალიონის ღუზას და კლდოვან ნაპირებთან მასთან ერთად ჩავიძირებოდი, ოღონდ დღეს თქვენთვის ამდენი საზრუნავი არ გამეჩინა, ოღონდ არავინ შემეწუხებინა სიმყრალით სავსე კასრით, ჩემთან რომ არავითარი საერთო აღარა აქვს“ — ამ უხმო ღაღადისის სიმართლეში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო. ყველაზე ეჭვიანი მამაკაცებიც, ზღვაზე გატარებულ მრუმე ღამეებში იმის შიში რომ გაუჩნდებოდათ ჩვენი ლოდინით დაღლილი ცოლები ვაითუ დამხრჩვალზე ოცნებობენო, გულის სიღრმემდე შეძრა ესტებანის გულწრფელობამ.

ამიტომაც იყო, რომ უცხო, მიგდებული მიცვალებულის პირობაზე საუცხოოდ დამარხეს. მეზობელ სოფლებში ყვავილების სამოვნელად წასულმა დედაკაცებმა იქაური ქალებიც მოიყოლეს, მათი მონაყოლი რომ არ სჯეროდათ. ბოლოს იმდენი ყვავილი და იმდენი ხალხი დაგროვდა, რომ ნაბიჯის გადადგმა ჭირდა.

ობოლივით წყალში ჩასაშვებად ვერ გაიმეტეს და უკანასკნელ წუთს იქვე შეკრებილი ხალხიდან საუკეთესოთა შორის საუკეთესო მშობლები ამოურჩიეს, დანარჩენებმა დებად, ძმებად, ბიძაშვილებად გამოაცხადეს თავი. ასე, რომ, მისი გამოისობით მთელი სოფელი დამოყვრდა.

ღუზის გარეშე ჩაუშვეს წყალში, როცა მოესურვებოდა, უკან რომ დაბრუნებულიყო. დრო თითქოს ერთ ადგილზე გაიყინა. სუნთქვაშეკრულები მისჩერებოდნენ, როგორ გაუჩინარდა სხეული სიღრმეში.

ერთმანეთი არც კი შეუთვალიერებიათ. უკვე იცოდნენ, ვილაც აკლდათ და ამ დანაკლისს ვერასოდეს აინაზღაურებდნენ, მაგრამ ისიც იცოდნენ, ამიერიდან ყველაფერი შეიცვლებოდა: მათ სახლებს უფრო ფართო კარი, მაღალი ჭერი და მტკიცე იატაკი ექნებოდა, რათა ესტებანის ხსოვნას თავისუფლად შეეღწია ყველგან, ისე, რომ არც კარის წირთხლს წამოსდებოდა და არც ვინმეს გაებედა თქმა: აჰა, მოკვდა ლამაზი ოტროველა, რა სამწუხაროა გულუბრყვილო გოლიათის სიკვდილიო. ესტებანის ხსოვნის უკვდავსაყოფად სახურავებს მხიარულ ფერებად შეღებავდნენ, ზურგებს გადაიტყავებდნენ და ქვაღორღიან მიწაზე წყაროს გამოიყვანდნენ, ხრიოკ ფერდობზე ყვავილებს გაახარებდნენ, რათა წლების შემდეგ, განთიადისას დიდი გემის მგზავრებს ზღვისპირა ბაღების სურნელებით სუნთქვაშეკრულებს გამოღვიძებოდათ. სრულ საპარადო ფორმაში გამოწყობილი, საბრძოლო მედლებით მკერდდამშვენებული კაპიტანი, თავისი განუყრელი ჭოგრიტით ხელში შუა გემბანზე გამოსულიყო და თოთხმეტ ენაზე გამოეცხადებინა: გაიხედეთ იქით, საიდანაც ახლა სუსტად ქრის მომაბეზრებელი, მომთენთავი ქარი, სადაც მზე ისე ჩახჩახებს, მზესუმზირებმაც კი არ იციან, თავი საით მიაბრუნონ. დიახ, იქ ესტებანის სოფელია.

ესპანურიდან თარგმნა

თეა გვასალიამ.

# ედგარ პო

## კონსტანტინე პაუსტოვსკი

1849 წლის სექტემბრის მიწურულს მატარებლის ვაგონში, ის-ის იყო ბალტიმორიდან ფილადელფიაში რომ გავიდა, კონდუქტორმა ერთი დაბალ-დაბალი, გამხდარი, ძველმანებში ჩაცმული ადამიანი შეამჩნია. ეს კაცი უგრძნობლად იწვა. როცა გონს მოვიდა, კონდუქტორმა პირველსავე სადგურზე ჩამოსვა და უკან, ბალტიმორისაკენ გაისტუმრა, სადაც, მისი აზრით, ამ ადამიანს ნათესავები ან მეგობრები უნდა ჰყოლოდა. უცნობი ადამიანი მთვარეულივით მოძრაობდა და არაფერი ესმოდა, ჩემოდანი ხელნაწერებით ჰქონდა გატენილი.

ბალტიმორში უცნობი ვაგზლიდან გამოვიდა, ქუჩაში დადგმულ სკამზე ჩამოჯდა და რამდენიმე საათს ასე გაუნძრევლად იჯდა. მერე დაეცა. იგი წამოაყენეს და საავადმყოფოში წაიყვანეს.

რამდენიმე დღის შემდეგ 1849 წლის 7 ნოემბერს, ეს ადამიანი მოკვდა გამოუცნობი ავადმყოფობისაგან. მიცვალებულის გულზე მედალიონში არაჩვეულებრივი სილამაზის ქალის პორტრეტი იპოვეს. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს იყო დედის პორტრეტი. მიცვალებული მთელი სიცოცხლე არ გაშორებია მას.

ასე უცნაურად და მარტოსულად დასრულდა შესანიშნავი ამერიკელი მწერლის ედგარ პოს არსებობა.

ედგარ პოს თანამედროვეებმა ბევრი მოგონება დატოვეს მასზე, მაგრამ ყველა ეს მოგონება ისეა დაწერილი, თითქოს ედგარ პო მაშინდელ ამერიკაში შორეული პლანეტიდან ყოფილიყოს მოვლენილი.

მასზე წერდნენ მოწიწებული ან ბოროტი გაოცებით. მას ათვალიერებდნენ ცნობისმოყვარეობით და მამხილებლად. მისი ეშინოდათ, მაგრამ დროდადრო აღფრთოვანებაში მოდიოდნენ მისით.

ედგარ პო იყო ამერიკის „უძღები შვილი". ამ პოეტის, ფანტასტისა და ბედუკუღმართი კაცის ცხოვრებაც კი გამოწვევა იყო პირმოთნეობისა და რუტინისა. ოროთქლისა და ვაჭრული ციებ-ცხელების საუკუნეში დაიბადა ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარი წარმოსახვის ძალით ცხოვრობდა და საცინლად იგდებდა ყველაფერს, რაც იმ დროს მის თანამემამულეთა უმრავლესობის ცხოვრების აზრს შეადგენდა.

ეს მისთვის ვერ ეპატიებინათ, ამის გამო მასზე შურს იძიებდნენ. იძულებული გახადეს, თითქმის მთელი სიცოცხლე ეშიმშილა, ემათხოვრა, აეტალახებინა რედაქციების კარები. სიცოცხლეში მას გულცივობით უსწორდებოდნენ, სიკვდილის შემდეგ ცილისწამებით.

ასეთმა სიკვდილშემდგომმა ცილისწამებამ ათქმევინა ფრანგ პოეტ ბოდლერს: „რატომ არ უკრძალავენ ამერიკაში ძაღლებს სასაფლაოზე სიარულს?"

ედგარ პომ ბევრი ფანტასტური მოთხრობა დაწერა. დაწერა ბევრი ბრწყინვალე პოემა და ლექსი, არა მხოლოდ ამერიკული, არამედ მსოფლიო პოეზიის საგანძურში რომ შევიდა.

მისი პოემები „ყორანი" და „ზარები" სიღრმითა და პოეტური ძალით სამართლიანად ითვლებიან მსოფლიო შედევრებად.

ამას გარდა, ედგარ პომ პირველმა შექმნა სათავგადასავლო და ეგრეთწოდებული დეტექტური მოთხრობები. არაჩვეულებრივი სიზუსტითა და გონებანათელი ანალიზით რომ გამოირჩევიან. მათ შორის საუკეთესოდ „ოქროს ხოჭო" უნდა მივიჩნიოთ — მოთხრობა გამსჭვალული იდუმალებათა მძაფრი და ამაღელვებელი ქროლვით.

ედგარ პო იყო ფუძემდებელი იმ ფანტასტიკური ლიტერატურისა, რომელმაც თავისი განვითარება ჰპოვა ჟიულ ვერნისა და ჰერბერტ უელსის ნაწარმოებებში.

ედგარ პო წმინდა სისხლის ირლანდიელია. ის წარმოშობით ძველისძველი ირლანდიური გვარის წარმომადგენელი იყო. მისი წინაპრები ამერიკაში გადასახლებულან. ედგარის პაპა შეერთებული შტატების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მონაწილეობდა, გენერლის ჩინი ჰქონდა და ცნობილ ლაფაიეტთან მეგობრობდა. ედგარის მამამ მიატოვა მტკიცე ტრადიციების მქონე გენერლის ოჯახი და მსახიობი გახდა. მან ცოლად შეირთო ინგლისელი მსახიობი ქალი ელიზაბეტ არნოლდი — იშვიათი სილამაზის, ობოლი, შუა ოკეანეში გემბანზე დაბადებული და უცხო ადამიანების გაზრდილი ქალი. ედგარ პოს მშობლები ფურგონით გადადიოდნენ ერთი ქალაქიდან მეორეში მოხეტიალე მსახიობებთან ერთად.

1809 წელს ბოსტონში მათ შეეძინათ ვაჟი ედგარი.

ედგარი ორი წლისა იყო, როცა მშობლები თითქმის ერთდროულად დაეხოცა ჭლექით. ბიჭი ალსაზრდელად აიყვანა ვირჯინიის ქალაქ რიჩმონდის მკვიდრმა შოტლანდიელმა ვაჭარმა ჯონ ალენმა.

ლამაზი, თავქეიფა, მამაცი ედგარი, ამავე დროს არაჩვეულებრივი სიკეთით რომ გამოირჩეოდა, მდიდრულ ოჯახში იზრდებოდა. მალე ალენი სავაჭრო საქმეებზე ხუთი წლით ინგლისს გაემგზავრა და ედგარიც თან წაიყვანა.

ეს იყო ვატერლოოს ბრძოლების, ნაპოლეონის ხიბლის, ბაირონისა და პუშკინის სიჭაბუკის წლები. ევროპაში რომანტიკის ქარი ბობოქრობდა. პატარა ედგარი ლონდონის განაპირას საუკუნოვანი თელებით დაჩრდილულ წყნარ ქუჩაზე მდებარე სკოლაში სწავლობდა. ეს ქუჩა ძველი რომის შემორჩენილი გზის გარდიგარდმო გაჩენილიყო. მთელი ეს გარემო და ინგლისის გამოხუნებული ზეცა ბიჭს ოცნებებს ჰგვრიდა. ედგარმა ბავშვობის წლებიდანვე მისცა გასაქანი თავის წარმოსახვას და შემდგომში სრული უფლებით ამბობდა საკუთარ თავზე: „ჩემი ცხოვრების ერთადერთი საქმიანობა ოცნება იყო".

1820 წელს ედგარი ალენთან ერთად დაბრუნდა ვირჯინიაში და რიჩმონდის სკოლაში მოეწყო. ამ სკოლის მასწავლებლებს აოცებდათ ედგარის მზადყოფნა, „ჩაბლაუჭებოდა რომელსაც გნებავთ ძნელ გონიერ ამოცანას". ბიჭი ბრწყინვალედ ცურავდა. მთელ შტატში გაითქვა სახელი, როცა ექვსი მილი ბობოქარი მდინარის დინების საწინააღმდეგოდ გასცურა. ოცნებობოდა გადაეცურა ლა-მანში.

ასე, თითქოსდა ულრუბლოდ მიდიოდა ცხოვრება, მაგრამ მის სიღრმეში თურმე სიმწარე ილექებოდა. ედგარი ვერ ივიწყებდა იმას, რომ იგი აყვანილი შვილი იყო. ალენის სახლში ცხოვრების წესები მისთვის უცხო და მტრულიც კი აღმოჩნდა. მარტოობის გრძნობა ვერა და ვერ ჩამოეხსნა „უცნაურ ედის". ავადმყოფურად და გზნებით პასუხობდა მის მიმართ გაღებულ ყოველ სიკეთეს, შემთხვევითი ნაცნობი ელენა სტენპერდი სულ ერთხელ მოეფერა, მან კი უსაზღვრო ერთგულებით გადაუხადა. სტენპერდი მალე გარდაიცვალა. ედგარი ხშირად დადიოდა მის საფლავზე. ზოგჯერ ნამტირალევს იქვე ჩაეძინებოდა ხოლმე, დილით კი მას პოულობდნენ ამ ამბით თავზარდაცემული ალენის მსახურები.

მამობილთან განხეთქილება გარდუვალი იყო. ეს მაშინ მოხდა, როცა ედგარი ვირჯინიის უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

აქ სტუდენტებთან ერთად მხიარულად და უდარდელად ცხოვრობდა. ყველას ანცვიფრებდა თავისი საოცარი მეხსიერებით და ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი, მაგრამ არაჩვეულებრივი მეტყველებით. ატყვევებდა და აჯადოებდა მსმენელებს, მოსწყვეტდა მათ ჩვეულ სინამდვილეს და პოეზიის, შთაგონების, იდუმალებათა და ვნებათა ღელვის სამყაროში ასახლებდა. „გენიოსი — მიგდებული ბიჭი", — ასე ამბობდნენ მასზე მასწავლებლები და სტუდენტები.

ედგარს უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია, მამობილს გაეცალა და ბოსტონში გადასახლდა. ამ დროიდან დაიწყო მისი დამოუკიდებელი, დროდადრო ლეგენდარული, მოხეტიალე და მძიმე ცხოვრება.

ბოსტონში გამოსცა თავისი ლექსების პირველი წიგნი — „თემურლენგი". მერე მთელი ექვსი წლით გაქრა ამერიკიდან. კაციშვილმა არ იცოდა, რა გადახდა მას ამ ექვსი წლის განმავლობაში. აქედან იწყება ლეგენდების თხზვა. ამბობენ, რომ ედგარი იყო საბერძნეთში, იტალიაში, მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყებაში, ცხოვრობდა პეტერბურგში, მარსელში

ჩხუბში დაჭრეს და ბოლოს, თითქოს გამოგონილი სახელით მსახურობდა ამერიკის არმიაში. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 1830 წელს იგი ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემიაში გამოჩნდა უკვე დაღლილი და ჯანგაცლილი 21 წლის ახალგაზრდა. აქ დიდხანს არ დარჩენილა. როგორც ირკვევა, რამდენჯერმე შეგნებულად დაარღვია დისციპლინა, რისთვისაც სამხედრო სასამართლოს გადასცეს და ჯარიდან დაითხოვეს. მერე ედგარ პომ პოემების ორი წიგნი გამოსცა და ისევ გაქრა სამი წლით. გამოჩნდა 1833 წელს ჟურნალ „შაბათის სტუმრის“ რედაქციაში ბალტიმორში. აქ მან ორი მოთხრობა მიიტანა — „ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი“ და „მალსტრემის დამხობა“ — და წავიდა. მოთხრობებმა არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინეს. მწერალი კენედი უცნობი ავტორის ძებნას შეუდგა. მან ედგარ პო ცივ სოროში, შიმშილით სიკვდილის პირას მიგდებული იპოვა. კენედი შეაძრწუნა პოს აფორიაქებულმა და ნაღვლიანმა პირისახემ, მისი კანის ბაცი ზეთისხილის ფერმა, ცოცხალმა და დაძაბულმა მზერამ და ამ ღატაკი ადამიანის მთელმა გარეგნობამ, იერმა, კაცისა, რომელსაც თავი არაჩვეულებრივად ღირსეულად და ჭეშმარიტი ჯენტლმენისათვის დამახასიათებელი სინატიფით ეკავა.

მოთხრობები დაიბეჭდა. დიდება ერთბაშად ეწვია. ტალღასავით გადაუარა ამერიკას და ევროპაში გადაინაცვლა. მაგრამ ამ დიდებას ცხოვრებაში ერთხელაც კი არ გაუთენებია ედგარ პოსათვის გაუჭირვებელი და უდარდელი, თუნდაც ერთი დღე.

1837 წელს ბედმა, როგორც იქნა, გაუღიმა ედგარს. მან შეიყვარა თავისი ბიძაშვილი ვირჯინია. ცოტა ხანში ჯვარიც დაიწერეს რიჩმონდში. ვისაც კი ვირჯინია უნახავს, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ეს იყო შინაგანად და გარეგნულად დახვეწილი ქალიშვილი, მეტად უბრალო და მოსიყვარულე. მას ძალუმად და თავგანწირვით უყვარდა ედგარ პო. ნაცნობებმა ამ ქალს „სამების ყვავილი“ შეარქვეს — იმ ნაზი ყვავილის სახელი, რიჩმონდის გარშემო მინდორ-ველს რომ ამშვენებდა.

ვირჯინია ჭლექით მოკვდა სულ ოცდახუთიოდე წლისა. ედგარ პომ რამდენიმე წელი მშვიდად იცხოვრა მასთან და მის დედასთან კლემთან ერთად. ამ წლებში ის ძალზე მხიარული, დამთმობი და კეთილი იყო. როცა ფინანსიური გაჭირვების გამო ნიუ-იორკში, რიჩმონდში, ფილადელფიაში და სხვა ქალაქებში ცხოვრება შეუძლებელი გახდა, პო სოფელში გადასახლდა.

ვირჯინიასა და მის დედასთან ერთად პო ცხოვრობდა ათასგვარ ყვავილებით და ბებერი ალუბლის ხეებით გარშემორტყმულ პატარა სახლში. პოეტი ქალი ფრენსის ლოკი იგონებს, როგორ იოლად და ხალისიანად მუშაობდა ამ დროს ედგარ პო. პო ვიწრო, გრძელ რულონებად დახვეულ ფურცლებზე წერდა. ის სიცილით ხსნიდა ფრენსისის წინ ამ გრძელ ხელნაწერებს და აწოდებდა მთელი ბაღის სიგრძეზე.

სოფელში პომ ნარკვევების წერა დაიწყო მაშინდელ ამერიკელ მწერლებზე. ეს იყო შხამიანი და დაუნდობელი პორტრეტები. ლიტერატურული ამერიკა აიფუტკნა. დაიწყო ედგარ პოს შეგნებული დევნა. ჟურნალებმა დაიწყეს პოს ხელნაწერების უკან დაბრუნება, მისი დაბეზღება. დადგა უსახსრობისა და გაჭირვების ხანა. პო სასოწარკვეთაში ჩავარდა და სმას მიეძალა, ყველაფერი ინგრეოდა.

ერთმა ჟურნალმა დაბეჭდა მოწოდება ამერიკელი ხალხისადმი, გაეღოთ ფული და ნივთები მათხოვარ პოსათვის. მოწყალებისაკენ ამ მოწოდებამ მწერალი გააცოფა. მას მიაჩნდა, რომ ლიტერატურული დამსახურებისათვის ამერიკის წინაშე, მძიმე წუთებში მთავრობა უნდა დახმარებოდა. მაგრამ ედგარ პოს მიმართვას მთავრობამ უხეში უარით უპასუხა.

1847 წლის იანვარს, ვირჯინია გამოცარიელებულ სოფლურ სახლში გარდაიცვალა. ყველაფერი გაეყიდათ. ქალი მოკვდა იატაკზე დაფენილ სუფთა თივაზე, რომელსაც ქათქათა ზეწარი ჰქონდა გადაფარებული, კვდებოდა და თან ზედ იფარებდა ედგარის ძველ დახეულ პალტოს.

ედგარ პომ ვირჯინიას შემდეგ მხოლოდ ორი წელი იცოცხლა. ის ძალუმად იტანჯებოდა. მთელ ქვეყანაზე დახეტიალობდა, ეძებდა ახალ მეგობრებს, მაგრამ ვირჯინიას მაინც ვერავინ შეუცვლიდა. ერთადერთი ბოლომდე ერთგული და მზრუნველი ადამიანი იყო ვირჯინიას დედა, მოხუცი კლემი.

ედგარ პო ბალტიმორში დაასაფლავეს. ასაფლავებდნენ უცხო, იქნებ მტრულად განწყობილი ადამიანებიც.

გარდაცვლილი პოეტის საფლავზე დასადებად მათ შეუკვეთეს ძალიან მძიმე ქვის ფილა. გეგონებოდათ, ამ ფილის სიმძიმით გამოხატავდნენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას ედგარ პოს მიმართ, თითქოს ეშინოდათ, აი, ახლა წამოდგებაო საფლავიდან ეს დამცინავი და სრულიად გაუგებარი კაცი.

როცა ქვის ფილა ედგარის საფლავზე დადეს, ის გასკდა. გაზაფხულზე ამ ნახეთში აყვავდა ქარის მოტანილი თესლები მინდვრის ყვავილებისა და საფლავი ყვავილებითა და მაღალი ბალახით დაიფარა.

ასე ცხოვრობდა, მუშაობდა და მოკვდა ედგარ პო. მისმა ცხოვრებამ ისევე, როგორც სიკვდილმა, ერთხელ კიდევ დაადასტურა ის ჭეშმარიტება, რომ ძველი საზოგადოება ყოველთვის ულმობელი და უსამართლო იყო დიდი ტალანტისა და დიდი სულის ადამიანების მიმართ.

თარგმნა ვალენტინა ძიძიგურმა.

**დავით ნავროზაშვილი**

## ჯუროთმოძღვრის რვეულიდან

* * *

არა იმისთვის რომ ვკრეფდე ვარდებს —
და ნებივრობის თავს მედგას ჩრდილი,
მოველ სიცოცხლეში, რომ შენ მიყვარდე
და ვალად მედოს შენთვის სიკვდილიც.
მოველ და პირველ გაღებულ კართან
მოვყე პირველ ზარს — პირველ
დაძახილს;
მე შენი ტრფობა ავინთე სანთლად,
და იმა სანთლით შეველ ტაძარში...

## მაღალო მთებო

რომ შემძლებოდა, მაღალო მთებო,
თქვენს სიმაღლეზე ზე აღმოფრენა,
დავსახლდებოდი მანდ თქვენს გარშემო,
შევისწავლიდი დუმილის ენას,
მივენდობოდი ნისლთა ქარავანს
და მარადიულ დროჟამთა დენას,
დავივიწყებდი ქვეყნის ჭირ-ვარამს,
სატრფოს სიყვარულს, ღალატს და წყენას.
მაგრამ არ ძალმიძს, რადგან ფარულად
წმინდა გრძნობებში ვარ ჩახვეული, —
მიწის სურნელით და სიყვარულით
გაჟღენთილია ჩემი სხეული!

## მოხუცი გზაზე

მიაბიჯებდა მოხუცი გზაზე.
ჩქარობდა,
სურდა, მზეს დასწეოდა,
მაგრამ ცხოვრებას ისე სწრაფი ნაბიჯით
ევლო,
რომ წინ გაესწრო, ჰაუ რამდენით!..
რამდენი ნაბიჯიც არის მზემდე
ამ მთისწვეროდან!
მაინც ჩქარობდა, იქნებ როგორმე,
იქნებ როგორმე მზის ამოსვლას
კვლავ დასწრებოდა...
მზე კი წვებოდა გახურებულ ცის
სავანეში,
მშვიდად წვებოდა...
და მიდიოდა მოხუცი გზაზე...
და მთის წვეროდან
შორს მიფრინავდა გუნდი წეროთა.

**გივი ზაზიკაშვილი**

* * *

კლდიდან ნაჟურო წყაროო,
ეგების შემიწყალოო...
ეგებ მაღირსო ალერსი —
ეგება გულზე მედინო,
ეგებ მაგ თაფლა ტუჩების
დაკოცნა გამაბედინო.
კლდიდან ნაჟურო წყაროო,
ეგება შემიწყალოო...

## ფიროსმანის ეპიტაფია

უსახლკაროდ, უცოლშვილოდ გარდავეგე,
ქუჩა-ქუჩა დამიღამდა სარდაფს ვენდე...
სვეტიცხოვლის აღმშენებლის ბედი მშურდა,
აღაშენა, შიგ შთაბერა თავის სუნთქვა,
შემდეგ მოსჭრეს მარჯვენა და დაასვენეს,
უკვდავება, როგორც მწირი გაასვენეს.
დაეცლიათ, მეც ამეგო ჩემი სვეტი,
ჩემს ტაძარში მეც მესრბოლა მზიურ ეტლით,
დაეცლიათ ჩემთა ფიქრთა დამარჯნება
და ჩემთვისაც წაეცლიათ ეს მარჯვენა!

## ოთხფეხა თანამშრომლები

ეს ამბავი ნეაპოლის მახლობლად მოხდა.

ერთხელ, ღამით, პოლიციელებმა ბრძანება მიიღეს, მოულოდნელად შეემოწმებინათ საწყობი, რომელშიც თხევადი გაზით სავსე ბალონები ინახებოდა.

ის-ის იყო საწყობს მიადგნენ, რომ პოლიციელებს ძუ ლომმა გადაუჭრა გზა.

აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, გაქცევა დააპირეს და ახლა ხვადი ლომი წამოადგათ თავზე.

ვიდრე გაოგნებული პოლიციელები სროლას დაიწყებდნენ, დარაჯმა დაასწრო:

ეცა ლომებს, დაუცაცხანა, პანღური ჰკრა და კინწისკვრით იფრინა.

მალე ყველაფერი გაირკვა.

ცირკიდან ჩამოწერილი მობერებული ორი ლომი დარაჯმა თურმე გროშებად იყიდა. იქვე, საწყობის ერთ-ერთ სარდაფში დააბინავა, გაწვრთნა და მოკლე ხანში საიმედო თანაშემწეებად გაიხადა.

დაღამდებოდა, გადაჰკრავდა ნუნუას დარაჯი, გაიშოტებოდა, ამოუშვებდა ხვრინვას და, ლომების შიშით, საწყობთან მისვლას ველარავინ ბედავდა.

არაფერმა გაჭრა: საწყობის დარაჯი იძულებული გახდა, კანონს დამორჩილებოდა და ერთგული თანაშემწეები ნეაპოლის ზოოლოგიურ პარკში ჩაებარებინა. ის კია, ნადირთა მეფეები საკმაოდ სარფიან ფასად გაყიდა.

## 1000 — არც მეტი, არც ნაკლები!

ვენესუელაში დააპატიმრეს ხუთი ავტოგამტაცებელი, რომლებიც ავტოგამტაცებლებთან მებრძოლი პოლიციელები აღმოჩნდნენ.

გამოძიებით დადგინდა, რომ „წესრიგის დამცველები“ სხვადასხვა მეთოდით ქურდობდნენ და მოპარულ ავტომანქანებს შეღავათიან ფასებში აძლევდნენ ავტომანქანების ქურდებს.

1000 მსუბუქი ავტომანქანა — არც მეტი, არც ნაკლები! აი რამდენი ავტომანქანა გაიტაცა ავტოგამტაცებლებთან მებრძოლმა ხუთმა ვენესუელელმა პოლიციელმა.

## დაჩქარებული მეთოდით

დრო ფულია! ამ მოსაზრებით სარგებლობდა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დალასის ადვოკატი ევერილ სვეიცერი, როცა მოსამართლე დაითანხმა, რომ რამდენიმე წუთში ერთდროულად გაერჩიათ 108 მოქალაქის საქმე.

ასეც მოიქცნენ: 54 ქალი და 54 კაცი შელალეს სასამართლოს დარბაზში და ერთდროულად გამოუცხადეს: „თანახმა ხართ, რომ შეწყდეს თქვენი ქორწინება?“.

— კი! — დასჭექეს ქალებმა.

— აბა რა! — კვერი დაუკრეს კაცებმა.

ეს იყო და ეს! განქორწინებით კმაყოფილმა 108 ადამიანმა ერთდროულად ამოისუნთქა შვებით.

ადვოკატმა ევერილ სვეიცერმა ასეთი დაჩქარებული მეთოდით მოკლე დროში 3.000-მდე განქორწინება გააფორმა.

რას იზამთ, დრო ზოგზოგისათვის მხოლოდ ფულია!

## შეცდომაც ამას ჰქვია

ერთ მშვენიერ დღეს, ლონდონის მკვიდრმა ჯეკ ტეილორმა ბინაში შეტყობინება მიიღო. თეთრზე შავით ეწერა, რომ სასწრაფოდ უნდა შეეტანა ტელეფონით სარგებლობის გადასახადი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტელეფონის გამორთვითა და დაჯარიმებით ემუქრებოდნენ.

თავს ზევით ძალა არ იყო. ბინიდან გასასვლელად გამზადებულმა ჯეკ ტეილორმა ქვითარს დახედა და გაოგნდა: მისგან 2.300.000 გირვანქა სტერლინგს მოითხოვდნენ.

შეცდომის გასწორებას დრო დასჭირდა. ბოლოს და ბოლოს, გაირკვა, რომ აბონენტს 23 გირვანქა სტერლინგი ჰქონდა გადასახდელი.

აყალმაყალში გასული დრო სათვალავში არ შესულა: ჯეკ ტეილორი დაუჯარიმებლად გადარჩა.

## ზოგს რა ბედი აქვს!

ინგლისის ქალაქ იორკის მკვიდრმა ტომ მორისმა არჩია, არჩია და მაღაზიის ვიტრინაში გამოფენილი სხვადასხვა მოდელის ცალ-ცალი ტუფლიდან ერთი ცალი მოიპარა.

უბედობაც ამას ჰქვია:

ჯერ ერთი — ქურდობაში გაუწაფავი ტომ მორისი დაიბნა და მარჯვენა ფეხის ტუფლი მოიპარა, მას კი მხოლოდ მარცხენა ფეხი აქვს.

მეორე — ტომ მორისი თურმე 42 ნომერ ფეხსაცმელს ატარებდა, მოპარული ტუფლის ზომა კი 40 ნომერი იყო.

მესამე და მთავარი — ტომ მორისის პირველივე მცდელობა უიღბლო გამოდგა: იგი დანაშაულის ადგილზე შეიპყრეს და ათი წყვილი ფეხსაცმლის ფასად დააჯარიმეს.

## გულწრფელი განცხადება

ამერიკელ ქალს იზა მაე ლანგს ჩადენილი მკვლელობისათვის 1935 წელს ციხეში ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს.

გამოხდა ხანი, მკვლელმა სასჯელი მოიხადა და თავისუფალი ცხოვრება დაიწყო.

თავისუფლება დიდხანს არ გაგრძელებულა.

იზა მაე ლანგი ამას წინათ კვლავ წარსდგა სასამართლოს წინაშე.

— ახალი დანაშაული შეგნებულად ჩავიდინე,— განაცხადა მან, — თანამედროვე ცხოვრების ყოველდღიურ ჯოჯოხეთში ყოფნას, დამერწმუნეთ, ციხეში ყოფნა მირჩევნია, აი, იმიტომ!

## როგორც ფინჯანი ყავა

ამერიკის შეერთებული შტატების ბანკებში უკანასკნელ ხანებში ფართოდ გავრცელდა კოკაინის მიღება.

— ჩვენი თანამშრომლების ყოველდღიურ ცხოვრებაში ნარკოტიკი ისეთივე ჩვეულებრივ მოთხოვნილებად გადაიქცა, როგორც ფინჯანი ყავა,— ოფიციალურად განაცხადა ერთ-ერთმა შეშფოთებულმა ამერიკელმა ბანკირმა.

ამ შეშფოთებას თავისი მიზეზი აქვს: კოკაინით გაბრუებული თანამშრომლები უქმად კარგავენ დროს, ბევრს ყბედობენ და, რაც მთავარია, ფულის დათვლაში ცდებიან.

## ოპერატიულად

ყოველკვირეული „ნოიე ბერლინერ ილუსტრირტე“ იუწყება, რომ ნიუ-იორკში არსებობს არალეგალური სექტა, რომლის დანიშნულებაა, დღეღამის განმავლობაში ოპერატიულად მოემსახუროს... ნარკომანებს.

გაისმის ტელეფონის წკრიალი. შეკვეთა მიღებულია: მომხმარებელს, სადაც სურს და რამდენიც სურს, დაუყოვნებლივ ეგზავნება ნარკოტიკი.

სექტას წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ვინმე „პაპი“. იგი ძველი რეციდივისტია, ნარკომანი და სისხლის სამართლის დანაშაულისათვის რამდენჯერმე ნასამართლევი.

## არ დასცალდა

თავისებური მსოფლიო რეკორდი დაამყარა დასავლეთგერმანელმა პენსიონერმა ჰანს მაკარტმა.

ძიებით დადგინდა, რომ ამ ინტელიგენტური შესახედაობის კაცმა 3302-ჯერ გახსნა ქუჩაში ჩამოკიდებული ტელეფონის ავტომატი და ლითონის მონეტები აწაპნა.

— ჰაი გიდი! — დანანებით განაცხადა მსჯავრდადებულმა, — ურიგოდ არ ვცხოვრობდი: საჭმელიც უხვად მქონდა და სასმელიც. თქვენ წარმოიდგინეთ, შავი დღისათვისაც ვაპირებდი ორიოდე გროშის გადანახვას...

გარეკანის პირველ გვერდზე: „პეიზაჟი“; მეოთხე გვერდზე: „სოფლის დილა“. ფოტო ბონდო დვალიშვილისა.

გადაეცა წარმოებას 25. 08. 86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 10. 86. უე 04809. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50.000 შეკვეთა 1997. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის— 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა







სვანეთში

ფოტო მაკა ფაცურიასი.



ნ244/205
ეროვნული ბიბლიოთეკა

